

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 9

შ რ ო მ ი თ ი

დ ა ვ ე ბ ი

1. კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურა
2. შრომითი გასამრჯელოს გადახდის წესი
 - შრომითი ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება
 - შრომითი გასამრჯელოს გადახდის დავალება
3. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების წესი
4. სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო
 - სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციის გამო
 - სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო
5. სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება
 - გადახდილი სამივლინებო თანხის უკან დაბრუნების დაუშვებლობა
 - გრძელვადიანი მივლინებისას, სწავლის ხარჯების ანაზღაურება
 - სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების წესი
 - სახელფასო დავალიანებისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ხანდაზმულობა
6. ერთჯერადი დახმარება; წელთა ნამსახურების დანამატი
 - ერთჯერადი დახმარება
 - წელთა ნამსახურების დანამატი
7. მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

1. კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურა

განჩინება

#ბს-1448-1406(კს-08)

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. კ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-ძემ 29.08.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, რომლითაც მოპასუხის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 19.05.06წ. #86 ბრძანებით დამტკიცდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის წესი, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე რამდენიმე მიმართულების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდა ღია კონკურსი. კონკურსი გამოცხადდა მარკეტინგის მიმართულების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლადაც. ნ. კ-ძემ 22.06.06წ. განცხადებით მიმართა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობების მოსაპოვებლად ფაკულტეტზე არსებულ საკონკურსო კომისიას, რაზედაც შედგა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი #256. 2006 წლის აგვისტოს დასაწყისში მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნეს პირები, ხოლო მისი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების საკითხი გადაწყდა უარყოფითად. ეს ინფორმაცია დადასტურდა მაშინ, როდესაც 15.08.06წ. გაეცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. სადავო ბრძანებას. მოსარჩელის მოსაზრებით, გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიენიჭათ უპირატესობა იმ პირებს, ვინც დანიშნენ აკადემიურ თანამდებობებზე სადავო ბრძანების გასაჩივრებული ნაწილით. დანიშვნა განხორციელდა კანონით განუსაზღვრელი კრიტერიუმებით უპირატესობის მინიჭების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების მიხედვით, კონკურსში მონაწილე პირთა მონაცემების გათვალისწინებით, ნ. კ-ძეს გააჩნდა შესაძლებლობა, დანიშნულიყო აკადემიურ თანამდებობაზე. ამ უფლების განხორციელება არ მოხდა იმის გამო, რომ გარკვეულ პირებს მიენიჭათ ისეთი უპირატესობა, რომელსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.11.06წ. საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად მოწვეულ იქნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე დანიშნული პირები: ე. ბ-ძე, მ. წ-ძე, ვ. ს-ძე, მ. კ-ვა, ი. ხ-უა, მ. ვ-რი, ლ. - შვილი, ე. უ-ძე, ფ. წ-რი, ჩ. ჟასი, მ. ს-რი, ა. გ-ძე, კ. ჩ-შვილი, ბ. ლ-ვა, ე. ხ-შვილი და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე დანიშნული პირები: ე. მ-ძე, ა. ქ-ძე, თ. დ-ძე, რადგან ისინი არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილენი, საქმეზე შესაძლებელია მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც შეეხება მათ ინტერესს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.01.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე" მოპასუხის -სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარკეტინგის მიმართულებით ასოცირე-

ბული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე პირთა დანიშვნის ნაწილში. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე" მოპასუხის -საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანების ბათილად ცნობილი ნაწილის მოქმედების შეწყვეტა დადგინდა მომავალში -ამ გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლის დღიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.01.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მესამე პირების -ე. ბ-ძის, მ. წ-ძისა და სხვების (სულ 18 პირის) მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.01.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება (განჩინება), რომლითაც ნ. კ-ძის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტით -სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარკეტინგის მიმართულებით ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე პირთა დანიშვნის შესახებ, პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგება მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს და არც მისი უფლება ირღვევა. ხსენებულ ბრძანებაში საერთოდ არაფერია ნათქვამი ნ. კ-ძეზე. აღნიშნულ ბრძანებაში მოხსენიებულნი არიან მხოლოდ ის პირები (მესამე პირები), რომლებიც კონკურსში გამარჯვებულებად გამოცხადდნენ. აღნიშნულ პირებთან მიმართებაში გასაჩივრებული ბრძანება წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 გასაჩივრებული ბრძანებით სათანადო აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნულ პირებთან, მოცემულ შემთხვევაში -აპელანტებთან (მესამე პირებთან) დაიდო ხელშეკრულებები და, შესაბამისად, ისინი წარმართავენ სასწავლო პროცესს (ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას). ამრიგად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნ. კ-ძე არ დაინიშნებოდა აკადემიურ თანამდებობაზე, ჩატარდებოდა ახალი კონკურსი და მას მიეცემოდა კონკურსში მონაწილეობის საშუალება. ამასთან, ჩატარებული კონკურსის გაუქმების შემთხვევაში აშკარად შეილახება მესამე პირების უფლებები, რადგან გასაჩივრებული ბრძანება მათთვის აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი უნდა ჩატარდეს ყოველ 3 წელში ერთხელ, ხოლო ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად -ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. ამრიგად, გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარკეტინგის მიმართულებით ჩაიშლება საკმაოდ დიდი ხნით. სარჩელი, რომ დასაშვებად იქნეს ცნობილი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანებაში ნ. კ-ძე საერთოდ არ არის მოხსენიებული. ამრიგად, ფორმალური თვალსაზრისითაც კი (ეს უკანასკნელი კი ფრიად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ სამართალში) მის კანონიერ ინტერესებს პირდაპირი და უშუალო ზიანი არ მისდგომია. მოსარჩელის მთავარი მიზანი მდგომარეობის იმაში, რომ მას ხელახლა მიეცეს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, რათა დაიკავოს ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა. საქმის მასალებით დგინდება, რომ ასოცირებული პროფესორები დანიშნულ იქნენ 3 წლის ვადით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო ასისტენტ პროფესორები -2 წლის ვადით, 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე. ამრიგად, უკვე კარს ახლოვდება ახალი კონკურსის ჩატარების ვადა ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, ხოლო 1 წელიწადში ასევე ჩატარდება ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუკი მოსარჩელე ვერ იდავებდა 04.08.06წ. #01-02/410

ბრძანების კანონიერებაზე და ვერ მიაღწევდა მის ბათილად ცნობას, იგი მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, სხვა გზით დაეკმაყოფილებინა თავისი კანონიერი ინტერესი – დაეკავებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარკეტინგის მიმართულებით აკადემიური თანამდებობა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი კონკურსები უახლოეს პერიოდში ჩატარდება. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ მოპასუხემ ნ. კ-მის მიწვეული სპეციალისტის რანგში შესთავაზა ლექციების წაკითხვა, რაზეც მან უარი განაცხადა. ასკ-ის 26².2 მუხლის მიხედვით, სასამართლო განჩინებით წყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. ამავე კოდექსის 26².5 მუხლის მიხედვით კი საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას, სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას. ამრიგად, ნ. კ-მის სარჩელზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, დაუშვებლობის გამო, საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ნ. კ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდნენ პირები, რომელთა შორის არ ყოფილა ნ. კ-მე, რაც იყო მართლსაწინააღმდეგო. კონკურსში სხვა პირთა გამარჯვებულად გამოცხადებით კი ცხადი იყო, რომ ნ. კ-მეს უარი ეთქვა თანამდებობაზე დანიშვნაზე. მას, როგორც კონკურსში მონაწილე პირს, გააჩნდა აბსოლუტურად მართლზომიერი უფლება და ინტერესი, რომ იგი დანიშნული ყოფილიყო თანამდებობაზე კონკურსის შედეგად, თუკი კონკურსი ჩატარდებოდა მართლზომიერად და არა იმ უხეში დარღვევების ფონზე, რაც მოხდა განსახილველ შემთხვევაში. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება იმ დასკვნების გამოტანა, რომ ნ. კ-მის კანონიერ უფლებას და ინტერესს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი, ასევე, მას უკანონოდ ეზღუდება უფლება. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გვარისა და სახელის გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ამ აქტით იმ პირის უფლებების დარღვევა, რომელიც არ არის აქტში მოხსენიებული. სასამართლოს ამ არგუმენტის გაზიარების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება რომელიმე კონკურსის შედეგების გასაჩივრება, რადგან გამარჯვებული კანდიდატი მას არასდროს გასაჩივრებს, ხოლო მის მეტი სხვა არავინ მოხსენიებული არ იქნება ასეთ აქტში. ამრიგად, არსებობს შემთხვევები, როდესაც სარჩელის საფუძველს სწორედ ის ქმნის, რომ სადავო აქტში პირის მოხსენიებლობა არის მართლსაწინააღმდეგო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირის კუთვნილი უფლებით აღიჭურვება სხვა პირი, ხოლო ამ უფლების მიკუთვნებაზე პირი იღებს უარს იმის გამო, რომ ეს უფლება სხვას ენიჭება. ასეთ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა, უფლებისა და ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება უდავოდ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ ნ. კ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის 89 მუხლის 11-ე პუნქტის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს 2006–07 სასწავლო წლის დაწყებამდე დაევალებათ პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით. საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05წ #473 ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელს მიენიჭა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლების მიღება და გათავისუფლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობის მოსაპოვებლად ნ. კ-მემ 22.06.06წ. განცხადებით მიმართა საკონკურსო კომისიას, განცხადებას თან ახლდა კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო სხვადასხვა დოკუმენტაცია. საკონკურსო კომისიის 27.07.06წ. #3 ოქმის თანახმად, კომისიამ დაადგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე, მათ შორის, მარკეტინგის მიმართულებით, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად რეკომენდაციამიცემული პირები, რომელთა შორის ნ. კ-მე არ არის მითითებული. აღნიშნულის საფუძველზე ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიერ

28.07.06წ. მომზადდა შესაბამისი წარდგინება. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე" თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-08/410 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კონკურსში გამარჯვებული პირები დანიშნენ აკადემიურ თანამდებობებზე.

სასკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დასაშვებად ცნობისათვის გასაჩივრებული ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინ-დივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკანონო-დ უნდა ზღუდავდეს მის უფლებებს. ნ. კ-მეს, როგორც კონკურსის მონაწილეს, ჰქონდა უფ-ლება, მონაწილეობა მიეღო გამოცხადებულ კონკურსში და ინტერესი -დაეკავებინა ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა. თანამდებობაზე დანიშვნის შე-სახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალო გავლე-ნას ახდენს მოსარჩელის ინტერესზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ კონკურსანტს კონკურსის შე-დეგებისადმი გააჩნია უშუალო უფლებადამცავი ინტერესი. ის გარემოება, რომ ნ. კ-მე არ არის მოხსენიებული თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანებაში, რომლის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარკეტინ-გის მიმართულებით აკადემიურ თანამდებობებზე პირთა დანიშვნის ნაწილში, თავისთავად არ ქმნიდა სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს, ვინაიდან სწორედ რომ დანიშნულ პირთა სიაში მოსარჩელის მიუთითებლობა, მოსარჩელის აზრით, ლახავს მის კა-ნონიერ ინტერესს მოსარჩელე თვლის, რომ დანიშნულ პირთაგან ზოგიერთს კანონით განუსაზ-ღვრელი კრიტერიუმებით მიენიჭა უპირატესობა, არსებობდა კონკურსის შედეგად მისი აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკონკურსო პროცე-დურა ითვალისწინებს რიგ, კანონმდებლობით მოწესრიგებულ, ადმინისტრაციული მოქმედების (მასობრივი ინფორმაციის საშუალებით კონკურსის გამოცხადება, განცხადებების რეგისტრაცია და სხვ.) შესრულებას და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (კონკურსის დანიშვნა, საკონკურსო კომისიის დასკვნა, რექტორის ბრძანება დანიშვნის შესახებ) გამოცემას. სა-აპელაციო სასამართლოს სადავო განჩინება არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი აქტი უნდა გაეხადა სადავო მოსარჩელეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკონკურსო კომისიის გა-დაწყვეტილება (შეფასება) არის დანიშვნის პროცედურის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს თითოეული კომისიის წევრთა გადაწყვეტილებების ერთობლიობას. კონკურსანტების შეფასების უფლებამოსილება წარმოადგენს საკონკურსო კომისიის დისკრეციის სფეროს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნების ელემენტებს. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პერსონალის ფორმირება, ვაკანსიის დაკა-ვების წესი გულისხმობს ღია კონკურსის ჩატარებას. საკონკურსო კომისიის შექმნის მიზანია ვაკან-სიის დაკავებისათვის დადგენილი მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა. საკონ-კურსო კომისიის დასკვნა ადასტურებს ან უარყოფს კონკურსანტის მიერ ვაკანსიის დაკავების უფ-ლებას. კომისიის დასკვნა წარმოშობს სამართლებრივ შედეგს კონკურსანტის მიმართ. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის ვაკანტურ თანამ-დებობაზე დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდება არა შრომის კანონმდებლობის, არამედ -ადმინისტრაციული კანონმდებლობის სა-ფუძველზე. დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაცია შეზოჭილია კონკურსის შედეგე-ბით. გადაწყვეტილებას დანიშვნის შესახებ საფუძველად უდევს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტი-ლება, რომელიც წარმოადგენს იურიდიული შემადგენლობის გადამწყვეტ ელემენტს, იურიდიულ ფაქტს (ხდომილებას), რომელსაც ეყრდნობა სასწავლებლის ადმინისტრაცია ვაკანტური ადგილის დაკავების საკითხის გადაწყვეტისას, საკონკურსო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში არც მოვალეობის ფაქტობრივი შესრულება და არც ბრძანება სამსახურში მიღების შესახებ ვერ იქნება მიჩნეული ვაკანსიის დაკავების საფუძველად. ამასთან, საკონკურსო კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულს, ხდება უფლებამოსილების ერთგვარი გამოიჯნა -საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, აღასრულოს იგი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი უფლებამოსი-ლია, აღასრულოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, გა-მოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის შეფასების თაობაზე. უფლებამოსილების ამ-გვარი გაყოფა არის შიდასტრუქტურული. გარე სამართალურთიერთობებში სსიპ-ს წარმოადგენს მი-სი ხელმძღვანელი. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ასევე, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თსუ-ს რექტორი უფლებამოსილია (ვალდებულია), წარმოადგინოს თა-

ვის მიერ მართვადი დაწესებულება, დადოს ასეთი დაწესებულების სახელით გარიგებები მესამე პირებთან ურთიერთობებში. ამდენად, კონკურსში გამარჯვებულის დანიშვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრება იმავდროულად უკავშირდება კონკურსის შედეგების, საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი აქტის გასაჩივრებას, კომისიის მიერ ნ. კ-მის პროექტის უარყოფითი შეფასება, რექტორის ბრძანებისაგან დამოუკიდებლად ეხებოდა ნ. კ-მის ინტერესებს (სზაკ-ის 177.4 მუხ.). კონკურსის კანონიერების დადგენა საჭიროებს ამ ორი აქტის კომპლექსურ განხილვას, მათი მართლზომიერების დადგენას. ნ. კ-მის მოთხოვნა კონკურსის შედეგის გადასინჯვის შესახებ მოიცავს ნ. კ-მის მიმართ მიღებულ უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც, რექტორის სადავო ბრძანება წარმოადგენს საკონკურსო პროცედურის დამაგვირგინებელ აქტს, მისი გასაჩივრებით მოსარჩელე მოიცავს კონკურსის მომდევნო ეტაპებს, "მარკეტინგის მიმართულებით ასოცირებული პროფეგორისა და ასისტენტ-პროფეგორის თანამდებობაზე სხვა პირების დანიშვნის შესახებ" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 04.08.06წ. #01-02/410 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის მოთხოვნა იმავდროულად მოიცავს მისი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც, რადგან მოსარჩელის ინტერესი მდებარეობს მისი თანამდებობაზე დანიშვნასა და არა სხვა პირების თანამდებობიდან გათავისუფლებაში, რის გამოც არსებობდა არა საქმის წარმოების შეწყვეტის, არამედ -დავის საგნის დაზუსტების, აღნიშნულის შედეგად კი სადავო აქტთან ერთად საკონკურსო პროცედურის იმ აქტის მართლზომიერების შემოწმების საფუძველი, რომლითაც შეფასდა მოსარჩელის კანდიდატურა. ამდენად, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, საკონკურსო კომისიის რომელ დოკუმენტში აისახა კონკურსანტთა შეფასების შედეგები. მართალია, მოსარჩელე თავად არჩევს სარჩელის სახეს, რომელიც მას ესაჭიროება მიზნის მისაღწევად, მოსარჩელემ, აგრეთვე, უნდა განსაზღვროს დავის საგანი, სარჩელის შინაარსი და მოცულობა, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თანახმად, იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით; პროცესის დაჩქარების მიზნით მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (სასკ-ის 28¹ მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს სარჩელის სახეობის ზუსტ დადგენას. მოსარჩელე მოითხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ცნობას. სარჩელის ამ სახის მიზანს შეადგენს აქტის გამოცემით გამოწვეული მდგომარეობის აღმოფხვრას, ანუ აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღმოფხვრას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს მიზნად აქვს არა აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, არამედ ხსენებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა -კონკურსში გამარჯვებულად ცნობა, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნა. აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც, სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. ამასთანავე, აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს დავალების შესახებ სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხ.) აგრეთვე მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნასაც (სასკ-ის 22-ე მუხ.), რადგან მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებამ აქტის გამოცემის დავალების შესახებ სათანადო შედეგს მიაღწიოს, თუ ბათილად არ გამოცხადდა ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა კონკურსანტის განცხადება. ამდენად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით (ასკ-ის 23-ე მუხ.), ვინაიდან საქმის არსებითი განხილვისას დადგინდება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა ან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე აქტის გამოცემა. სასამართლო ასკ-ის 33.1, 32.4 მუხლების საფუძველზე დაავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. შესაბამისად, დაუშვებლობით საქმის წარმოების შეწყვეტამდე საჭირო იყო მოსარჩელის თანხმობის საფუძველზე სარჩელის ტრანსფორმირების საკითხის გადაწყვეტა. ასკ-ის 28¹ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დაუცველობის პირობებში დაუხატებელია სააპელაციო პალატის მიერ სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქმის წარმოების შეწყვეტის მართლზომიერებას არ ადასტურებს აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება აღმჭურველი აქტის გაუქმებით მასში მითითებული პირებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობის, მოწვეულ სპეციალისტად ლექციების წაკითხვის წინადადების ნ. კ-მის მიერ უარყოფის, კონკურსის პერიოდულობის, ახალ კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ, მით უფრო, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია ახალი კონკურსის ჩატარება. ამასთან, კონკურსის ჩატარების დროს არსებული ვითარების, კერძოდ, კონკურსის ჩატარების მომენტში კანდიდატის მომზადების დონის აღდგენა შეუძლებელია, მნიშვნელობა აქვს კონკურსის პირობებთან კან-

დიდატის შესაბამისობას კონკურსის ჩატარების მომენტში, კონკრეტულ მონაწილეთა საშუალო დონეს, რაც საკონკურსო კომისიას უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილი საქმის წარმოების შეწყვეტის მოტივაცია კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის უარყოფის ტოლფასია და ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ. რაც შეეხება სასამართლო დავის განხილვის პერიოდში კონკურსის წესით აკადემიურ თანამდებობაზე ვადის გასვლას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული არ იწვევს ავტომატურად საქმის წარმოების შეწყვეტას, რადგან მოსარჩელე ინარჩუნებს სადავო აქტების უკანონობის დადგენის ინტერესს იმიჯის აღდგენის, რეაბილიტაციის, მომავალში იგივე დარღვევის თავიდან აცილების, ზიანის ანაზღაურების და სხვ. მოტივებით (სასკ-ის 32.3 მუხ.). ასეთ შემთხვევაში გამორიცხული არ არის აგრეთვე სასამართლოს მიერ აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნვის უარის უკანონობის აღიარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეზე საჭიროა დავის საგნის დაზუსტება, კერძო საჩივრით გასაჩივრებული სააპელაციო პალატის განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, სასკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს შეადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. კ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშნვის პროცედურა განჩინება

#ბს-236-230(კ-09) 22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგამე**

სარჩელის საგანი: იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ქ-ვამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. მოსარჩელის განმარტებით, მან 2002 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში, რომელიც 2005 წელს წარმატებით დაამთავრა, ხოლო 2006 წლის 18 თებერვალს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი. 2007 წლის 20 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდა კონკურსი, ხოლო 2007 წლის 12 სექტემბერს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე არ იქნა დაშვებული კონკურსის მეორე ეტაპზე -გასაუბრებაზე შემდეგი მოტივით: "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულიყო დოქტორი ან დოქტორანტი. იმავე კანონის 89-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების მიხედვით კი ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული იყო დოქტორის აკადემიურ ხარისხთან. ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდებოდა, აგ-

რეთვე, პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებოდნენ ასპირანტები (მამიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოპოვებდნენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულება დამტკიცდა 2006 წლის 23 დეკემბერს და იგი ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვარს. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ე. ქ-ვას მიერ მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი არ უთანაბრდებოდა დოქტორის აკადემიურ ხარისხს, ამასთან, იგი არ იყო დოქტორანტი და ამდენად, ვერ აკმაყოფილებდა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

მოსარჩელის მტკიცებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ვერ გაუთანაბრდებოდა დოქტორის აკადემიურ ხარისხს, თუ მისი დისერტაციის დაცვის დროისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შექმნილი იქნებოდა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. 2006 წლის 18 სექტემბერს, მოსარჩელის მიერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს, მართლაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიქმნა სადისერტაციო საბჭოს დებულება და დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 23 დეკემბრის #264 ბრძანებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ქ" ქვეპუნქტი, თუმცა თვითონ იურიდიული ფაკულტეტის ახალი სადისერტაციო საბჭო არ არსებობდა. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესს განსაზღვრავდა აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. 2006 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არ არსებობდა და მაშასადამე, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოც არ იყო შექმნილი.

მოსარჩელის განმარტებით, დისერტაციის დაცვა წარმოადგენდა პროცედურას, რომელიც განისაზღვრებოდა არა დისერტაციის დაცვის უშუალო თარიღით, არამედ -დისერტაციის დასაცავად წარდგენის თარიღით. მოსარჩელის სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოში წარდგენილი იყო 2005 წლის 22 აპრილიდან -სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციის გავლის დღიდან და ფაქტობრივად 2005 წლის აპრილიდან დაიწყო მისი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა, რაც გაგრძელდა 2006 წლის 18 თებერვლამდე და დამთავრდა დისერტაციის დაცვით. 2006 წლის 1 იანვარს ძალაში შესული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების 26-ე პუნქტის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა ახალი სადისერტაციო წესების ამოქმედებას იმ პირობა მიმართ, რომლებიც ამ დებულების ძალაში შესვლამდე გახდნენ ასპირანტები და ჩააბარეს ყველა ე.წ. საკანდიდატო მინიმუმში, მოსარჩელეზე ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების შემდეგ -2005 წლის 22 აპრილს მისმა სადისერტაციო ნაშრომმა დადგენილი წესით გაიარა აპრობაცია და მის მიმართ უკვე დაწყებული იყო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა. ხსენებული დებულება არ შეიცავდა რაიმე წესს დისერტანტთა სტატუსის მქონე პირთა მიმართ არსებული ურთიერთობების ახლებურად მოწესრიგების შესახებ.

მოსარჩელის მტკიცებით, მისი დისერტაციის დაცვის დღის დანიშვნის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 9 იანვრის ბრძანების მიხედვით, მას უფლება მიეცა, დაეცვა სადისერტაციო ნაშრომი არსებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე და წარდგენილიყო სადისერტაციო საბჭოს მოქმედი შემადგენლობის წინაშე. თუ 2006 წლის 1 იანვარს ძალაში შესული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, იმავდროულად, ითვალისწინებდა ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნასაც და თუ შექმნილი იყო ახალი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა, მაშინ გაუგებარი იყო, რატომ არ უზრუნველყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა მოსარჩელის დისერტაციის დაცვა ახალი წესების შესაბამისად ახალი საბჭოს წინაშე. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2006 წლის 1 იანვრის დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, სადისერტაციო საბჭო შედგებოდა ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის სადისერტაციო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ და, მაშასადამე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სა-

მეცნიერო ხარისხი მას მიანიჭეს სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმჟამადაც მოქმედმა პროფესორებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა, ხოლო ორივე სადისერტაციო საბჭოში არსებული წევრები ერთი და იგივე პირები იყვნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ქ-ვამ მოითხოვა, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების თანახმად, მის მიერ 2006 წლის 18 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე დაცული დისერტაციის შედეგად მისთვის მინიჭებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულად აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ე. ქ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ე. ქ-ვას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით (ოქმი #27) ე. ქ-ვას მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის #1 ოქმით, კონკურსის მეორე ეტაპზე -გასაუბრებაზე დაშვებულ არ იქნა ე. ქ-ვა იმ საფუძველით, რომ მის მიერ მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი არ უთანაბრდებოდა დოქტორის აკადემიურ ხარისხს, იგი არ იყო დოქტორანტი და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებდა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 23 დეკემბრის #264 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულიყო დოქტორი ან დოქტორანტი. იმავე კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული იყო დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 2006 წლის 18 თებერვალს, ხოლო "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2005 წლის 10 იანვარს. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა მითითებული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდებოდა, აგრეთვე, პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებოდნენ ასპირანტები (მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებდნენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 23 დეკემბრის #264 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ აღნიშნული დებულების დამტკიცებით შეიქმნა იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ამასთან, ის ფაქტი, რომ მითითებული საბჭო შექმნის მომენტიდან ფუნქციონირებდა, დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, კერძოდ, სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 9-13 იანვრის, 2006 წლის 3 თებერვლისა და 2006 წლის 14 მარტის სხდომის ოქმებით, ასევე, 2006 წლის 13 იანვრის ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმით. ამდენად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნის შემდეგ მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარდგენა ნიშნავდა დისერტაციის დაცვას და ვინაიდან სადისერტა-

ციო ნაშრომის აპრობაციის გავლის დღიდან დაიწყო ნაშრომის დაცვის პროცედურა, ნაშრომი დაცულად ითვლებოდა ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტი დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებას უკავშირებდა არა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის დაწყებას, არამედ -ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვებას, ანუ პირისათვის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭების მომენტს, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი კი მოსარჩელეს მიენიჭა 2006 წლის 18 თებერვალს.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ვალდებული იყო, უზრუნველყო მოსარჩელის დისერტაციის დაცვა ახალ სადისერტაციო საბჭოში. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ასეთი ვალდებულების არსებობისათვის, საჭირო იყო, მოსარჩელეს ოფიციალური მიმართებით გამოეხატა ნება, რომ თავისი სადისერტაციო ნაშრომი დაეცვა ახალი სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რაც მას არ გაუკეთებია და, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, არც იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო ვალდებული, უზრუნველყო მისი დისერტაციის დაცვა ახალ სადისერტაციო საბჭოში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაესაბუთებინა თავისი სარჩელი და წარედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, წარედგინა წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად ვერ შეძლო წარმოედგინა მტკიცებულებები, რის გამოც მისი სასარჩელო მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ე. ქ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის პრეტენზია იყო დაუსაბუთებელი, ვინაიდან სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ გააბათილა ისინი. სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე მოპასუხე აპელირებდა პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, რაზეც შესაბამისი პასუხი იქნა გაცემული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და მიღებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა და საქმის მასალების არასწორი შეფასებით. სასამართლომ არ მოახდინა გადასაჭრელი პრობლემის სწორი შეფასება, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი მიუთითებს სარჩელში მოყვანილ გარემოებებსა და არგუმენტებზე და განმარტავს, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია ახალი აკადემიური საბჭოს შექმნის უფლებამოსილება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ერთპიროვნული ბრძანებით გადასაწყვეტ საკითხად და არ გათვალისწინა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულება აწესრიგებს არა ახალი სადისერტაციო საბჭოების შექმნის წესს, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ცალსახად აძლევს უფლებას, გარდამავალ პერიოდში დაამტკიცოს სადისერტაციო საბჭოების დებულებანი, რომელთა საფუძველზედაც უნდა ემუშავათ მოქმედ საბჭოებს. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს ახალი სადისერტაციო საბჭოების შექმნის შესაძლებლობას ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც უნდა დაემტკიცებინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. გარდამავალ პერიოდში შეუძლებელი იყო ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნა, რამდენადაც არ იყო შექმნილი ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელიც აუცილებელი იყო ახალი სადისერტაციო საბჭოს შესაქმნელად.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დისერტაციის დაცვა ე.წ. ძველი წესების შესაბამისად, ითვალისწინებდა კონკრეტული პროცედურის გავლას, ასევე – საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოში მეცნიერებათა ხარისხის მინიჭების წესის შესახებ დებულება", რომლის საფუძველზეც მოხდა კასატორის მიერ დისერტაციის დაცვა. სწორედ აღნიშნული დებულება განმარტავს დისერტაციის დაცვის პროცედურას, რომელიც იწყება დისერტაციის წინასწარი დაცვით და მთავრდება დისერტაციის საჯარო დაცვით, ანუ იგი იწყება სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციით, რომელიც კასატორმა გაიარა 2005 წლის აპრილში. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კასატორის იმჟამინდელი სტატუსი განიხილებოდა სწორედ ძველი დებულების შინაარსის თანახმად.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად უნდა გავრცელებულიყო 2006 წლის 1 იანვრის დებულება კონკრეტულად ე. ქ-ვაზე, მაშინ, როდესაც მას ამ დებულების ძალაში შესვლამდე ჰქონდა დისერტანტის სტატუსი და მის მიმართ დაწყებული იყო დისერტაციის დაცვის პროცედურა. კასატორს ასპირანტურა დამთავრებული ჰქონდა 2005 წელს და შესაბამისად, აპრობაციის გავლის შემდგომ გააჩნდა დისერტანტის სტატუსი. სასამართლომ არ გამოიკვლია აღნიშნული ფაქტი და არ იმსჯელა კასატორის იმჟამინდელი სტატუსის შესახებ. ახალი სადისერტაციო საბჭო შეიქმნა ისე, რომ ძველი არ გაუქმებულა. სადისერტაციო საბჭო, რომლის წინაშეც კასატორმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ნამდვილად იყო უნივერსიტეტის ორგანიზაციული ერთეული, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი – უფლებამოსილი ორგანო, სადისერტაციო საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

კასატორის მტკიცებით, ვინაიდან მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მოქმედი საბჭოსა და ამავდროულად, უფლებამოსილი ორგანოს წინაშე, რის საფუძველზეც მის მიმართ გამოიცა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მას გააჩნია კანონიერი ნდობა ამ აქტის მიმართ. უფრო მეტიც, კასატორი ვერ დაიცავდა დისერტაციას პარალელურად მოქმედი საბჭოს წინაშე, ვინაიდან უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ე.წ. ახალი საბჭო, ფაქტობრივად, შეიქმნა 2006 წლის 13 იანვარს. გაურკვეველია უნივერსიტეტის პოზიცია კასატორის დისერტაციის დაცვის ფაქტის აღიარებისა და ამის პარალელურად, ამ დისერტაციის დაცვის სამართლებრივი შედეგების უარყოფის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით ე. ქ-ვას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 23 ივნისს, 14.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ე. ქ-ვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა სააპელაციო პალატის 04.12.08 წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

ე. ქ-ვას საკასაციო პრეტენზია ემყარება იმ მოსაზრებას, რომ დისერტაციის დაცვის დროს, მართალია, თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 23.12.05 წ. #264 ბრძანებით დამტკიცებული იყო თსუ იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება, მაგრამ თავად იურიდიული ფაკულტეტის ახალი სადისერტაციო საბჭო არ არსებობდა, ვინაიდან მისი შექმნა არ წარმოადგენდა თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით ერთპიროვნულად გადასაწყვეტ საკითხს. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული საკითხის სხვაგვარად მოწესრიგება საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05 წ. #473 ბრძანებულებით ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულების შექმნამდე, გარდამავალ პერიოდში, არ შეფერხებულყო დაწესებულების საგანმანათლებლო თუ ორგანიზაციული საქმიანობა. ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის "ქ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება ძალაში შევიდა 01.01.2006 წლიდან. საქმეში წარმოდგენილია სადისერტაციო საბჭოს 2006 წლის 9-13 იანვრის სხდომის ოქმი #1, სხდომაზე არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, ასევე, საქმეში დაცულია 03.02.06 წ. და 14.03.06 წ. სხდომის ოქმები, საი-

დანაც დგინდება, რომ ახალი სადისერტაციო საბჭო ე. ქ-ვას მიერ დისერტაციის დაცვის დროისათვის შეკრებილი იყო. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მოსაზრება მასთან დაკავშირებით, რომ ხარისხის მინიჭება განისაზღვრება არა დისერტაციის დაცვის უშუალო თარიღით, არამედ დისერტაციის წარდგენის თარიღით, ამ შემთხვევაში 22.04.05 წლიდან -სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციის გავლის დღიდან. საქართველოს პრეზიდენტის 28.06.03 წ. #316 ბრძანებულებით (ძალადაკარგულია 06.04.07 წლიდან) დამტკიცებული საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ დებულებითა და ინსტრუქციით გაწერილი იყო სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლის თანახმად, დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში წარდგენა წარმოადგენდა მისი წინასწარი განხილვისა და დასაცავად მიღების საფუძველს, ხოლო სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო დისერტაციის საჯარო დაცვის შემდგომ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება წარმოადგენდა განგრძობით პროცედურას და ე. ქ-ვას სადისერტაციო ნაშრომს აპრობაციის შემდგომ გასავლელი ჰქონდა რიგი საფეხურები, რომელთა დაუცველობა გამორიცხავდა მამიებლისათვის ხარისხის მინიჭებას. ამდენად, ე. ქ-ვამ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის ძალაში შესვლის შემდეგ 2006 წლის 18 თებერვალს, მაშინ, როდესაც თსუ-ს ახალი სადისერტაციო საბჭო უკვე ფუნქციონირებდა.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებას. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებოდნენ ასპირანტები (მამიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებდნენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა. კანონის ეს ნორმა გამორიცხავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი სადისერტაციო საბჭოს ამოქმედების შემდგომ მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებას.

საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადისერტაციო საბჭოს თავად უნდა უზრუნველყო მისი დისერტაციის დაცვა ახალი საბჭოს წინაშე, ვინაიდან კანონმდებელი, მართალია, უშვებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის ამოქმედების შემდეგ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას, მაგრამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნის შემდეგ მინიჭებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის გათანაბრებას დოქტორის ხარისხთან დაუშვებლად მიიჩნევს. კანონის ეს დათქმა ხარისხის მამიებელ პირს ანიჭებდა უფლებამოსილებას, თავად განესაზღვრა, თუ რა წესით სურდა მას ხარისხის მოპოვება, რათა შემდგომში იგი მოქცეულიყო ახლადამოქმედებული კანონის რეგულირების სფეროში.

საკასაციო პალატა ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ ე. ქ-ვას მიერ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოპოვებულ იქნა თსუ-ში ახალი სადისერტაციო საბჭოს ამოქმედების შემდეგ. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 პუნქტი გამორიცხავს ამავე კანონით გათვალისწინებული სადისერტაციო საბჭოს ამოქმედების შემდგომ მოპოვებული სამეცნიერო ხარისხის გათანაბრებას დოქტორის ხარისხთან, ამდენად, ე. ქ-ვას საკასაციო მოთხოვნა უსაფუძვლოა, მას არ წარმოუდგენია ისეთი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიწვევდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სრულად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს, დამატებით მიუთითა მათზე და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ქ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. შრომითი გასამრჯელოს გადახდის წესი

შრომითი ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება

განჩინება

#ბს-1026-990(კ-08)

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების, საშვებულებო თანხისა და კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 3 თებერვალს თ. დ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ, დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ პარლამენტი, შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება. მოსარჩელის განმარტებით, დათხოვნის მომენტისთვის მას მიუღებელი ჰქონდა აპრილ-მაისის ხელფასი, საშვებულებო კუთვნილი თანხა 45 დღის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ასევე, კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია, რაც მთლიანობაში 2415 ლარს შეადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს და შრომის წიგნაკის დაბრუნება, მიუღებელი ხელფასისა და კუთვნილი თანხების ანაზღაურება მოითხოვა, მაგრამ აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო თ. დ-მის წერილებს უპასუხოდ ტოვებდა და მხოლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე გახდა შესაძლებელი აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსგან პასუხის მიღება, რომლითაც თამაზ დგებუძეს განემარტა, რომ სახელფასო დავალიანების გასატუმრებელი თანხები არ იყო გათვალისწინებული 2005 წლის აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში.

მოსარჩელის განმარტებით, მასზე ვერ გავრცელდებოდა "აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონი, ვინაიდან კანონს უკუძალა არ ჰქონდა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობდა მისი კონსტიტუციით აღიარებული შრომითი უფლებების დარღვევას. მოსარჩელის მოსაზრებით, მასზე უნდა გავრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები, რამდენადაც, აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აჭარის ა/რ ძირითადი კანონების საფუძველზე არჩეულ, დანიშნულ და დამტკიცებულ თანამდებობის პირებზე ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი თუ საქართველოს კონსტიტუციითა და სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი.

მოსარჩელის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 და 37-ე მუხლების თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. იმავე კანონის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლეოდა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიუღებელი ხელფასის, საშვებულებო თანხისა და კომპენსაციის, სულ -2415 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-მე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ, დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ პარლამენტი, შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მას მიუღებელი ჰქონდა აპრილის ხელფასი, რომელიც შეადგენდა 480 ლარს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ აჭარის ა/რ ყოფილი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა უნდა მომხდარიყო აჭარის ა/რ კანონით, მაგრამ, ვინაიდან აჭარის ა/რ იმდროინდელ პარლამენტს, როგორც საქმის მასალებით და აჭარის ა/რ პროკურატურიდან გამოთხოვილი საქმის მასალებით დადგინდა, აღნიშნული კანონი არ მიუღია, შესაბამისად, აჭარის ყოფილი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგო კანონით არგანსაზღვრულა. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად კი, საკითხები, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო აქტით, დაუშვებელია დარეგულირდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2004 წლის კუთვნილი 45-დღიანი შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლის თაობაზე. იმ დროს მოქმედი "აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა პარლამენტის წევრის მიერ გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსარჩელეზე, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილშიც უსაფუძვლო იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება თ. დ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა აჭარის ა/რ უზენაეს საბჭოს მისი ხელფასისა და კომპენსაციის საბოლოო გაანგარიშების მოთხოვნით, მაგრამ მოპასუხე სხვადასხვა მიზეზით თავს არიდებდა აღნიშნული საკითხის განხილვას. ამასთან, აპელანტისათვის ცნობილი გახდა, რომ აჭარის ა/რ კონტროლის პალატის მიერ შემოწმდა აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს საფინანსო საქმიანობა 2002 წლიდან 2004 წლის მაისის ჩათვლით. შემოწმების მასალებში მითითებული იყო დეპუტატთა ხელფასების დავალიანება. მოსარჩელის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი განჩინებით დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა ხსენებული შემოწმების მასალების გამოთხოვის შესახებ, რომლებითაც მის მიმართ არსებულმა სახელფასო დავალიანებამ 744,9 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ორი თვის კომპენსაციას, აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული თანხა მას ეკუთვნოდა საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილების V პუნქტის თანახმად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით, თ. დ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. დ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თ. დ-მეს მიეცა 2004 წლის აპრილისა და იმავე წლის 8 მაისის ჩათვლით ხელფასი -295 ლარი, ხოლო სამშვებულებო და კომპენსაციის თანხების გაცემაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში აჭარის ა/რ უმაღლესმა საბჭომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით თ. დ-მემაც გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და თ. დ-მის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, კერძოდ, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რამდენა-

დაც სააპელაციო სასამართლომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიიჩნია, რომ თ. დ-მეს უფლება ჰქონდა, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავდა საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნებას. ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური იყო საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. იმავე კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა იყო საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკური იყო და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრებოდა შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენდა აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მიუთითა და განმარტა, რომ ხსენებული ნორმა განსაზღვრავდა იმ საჯარო მოსამსახურეების სახეებს, რომლებზედაც არ ვრცელდებოდა ამ კანონის მოქმედება. ხსენებული მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, გარდა 1-ლი -მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე და 126-ე მუხლებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელზეც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა საგამონაკლისო ნორმების გარდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილება და სტატუსი რეგულირდებოდა აჭარის ა/რ კონსტიტუციით, აჭარის ა/რ რეგლამენტით და "აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით. სწორედ მითითებული კანონი არეგულირებდა და განსაზღვრავდა აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნისა) და დათხოვნის წესს. აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა კი უნდა განხორციელებულიყო აჭარის ა/რ კანონით, რომელიც მიღებული არ ყოფილა, თუმცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა წარმოადგენდა ანაზღაურებად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან თ. დ-მის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არეგულირებდა საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან. აღნიშნული ნორმატიული აქტი მოქმედებდა 2006 წლის 25 მაისის საქართველოს შრომის კოდექსის ამოქმედებამდე, ამდენად, ვინაიდან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან იმყოფებოდა 2001-2004 წლებში, მისი შრომითი ანაზღაურების საკითხის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სწორედ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ თანაბარი მუშაობის პირობებში, მუშაკს უფლება ჰქონდა, თანაბარი ანაზღაურება ჰქონოდა შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად კი მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდებოდა შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგო არ განისაზღვრა აჭარის ა/რ კანონით, არ წარმოადგენდა თ. დ-მის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციით, "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-7 და "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებული იყო შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს არ გააჩნდა თანამდებობაზე სამ წლამდე მუშაობის საჯარო სამსახურის სტაჟი (1999 წლის 19 მარტის რედაქცია), რის გამოც სარჩელი ორი თვის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის 2004 წელს მოქმედი რედაქცია, კუთვნილი კომპენსაციის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტად არ მიიჩნეოდა პირს, რომელსაც გააჩნდა მუშაობის სამ წლამდე სტაჟი, არამედ ხსენებული მუხლის მოქმედი რედაქციის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლეოდა 2 თვის თანამდებობრივი სარგო, მიუხედავად სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობისა, რამდენადაც აღნიშნული ნორმის მოქმედ რედაქციაში რაიმე დათქმა შრომის სტაჟთან დაკავშირებით მითითებული არ იყო. ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლი კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტად მიიჩნეოდა მოხელეს, მაშინ, როცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა იყო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა. ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, ხსენებული კანონის 109-ე მუხლის მოქმედება მოსარჩელეზე არ ვრცელდებოდა.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მიუთითა და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძვლები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვისას დაეყრდნო მხოლოდ აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2005 წლის 16 ივნისის აქტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე უნდა გამოეკვლია თუ რა თანხის ოდენობას იღებდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა წევრები, რათა დაედგინა, თუ რეალურად რა წარმოადგენდა აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ხელფასს, რა ძირითად თანხასა და დანამატს იღებდა ამგვარის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა მოეპოვებინა ხელფასის გაცემის უწყისები, დაეკითხა ბუღალტერი, რომელიც გასცემდა ხელფასს და აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე გამოეტანა დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოების -თ. დ-მის რეალური ხელფასის ოდენობის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს უნდა განესაზღვრა, თუ რა პერიოდის თანხა იყო გაცემული მოსარჩელეზე და რა ოდენობის თანხა დარჩა გასაცემი ხელფასის სახით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით თ. დ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-მე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ პარლამენტი და შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება. მისი აჭარის ა/რ პარლამენტის წევრად ყოფნის დროს კანონით არ იყო მოწესრიგებული პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავდა საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნებას. ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური იყო საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. იმავე კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა იყო საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკური იყო და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრებოდა საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ კონსტიტუციებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენდა აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

სააპელაციო სასამართლომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავდა იმ საჯარო მოსამსახურეების სახეებს, რომლებზეც არ ვრცელდებოდა ამ კანონის მოქმედება. ხსენებული მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, გარდა 1-ლი -მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე და 126-ე მუხლებისა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილება და სტატუსი რეგულირდებოდა აჭარის ა/რ კონსტიტუციით, აჭარის ა/რ რეგლამენტით და "აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით. აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა კი უნდა განხორციელებულიყო აჭარის ა/რ კანონით, რომელიც მიღებული არ ყოფილა, თუმცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა წარმოადგენდა ანაზღაურებად სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობას.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ თ. დ-მის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არეგულირებდა საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან. აღნიშნული ნორმატიული აქტი მოქმედებდა 2006 წლის 25 მაისის საქართველოს შრომის კოდექსის ამოქმედებამდე, ვინაიდან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან იმყოფებოდა 2001-2004 წლებში, მისი შრომითი ანაზღაურების საკითხის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუშაკს უფლება ჰქონდა, თანაბარი მუშაობის პირობებში თანაბარი ანაზღაურება ჰქონოდა შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად კი მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდებოდა შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით და აღიარებული იყო შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 მუხლების საფუძველზე მოწმის სახით დაკითხულ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ყოფილი მთავარი ბუღალტერი ი. ვ-ძე, რომელმაც განმარტა, რომ თ. დ-მის ძირითადი ხელფასი შეადგენდა 330 ლარს, ხოლო დანამატი -150 ლარს, ხელფასის დაქვითვა წარმოებდა იმ დროს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. თ. დ-მის მიღებული ჰქონდა 2004 წლის აპრილის თვის ავანსი 110 ლარი, ხოლო მისაღები ჰქონდა აპრილის ხელფასი -220 ლარი, 7 მაისამდე ხელფასი, შვებულებისა და საშვებულებო დახმარების თანხები. ი. ვ-მის განმარტებით, აჭარის ა/რ წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის) წევრის თანამდებობრივი სარგოს თაობაზე კანონი მიღებული არ იყო და პარლამენტის წევრის ხელფასის ოდენობას აწესრიგებდა პარლამენტის თავმჯდომარის წერილი, რომელიც აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოში არ არსებობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს პარლამენტის წევრის, მათ შორის, თ. დ-მის, თანამდებობრივი სარგოს შესახებ კანონის არარსებობისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით შრომის ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, სამართლებრივად შეუძლებელი იყო დადებითად გადაწყვეტილიყო თ. დ-მის შრომის ანაზღაურების, შვებულების, საშვებულებო დახმარებისა და კომპენსაციის საკითხები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინება თ. დ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. კასატორის განმარტებით, აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს მთავარი ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული აჭარის ა/რ კონტროლის პალატის კომპლექსური რევიზიის აქტის თანახმად, მოსარჩელის სახელფასო და საშვებულებო დავალიანებამ შეადგინა 744,9 ლარი. ზემოაღნიშნულ თანხაში არ შედიოდა ერთი თვის ხელფასი და საკომპენსაციო თანხა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ყოფილი მთავარი ბუღალტრის -ი. ვ-მის განმარტების თანახმად, თ. დ-მის ძირითადი ხელფასი შეადგენდა 330 ლარს, ხოლო დანამატი -150 ლარს. მას მიღებული ჰქონდა 2004 წლის აპრილის თვის ავანსი 110 ლარის ოდენობით, ხოლო მისაღები ჰქონდა აპრილის ხელფასი - 220 ლარი, 7 მაისამდე ხელფასი, შვებულებისა და საშვებულებო დახმარების თანხები. ამასთან,

ი. ვ-დემ განმარტა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის) წევრის თანამდებობრივი სარგოს თაობაზე კანონი მიღებული არ იყო და პარლამენტის წევრის ხელფასის ოდენობას აწესრიგებდა პარლამენტის თავმჯდომარის წერილი, რომელიც აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოში არ არსებობდა. აღნიშნულის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს შესახებ კანონი არ არსებობდა და შეუძლებელი იყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით შრომის ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა, სამართლებრივად დადებითად ვერ გადაწყდებოდა თ. დ-ძის შრომის ანაზღაურების, შვებულების, საშვებულებო დახმარებისა და კომპენსაციის საკითხები, რაც კასატორმა უსაფუძველოდ მიიჩნია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო სამართალური თეორიის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არ გამოიყენა, ვინაიდან ხსენებული კოდექსის მე-16 და მე-19 მუხლებისა და 42³ მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ხელფასის ოდენობა განისაზღვრებოდა შრომის ხელშეკრულებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. დ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 27 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით თ. დ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 5 თებერვალს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თ. დ-ძე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ, დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ პარლამენტი და, შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება. მოსარჩელის აჭარის ა/რ პარლამენტის წევრად ყოფნის დროს კანონით არ იყო მოწესრიგებული პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების საკითხი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნებას. ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. იმავე კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ კონსტიტუციებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის იმავე მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენს აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი. ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს იმ საჯარო მოსამსახურეების სახეებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება. ხსენებული მუხლის 1¹-ლი პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე არ ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, გარდა 1-ლი -მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე და 126-ე მუხლებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლო მსჯელობას იმის თაობაზე, რომ თ. დ-მის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მიმართ არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება და სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არეგულირებდა საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან. აღნიშნული ნორმატიული აქტი მოქმედებდა 2006 წლის 25 მაისის საქართველოს შრომის კოდექსის ამოქმედებამდე, ვინაიდან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან იმყოფებოდა 2001-2004 წლებში, მისი შრომითი ანაზღაურების საკითხის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომლის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუშაკს უფლება ჰქონდა, თანაბარი მუშაობის პირობებში თანაბარი ანაზღაურება ჰქონოდა შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად კი მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდებოდა შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით და აღიარებული იყო შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილება და სტატუსი რეგულირდება აჭარის ა/რ კონსტიტუციით, აჭარის ა/რ რეგლამენტით და "აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" კანონით. სწორედ მითითებული კანონები არეგულირებს და განსაზღვრავს აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობაზე არჩევის (დანიშნვისა) და დათხოვნის წესს. აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა კი უნდა განხორციელებულიყო აჭარის ა/რ კანონით, რომელიც მიღებული არ ყოფილა, თუმცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა წარმოადგენდა ანაზღაურებად სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობას, რასაც თვითონ სააპელაციო სასამართლოც მიუთითებს გასაჩივრებულ განჩინებაში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია იმ კუთხით, რომ სააპელაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან ერთად საბოლოოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს პარლამენტის წევრის, მათ შორის, თ. დ-მის, თანამდებობრივი სარგოს შესახებ კანონის არარსებობისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით შრომის ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, სამართლებრივად შეუძლებელი იყო დადებითად გადაწყვეტილიყო თ. დ-მის შრომის ანაზღაურების, შვებულების, საშვებულებო დახმარებისა და კომპენსაციის საკითხები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგო არ განსაზღვრულა აჭარის ა/რ კანონით, არ წარმოადგენს თ. დ-მის სახელგასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციით, "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-7 და "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევის თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ფაქტობრივი გარემოებები არასრულყოფილად დაადგინა. შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი პირობების დარღვევლად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი განჩინება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საკასაციო სასამართლოს მითითებები იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით უნდა მოეპოვებინა მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოეტანა დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ რა თანხას იღებდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა წევრები, რათა სარწმუნოდ დაედგინა, თუ რეალურად რა წარმოადგენდა აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ხელფასს, რა ძირითად თანხასა და დანამატს იღებდა ამგვარის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა მოეპოვებინა ხელფასის გაცემის უწყისები და აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე გა-

მოეტანა დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოების -თ. დ-ძის რეალური ხელფასის ოდენობის შესახებ, რაც სააპელაციო სასამართლომ არ განახორციელა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. დ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. დ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი გასამრჯელოს გადახდის დავალბა

განჩინება

#ბს-1622-1576 (კ-08)

1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ქ-ვამ 2007 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის კუთვნილი ხელფასის -7200 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით ე. ქ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ქ-ვა სამსახურიდან განთავისუფლებამდე (2005 წლის 28 ოქტომბრამდე) წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, კერძოდ, ეკავა ... სახელმწიფო ჯიშაშენში ... თანამდებობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მოსამსახურეთა უფლებები და გარანტიები რეგლამენტირებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავით, ხოლო შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) მიღების საფუძვლები განსაზღვრულია ამავე საკანონმდებლო აქტის 37-ე მუხლით; ამ მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს; პირველი ინსტანციის სასამართლომ მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა 2005 წლის 28 ოქტომბერს #8-კ ბრძანების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) -7200 ლარის, ანაზღაურების დაკისრებაზე იმ პირობებში, როდესაც მას ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვს შრომითი ურთიერთობა მოპასუხესთან. მით უფრო, რომ ე. ქ-ვას მიერ მითითებულ პერიოდში (2005 წელს) სამართლებრივ სივრცეში საერთოდ არ არსებობდა მოსარჩელის მიერ მითითებული შრომის კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა 2006 წელს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოცემულია აღმქურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გასაჩივრების უფლება ე. ქ-ვას არ გამოუყენებია და დროულად არ გამოუხატავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ აქტის მიმართ, რამაც მთელი რიგი ვალდებულებები წარმოშვა. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მასზე დავალბებული ქონების მოვლა-პატრონობაზე გაწეულ ხარჯებს და მათი ანაზღაურების საკითხს, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი სხვა სამართლებრივი რეგულირების სფეროს განეკუთვნება და ვერ გახდება მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალბებულების, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გადახდის დაკისრების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ე. ქ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ვამ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი თვლის, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი ხელფასის ანაზღაურებაზე. კასატორის აზრით, მისი სასარჩელო განცხადების საგანი არის არა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსადმი ქმედების განხორციელების დავალბებულება, რის გამოც კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად მოახდინა ადმინისტრაცი-

ული ხელშეკრულების ლეგალური დეფინაცია. კასატორის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-201 ბრძანების მე-2 პუნქტი მიჩნეულ უნდა იქნეს ადრესატის ნების გამოვლენად, რადგან მასში პირდაპირ და ნათლად არის მითითებული, რომ განთავისუფლებულ . . . დაევალით ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა და დაეკისრათ მატერიალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ქონების სრულ გადაბარებამდე (ზუსტად იგივე ვალდებულებები ეკისრებოდა ე. ქ-ვას განთავისუფლებამდე). კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას გაშვებული აქვს აღმკურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა, ვინაიდან მოცემული სარჩელი არის ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელი, რომლისათვის გასაჩივრების ვადები კანონით დადგენილი არ არის.

კასატორი მიუთითებს, რომ მას სასამართლოსთვის არ მოუთხოვია სამოქალაქო კოდექსის 717-ე მუხლის მიხედვით მარწმუნებლისაგან ხარჯების ანაზღაურების დავალდებულება, მიუხედავად ამისა, რომ აღნიშნულის მოთხოვნის საფუძველი არსებობდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ე. ქ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგი გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ე. ქ-ვა მუშაობდა . . . სახელმწიფო ჯიშაშენში . . . საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის 2005 წლის 28 ოქტომბრის #8-კ ბრძანებით მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით 2005 წლის 28 ოქტომბრიდან ე. ქ-ვა განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. მითითებული ბრძანება გაიცა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აგვისტოს #145 დადგენილებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 28 სექტემბრის #2-201 ბრძანების

შესასრულებლად დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტით განთავისუფლებულ დირექტორებს დაევალით ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა და დაეკისრათ მატერიალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ქონების სრულ გადაბარებამდე.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ასევე ის გარემოება, რომ ე. ქ-ვა ზემოაღნიშნულ ბრძანების საფუძველზე ახორციელებდა დაკისრებულ მოვალეობებს, ვინაიდან იქ იყო პირუტყვის გარკვეული რაოდენობა და ამასთანავე ბალანსზე ირიცხებოდა სამი ერთეული შენობა-ნაგებობა და ტექნიკა, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებდნენ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის 2007 წლის 4 ივლისის წერილში აღნიშნულია, რომ ჯიშაშენზე რიცხულ თხებზე მიმდინარე თვეში გამოცხადდებოდა აუქციონი და შესაბამისად მოხდებოდა მათი გასხვისება, პრივატიზების შემდეგ კი ე. ქ-ვას მოეხსენებოდა პასუხისმგებლობა მათ მოვლა-პატრონობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს ჩხოროწყუს წარმომადგენლობის 2007 წლის 30 მაისის #4/01 ცნობით კი დასტურდება, რომ 2005 წლის 28 ოქტომბრიდან 2007 წლის 30 აპრილამდე ე. ქ-ვა ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საქმეში წარმოდგენილია ასევე მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს ჩხოროწყუს რაიონში წარმომადგენელმა ე. ს-ავამ 2007 წლის 4 მაისს ყოფილ . . . სახელმწიფო ჯიშაშენში . . . ე. ქ-ასაგან ჩაიბარეს 46 მეგრული თხა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. ქ-ვა სამსახურიდან განთავისუფლებამდე ე.ი 2005 წლის 28 ოქტომბრამდე წარმოდგენდა საჯარო მოხელეს, ეკავა . . . სახელმწიფო ჯიშაშენში . . . თანამდებობა; სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მას შორის შრომითი ურთიერთობა წარმოდგენდა საჯარო-სამართლებრივ შინაარსის მქონე ურთიერთობას, იგი რეგულირდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მეშვეობით; ამავე კანონით რეგლამენტირებულია მოსამსახურეთა უფლებრივი გარანტიები და შრომითი გასამრჯელოს მიღების საფუძველები; ამ კანონის 37- მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსაურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გა-

სამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის 2005 წლის 28 ოქტომბრის #83 ბრძანებით მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ე. ქ-ვას დაევალა ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა და მას მატერიალური პასუხიმგებლობაც დაეკისრა აღნიშნული ქონების გადაბარებამდე, ამიტომ სასამართლოს სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა ზემოაღნიშნულ ბრძანების მე-2 პუნქტისათვის; ამ პუნქტის შესაბამისად განესაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები; საქმის მასალების მიხედვით შეემოწმებინა ე. ქ-ვას მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება, ასევე ისიც, თუ ვის მიერ იყო გაღებული მიზნობრივი ქონების და პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ხარჯები 2005 წლის 28 ოქტომბრიდან 2007 წლის 4 მაისამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ე. ქ-ვას საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების წესი

განჩინება

#ბს-602-576(23-08) 11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

27.12.06წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. თ-შვილმა მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ და კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება, სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში 22 889 ლარის ხელფასისა და კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს -1800 ლარის, სულ -

24689 ლარის და შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებისათვის, იძულებით გაცდენის მთელი დროისათვის, საშუალო ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.05წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 04.08.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც "ა. თ-შვილი აღდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ლაბორატორიის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე, რისი უზრუნველყოფაც დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს; ა. თ-შვილს აუნაზღაურდა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებით გამოწვეული იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე მთელი პერიოდისათვის" და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა - ა. თ-შვილს აუნაზღაურდა ხელფასი სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე; ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 30.05.06წ. შევიდა. კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ და შრომის წიგნაკი ა. თ-შვილს არ ჩაჰბარებია "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 110-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით, მოხელის შრომის წიგნაკში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, გათავისუფლების თარიღის აღნიშვნით. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ კანონზე დაყრდნობით ფორმულირება (მუხლის და შესაბამისი პუნქტის მითითებით) მოხელის შრომის წიგნაკში შეიტანება მხოლოდ მისივე მოთხოვნის საფუძველზე. მოპასუხებმა არ შეასრულეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.06.04წ. #396-კს ბრძანების ა. თ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობის ვალდებულება, ამის გამო არ შესრულდა მოსარჩელის მიმართ ანგარიშსწორებისა და შრომის წიგნაკის ჩაბარების ვალდებულებები, ვინაიდან საბაჟო დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციამ კანონით დადგენილი წესით არც სამუშაოდან გაათავისუფლა, არც დაწესებულებისაგან კუთვნილი მთელი თანხის ოდენობა დაუდგინა, რომელიც დათხოვნისას ეკუთვნოდა, არ მისცა შრომის წიგნაკი და ადმინისტრაციის ბრალით მოხდა ამ ვალდებულებების შესრულების დაყოვნება.

მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა ბოლო სასარჩელო მოთხოვნა და 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31.3 მუხლის თანახმად, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის გადახდა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს ა. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში 2004 წლის 7 ივნისიდან 2005 წლის 5 იანვრის ჩათვლით 956,90 ლარის ანაზღაურება, 2005 წლის 5 იანვრიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით -10650 ლარის ანაზღაურება, 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 30 მაისის ჩათვლით -5000 ლარის ანაზღაურება. ა. თ-შვილს, სამსახურიდან გათავისუფლების გამო, კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს -1800 ლარის ანაზღაურების ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნაზე ეთქვა უარი. მოსარჩელეს უარი ეთქვა ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის 0,07%-ის გადახდაზე. ა. თ-შვილს თანამდებობრივ სარგოზე კვების კომპენსაციის, წელთა ნამსახურობის, პრემიისა და სხვა დანამატების გაცემაზე ეთქვა უარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დაევალა მოსარჩელე ა. თ-შვილისათვის შრომის წიგნაკის დაუყოვნებლივ გაცემა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრდა აგრეთვე ა. თ-შვილის მიერ, რომელმაც გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. განჩინებით სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდში ხელფასის ანაზღაურების შესახებ ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნაზე წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ა. თ-შვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -დაევალოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება -ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. თ-შვილი მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში საბაჟო ლაბორატორიის უფროსის თანამდებობაზე, საიდანაც გათავისუფლდა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.06.04წ. #396-კს ბრძანებით. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 23.12.04წ. გადაწყვეტილებით მითითებული ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი ა. თ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 20.04.05წ. შევიდა, ხოლო მისი აღსრულების მიზნით 18.11.05წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.05წ. გადაწყვეტილებით აპელანტების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 04.08.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. თ-შვილი აღდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ლაბორატორიის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე, რისი უზრუნველყოფაც დაევალოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ა. თ-შვილს აუნაზღაურდა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებით გამოწვეული იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე მთელი პერიოდისათვის და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება -ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და მას აუნაზღაურდა ხელფასი სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 30.05.06წ. და შესულია კანონიერ ძალაში. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და დაწყებულია მისი იძულებითი აღსრულება. მიიჩნია რა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ამავე სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი აჭიანურებდნენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას და სამსახურიდან მისი გათავისუფლების კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შეტანილი სარჩელით ა. თ-შვილმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურისგან მოითხოვა -კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება, სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში ხელფასის -22 889 ლარისა და კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს -1800 ლარის, სულ -24689 ლარის და 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31.3 მუხლის თანახმად, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. თ-შვილი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და იგი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რადგან მუშაობდა ამ სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საბაჟო დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის თანამდებობაზე. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.06.04წ. #396-კს ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც მოხდა ა. თ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ იგი ფინანსთა მინისტრის ბრძანებით უნდა გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან. "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით ა. თ-შვილმა ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა 01.12.06წ., მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამავე მოთხოვნით მან სასამართლოს სარჩელით იმავე წლის 26 დეკემბერს მი-

მართა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის აღნიშნული მოთხოვნის დასაშვებობის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ზემოხსენებული მუხლების შესაბამისად, საფუძვლიანი იყო ა. თ-შვილის მოთხოვნა, რადგან მოპასუხეების უარი ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, ეწინააღმდეგებოდა კანონს და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულების საფუძველს ქმნიდა. სარჩელის მოთხოვნა სამსახურიდან გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს -1800 ლარის ანაზღაურების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. მითითებული ნორმით გათვალისწინებული გამოსასვლელი დახმარების გასაცემად აუცილებელი იყო, რომ მოხელე გათავისუფლებული ყოფილიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 110-ე მუხლის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდებოდა ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. მოცემულ შემთხვევაში ბრძანება, რომლითაც ა. თ-შვილი სამსახურიდან იყო გათავისუფლებული, ბათილად იყო ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. ახალი ბრძანება ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ იყო გამოცემული. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სარჩელის მოთხოვნა 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31.3 მუხლის თანახმად, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდის შესახებ და აღინიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელზეც არ შეიძლებოდა მოქმედი შრომის კოდექსის ნორმების გავრცელება. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო, რომლის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლო აღმასრულებლის ვალდებულებას წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა დროული და ეფექტური აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ ბუნდოვანია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩანაწერი, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელისათვის შრომის წიგნაკის გადაცემა გათავისუფლების ბრძანების მითითებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე გაცემული ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს აცხადებს აღდგენაზე. ერთადერთი შედეგი, რაც შეიძლება მოყვეს გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობას, არის სამსახურში აღდგენა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირი არ ექვემდებარება სამსახურში აღდგენას, ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ გათავისუფლებულ პირსა და სამსახურს შორის შრომითი ურთიერთობა არ აღდგება. თუ პირი ითხოვს მხოლოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობას და არ ითხოვს სამსახურში აღდგენას ან უარს აცხადებს აღდგენაზე, იგი, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების ბრძანება გაბათილდა, არ შეიძლება ჩაითვალოს სამსახურთან შრომით ურთიერთობაში მყოფად. ა. თ-შვილს 29.12.05წ. სასამართლო სხდომაზე სამინისტროს მიერ შეთავაზებული იქნა შესაბამისი თანამდებობა, რაზეც მან უარი განაცხადა. ა. თ-შვილს სასამართლოს 29.12.05წ. გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.05.06წ. განჩინებით. მითითებული განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ დავალება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემა, რაც, კასატორების აზრით, გულისხმობს, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში აღარ იმყოფება სამსახურთან. ა. თ-შვილის შრომის წიგნაკში მითითებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.12.05წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ა. თ-შვილს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, შესაბამისად ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ა. თ-შვილს შორის შეწყდა შრომითი ურთი-

ერთობა. კასატორის აზრით, სამინისტრო არ არის უფლებამოსილი, ხელახლა გამოსცეს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.11.08წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.05წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 04.08.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც "ა. თ-შვილი აღდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ლაბორატორიის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე, რისი უზრუნველყოფაც დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ა. თ-შვილს აუნაზღაურდა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებით გამოწვეული იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე მთელი პერიოდისათვის" და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და ა. თ-შვილს აუნაზღაურდა ხელფასი სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე. ა. თ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უკეთეს პირი არ ექვემდებარება სამსახურში აღდგენას, გათავისუფლებულ პირსა და სამსახურს შორის შრომითი ურთიერთობა არ აღდგება. ამასთანავე, საფუძველს მოკლებულია კასატორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტროს არ ევალება ა. თ-შვილის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან ა. თ-შვილის მიერ დაკავებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა გაუქმდა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს თანამდებობაზე აღდგენაზე უარი ეთქვა ასეთი თანამდებობის არარსებობის გამო, ამასთანავე, აღნიშნულით არ გადაწყვეტილა ა. თ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი, რადგან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს ადმინისტრაციას, გამოსცეს პირის გათავისუფლების შესახებ აქტი. რაც შეეხება ა. თ-შვილის შრომის წიგნაკში გათავისუფლების საფუძვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.05წ. გადაწყვეტილების მითითებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით ა. თ-შვილი არ გათავისუფლებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, არამედ მას უარი ეთქვა აღნიშნულ თანამდებობაზე აღდგენაზე, თანამდებობის არარსებობის გამო. კასატორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.12.05წ. გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.05.06წ. განჩინებით ადმინისტრაციას არ დევალება ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოები იხილავდნენ ა. თ-შვილის სარჩელს, მოსარჩელე ითხოვდა სამსახურში აღდგენას და არა გათავისუფლებას, ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებით ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების აქტის გამოცემის არ დაკისრება არ ადასტურებს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის X თავით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებისაგან ადმინისტრაციის გათავისუფლებას. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 110-ე მუხლი იმპერატიულად უთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. მოხელის შრომის წიგნაკში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გათავისუფლების თარიღის აღნიშვნით. ამდენად, კანონი არ ითვალისწინებს შრომის წიგნაკში პირის გათავისუფლების საფუძ-

ვლად სასამართლოს გადაწყვეტილების მითითების შესაძლებლობას. ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.06.04წ. #396 ბრძანების ბათილად ცნობისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.05წ. გადაწყვეტილებით ა. თ-შვილისათვის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ფაქტები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოშობს ა. თ-შვილისათვის შრომის წიგნაკის გაცემის ვალდებულებას. საკასაციო სასამართლო, ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ა. თ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლება განეკუთვნება ადმინისტრაციის უფლებამოსილებათა რიგს და არ წარმოადგენს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის სფეროს (სასკ-ის 2.4 მუხ.), თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მართებულად დაევალით ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-199-193(კ-09)

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 ივნისს თ. ც-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თ. ც-მე 1995 წლიდან 2008 წლის 3 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. სამსახურიდან გათავისუფლებამდე კი იყო ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსი მრჩეველი.

მოსარჩელის განმარტებით, მისთვის 2007 წლის ბოლოს ზეპირი ინფორმაციის საშუალებით გახდა ცნობილი მოსალოდნელი საშტატო ერთეულის შემცირების თაობაზე, რის შესახებაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 26 ნოემბრის #03/46-ო ბრძანების შესაბამისად, სააგენტოს გარკვეული მოსამსახურეების ვალდებულებას შეადგენდა ის, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად, მოეხდინათ სამუშაოდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მოსარჩელის გაფრთხილება. სააგენტოში არსებობდა სპეციალური გაფრთხილების ბარათი სამსახურიდან მოსალოდნელი გათავი-

სუფლების შესახებ, რაზეც სააგენტოს მოხელეები აწერდნენ ხელს, რომ სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ისინი წერილობით იყვნენ გაფრთხილებულნი. მოსარჩელის განმარტებით, მას ხსენებული გაფრთხილების ბარათი არ ჩაჰბარებია და არც ხელი მოუწერია მასზე. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მისი გათავისუფლების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის 2008 წლის 3 იანვრის #04/01-კ ბრძანებაში არ იყო მითითებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა იგი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების დროს დარღვეულ იქნა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 53-ე, 54-ე, 56-ე, 57-ე და 58-ე მუხლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის 2008 წლის 3 იანვრის #04/01-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ც-ძის სასარჩელო განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი სადავო -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის 2008 წლის 3 იანვრის #04/01-კ ბრძანება თ. ც-ძის გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს თ. ც-ძის მიმართ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში მისი შრომითი მოწყობის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; თ. ც-ძეს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან მისი შრომითი მოწყობის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მიიჩნია, რომ თ. ც-ძის გათავისუფლება მოხდა ისე, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იგი არ ყოფილა გაფრთხილებული სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხები მმართველობის სფეროს განეკუთვნებოდა და შეადგენდა ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, სადავო სამართალური თიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ თ. ც-ძეს უნდა ანაზღაურებოდა გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებით განაცდური ხელფასი, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანება ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა. სასამართლომ მიუთითა "საჯარო სამსახური შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძველის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტმა აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებდა წერილობით გაფრთხილებას მხოლოდ ხანგრძლივი შრომისუნარობის გამო გათავისუფლებისას. აპელანტმა აგრეთვე განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ

მოხელეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში არ გააფრთხილებდნენ, ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად ეს იქნებოდა კომპენსაციის საფუძველი და არა აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

აპელანტმა მიუთითა, რომ იგი მოქმედებდა და ხელმძღვანელობდა "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" ორგანული კანონის 48-ე მუხლის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 17 იანვრის #10/ო ბრძანების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც და საფუძველზე სააგენტოში დასაქმებულ მოსამსახურეთა რაოდენობა შემცირდა 205-დან 192 ერთეულამდე, მათ შორის მოსარჩელის შტატი "...", რომელიც იყო ერთადერთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე თ. ც-მე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად არ ჰყავდათ გაფრთხილებული სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც "მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო გათავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც" და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა არ ავალდებულებდა ადმინისტრაციას გაფრთხილების წერილობითი ფორმით განხორციელების შესახებ, წერილობით გაფრთხილება სავალდებულო იქნებოდა მხოლოდ ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება თ. ც-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 26 ნოემბრის #03/46 ბრძანებულების შესაბამისად სააგენტოში გამოიცა სპეციალური ბარათი მოხელის გაფრთხილების შესახებ, რაზედაც მოხელე თავისი ხელმოწერით ადასტურებდა, რომ გაფრთხილებულია ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს რეორგანიზაციისა და საშტატო ერთეულების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. კასატორმა განმარტა, რომ ასეთ ბარათზე ხელმოწერით გაფრთხილებულ იქნა სააგენტოს ყველა თანამშრომელი, ხოლო იგი არ გაუფრთხილებიათ და, შესაბამისად, მას ხელი არ მოუწერია.

კასატორმა მიუთითა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის წერილობით პასუხში არ იყო აღნიშნული და აგრეთვე პირველ ინსტანციაში სააგენტოს არ უხსენებია სტენდი ან თვალსაჩინო ადგილი, ხოლო აპელაციაში ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ აღნიშნა, რომ გაფრთხილება გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილზე, თუმცა რაიმე მტკიცებულება ამის თაობაზე არ წარმოუდგენია.

კასატორმა აგრეთვე მიუთითა შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, მოხელის რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების საკითხის გამოსარკვევად გადაწყვეტია მოხელის კვალიფიკაცია და შრომის ნაყოფიერება. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ეს გარემოება, რადგან მისი შრომითი სტაჟი და კვალიფიკაცია სამაგალითო იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ც-მის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 12 თებერვლის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 16 აპრილამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით თ. ც-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით

და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 11 ივნისს, 11.30 საათზე; მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცა 10 დღის ვადა 2009 წლის 16 აპრილის განჩინების ჩაბარებიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის 2008 წლის 3 იანვრის ბრძანება #04/01-კ-ით, მოსალოდნელი რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის, შტატების შემცირების საფუძვლით, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს ... თ. ც-მე. აგრეთვე დადგენილია, რომ მოსარჩელე არ იქნა წერილობით გაფრთხილებული ერთი თვით ადრე, გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. იმავე კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამკამყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო გათავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ავალდებულებს ადმინისტრაციას, მათ გაფრთხილებას ჰქონდეს წერილობითი ხასიათი და წერილობითი გაფრთხილება სავალდებულოა მხოლოდ ხანგრძლივი შრომისუუნარობის დროს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წერილობითი გაფრთხილება სავალდებულოა როგორც ხანგრძლივი შრომისუუნარობის დროს, ისე -დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამკამყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო გათავისუფლებისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი, სადაც აღნიშნულია გაფრთხილების წესი მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას. ამდენად, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის მეორე პუნქტზე, სადაც მითითებულია, რომ ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ამ კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გარდა, მოხელეს ეძლევა ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისათვის, ხოლო 109-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 108-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევა არის საფუძველი 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოსა და დამატებით ყოველი გადაცილებული დღისათვის ხელფასის მიღების. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, ხოლო 108-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევა არ წარმოადგენს საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ისეთ დარღვევას, რაც აქტის ბათილობის საფუძველი იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, მოხელის რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების საკითხის გამოსარკვევად გადაწყვეტია მოხელის კვალიფიკაცია და შრომის ნაყოფიერება, რადგან ეს მუხლი აღნიშნული ფორმულირებით გათვალისწინებული იყო შრომის კანონთა კოდექსში, რომელიც გაუქმებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 25 მაისის კანონით, შესაბამისად იგი ვერ იქნება გამოყენებული სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის განსაზღვრული სარჩელის ბედი, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, მაგრამ სარჩელის საკითხი არ გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. ც-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ც-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ც-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ც-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო

სამსახურიდან განთავისუფლება რეორგანიზაციის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-1367-1325(კ-07) 10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

მ. მ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მ. მ-მე მუშაობდა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოში მოქალაქეთა განცხადებებზე მიღების განყოფილების უფროსად. საარქივო სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 მარტის #55 ბრძანებით, სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაციის გამო იგი გათავისუფლდა სამსახურიდან.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

გასაჩივრებული ბრძანება უკანონოა, ვინაიდან სამმართველოში ჩატარებულ რეორგანიზაციას არ მოჰყოლია შტატების შემცირება -რეორგანიზაციამდე სამმართველოში იყო 60 საშტატო ერთეული და ამდენივე დარჩა რეორგანიზაციის შემდეგაც. ამასთან, მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული ფუნქციები სამმართველოში შენარჩუნებულ იქნა და ისინი გადანაწილდა სხვადასხვა შტატზე, შესაბამისად, მის მიერ დაკავებული შტატი არ შემცირებულა.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

“საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 96-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის საფუძველზე მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლდა. ამდენად, სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს, ამასთან, იგი ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას.

მოპასუხე აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მითითებულ სამმართველოში რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველი გახდა აჭარის ა/რ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის #12 დადგენილება, რომლის თანახმად, შეიცვალა სამმართველოს სტრუქტურა და შტატები. სამმართველოს დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა სამმართველოს სტრუქტურა და დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი, სადაც მოსარჩელის მიერ დაკავებული საშტატო თანამდებობა აღარ განისაზღვრა. ამდენად, სამმართველოში მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილება აღარ არსებობდა და შესაბამისად, აღარც მოსარჩელის საშტატო ერთეული იყო დარჩენილი. ამასთან, სამმართველომ მ. მ-მესთან გააფორმა შრომითი ხელშეკრულება და მოსარჩელე კვლავ საარქივო სამმართველოში მუშაობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მუშაობდა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოში მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილების უფროსად. აჭარის ა/რ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის #12 დადგენილებით “აჭარის ა/რ საარქივო სამმართველოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საარქივო სამმართველოს დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, გაუქმდა სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის, მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილება და შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის საფუძველზე ცვლილებები შევიდა სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგში. საარქივო სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 მარტის #55 ბრძანებით სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაციის გამო, მ. მ-მე გათავისუფლდა სამუშაოდან მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილების გაუქმების გამო.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 97-ე მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება სამსახურიდან გათავისუფლებულიყო დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირებისას. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. მ-მის სამუშაოდან განთავისუფლდა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამდენად, არ არსებობდა სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ და მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო, არაობიექტური და დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. სასამართლომ არასწორად შეაფასა და არ გაითვალისწინა მტკიცებულებები, კერძოდ, რეორგანიზაციამდე და რე-

ორგანიზაციის შემდგომი სამტატო განრიგები და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ რეორგანიზაციას მოჰყვა შტატების შემცირება. სასამართლომ ისე ჩათვალა დადგენილად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება. როგორც სარჩელში, ასევე სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ მითითებულ იქნა იმ გარემოებაზე, რომ საარქივო სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა საარქივო სამმართველოს მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილება, თუმცა საარქივო სამმართველოში რეორგანიზაციას არ მოჰყოლია დაწესებულების 60 სამტატო ერთეულით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება.

საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96.2 მუხლი, რომლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ასევე სასამართლომ მიერ არ იქნა გამოყენებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა კანონი-რეორგანიზაცია ნიშნავს დაწესებულებაში სამტატო თანამდებობების გაუქმებას, ახალი სამსახურების, განყოფილებების, თანამდებობის შემოღებას და თანამდებობრივი ფუნქციების გადანაწილებას, რაც სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული.

მოწინააღმდეგე მხარემ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ ცნო მ. მ-მის სარჩელი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მუშაობდა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოში მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილების უფროსად. აჭარის ა/რ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის #12 დადგენილების თანახმადაც, სამმართველოს დებულებაში შევიდა ცვლილება და დამტკიცდა ახალი სამტატო განრიგი, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. გაუქმდა 3 სამსახური და 5 განყოფილება, მათ შორის ის განყოფილება, სადაც მოსარჩელე მუშაობდა. საარქივო სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 მარტის #55 ბრძანების თანახმად, მ. მ-მე გათავისუფლდა სამსახურიდან განყოფილების გაუქმების გამო, რომელშიც ის მუშაობდა. საარქივო სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 მარტის #101 ბრძანების თანახმად, მ. მ-მე აყვანილ იქნა დამხმარედ საარქივო სამმართველოს დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო ტექნიკური დამუშავების განყოფილებაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. მ-მის გათავისუფლების საფუძველად ბრძანებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97.1 მუხლის მითითება კანონიერი იყო, ვინაიდან ეს მუხლი ითვალისწინებდა რეორგანიზაციის შედეგად მუშაკის გათავისუფლებას, თუ მას შტატების შემცირება მოჰყვა, ხოლო საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის თანამდებობა გაუქმდა და აღარ არსებობდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მ. მ-მე ხელშეკრულებით იქნა გადაყვანილი არქივის სამმართველოს უფროსის მოდგილედ, რომელიც 3 თვის ვადით იქნა დადებული, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მ. მ-მეს არ გაუგრძელდა ხელშეკრულების ვადა, რაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. დამსაქმებლის სურვილი იყო, გააგრძელებდა თუ არა ხელშეკრულებას დასაქმებულთან, ანუ მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელმა გამოხატა ნება, რომ მას მ. მ-მესთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელება არ სურდა, შესაბამისად, სასამართლო ვერ ჩაერეოდა დაწესებულების დისკრეციულ უფლებამოსილებაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორის განმარტებით, რეორგანიზაცია ნიშნავს დაწესებულებაში სამტატო თანამდებობების გაუქმებას, ახალი სამსახურების, განყოფილებების, თანამდებობების შემოღებას და თანამდებობრივი ფუნქციების გადანაწილებას, რაც სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, იმის შესახებ, რომ გაუქმდა ძველი თანამდებობა, მაგრამ ის ფუნქციები, რაც მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილებას გააჩნდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე იქნა გადანაწილებული. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად მიუთითა, ასევე, შრომის კოდექსი, რომლის საფუძველზეც მიიჩნია, რომ აღნიშნული კოდექსი არ ითვალისწინებს სამუშაოზე აღდგენას. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.1 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

კასატორის განმარტებით, სადავო ბრძანება ზიანს აყენებს მის უფლებას. საარქივო სამმართველოში გაუქმდა არაერთი განყოფილება, მათი ფუნქციები გადანაწილდა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ განყოფილებებზე 60 საშტატო ერთეულიდან. დანარჩენი მოხელეები ყველა დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად ახლად შექმნილ თანამდებობებზე, მათ შორის ისინიც, რომლებსაც საარქივო სამმართველოში ჩატარებული ატესტაცია არ ჰქონდათ გავლილი. რეორგანიზაციის შედეგად თანამდებობებზე გადანაწილების დროს მხედველობაში არ იქნა მიღებული ატესტაციის შედეგები. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე დადგენილია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 19 დეკემბრის განჩინება #ბს-333-466-კ-03).

მოწინააღმდეგე მხარეს აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს წერილობითი შეპასუხება საკასაციო საჩივარზე არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის "ბ" პუნქტის საფუძველზე მ. მ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად /დივერგენტული კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა მ. მ-მემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოს წარმომადგენელმა არ ცნო მ. მ-მის საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. მ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოს 2008 წლის 11 მარტის #55 ბრძანება ძალაში შესვლის მომენტიდან, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოს დაევალოს გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი მ. მ-მის სამსახურში აღდგენის თაობაზე, ასევე დაევალოს აუნაზღაუროს მ. მ-მეს იძულებითი განაცდური 2008 წლის 30 მაისიდან (სამთვიანი ხელშეკრულების მოშლიდან) ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე დროის პერიოდში სახელფასო განაკვეთისა და საკონტრაქტო ანაზღაურების განსხვავების მიცემით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სასამართლო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. "ე" მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტს სამართლებრივი შეფასება მისცა არა მასში მითითებული სამართლებრივი საფუძვლის, არამედ, სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენლის განმარტების (რომელიც სრულ შეუსაბამობაშია აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველთან) მიხედვით, რაც სრულ წინააღმდეგობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით დადგენილ აქტის კანონიერების შემოწმების კრიტერიუმებთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოს ბრძანება მ. მ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეწყდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩელე მ. მ-მესა და აჭარის ა/რ მთავრობის საქ-

ვეუწყებო დაწესებულება –საარქივო სამმართველოს შორის. სადავო ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებულია აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში ცენტრალური აპარატის 2008 წლის სამტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდგვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლობიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს, იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი –უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის პრეამბულის საფუძველზე განმარტავს, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და შესაბამისად სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირით-

თად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე, აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე, მისი გათავისუფლების საკითხიც.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. მ-მის გათავისუფლების საფუძველად ბრძანებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97.1 მუხლის მითითება კანონიერი იყო, რადგან ეს მუხლი ითვალისწინებდა რეორგანიზაციის შედეგად მუშაკის გათავისუფლებას, თუ მას შტატების შემცირება მოჰყვა, ხოლო საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის თანამდებობა გაუქმდა და აღარ არსებობდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამოდინარეობს საქმის მასალებისა და მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან, ვინაიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება საერთოდ არ არის გამოცემული "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის საფუძველზე; სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მითითებას, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97.1. მუხლის საფუძველზე - რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, რამდენადაც სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებულია აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს 2008 წლის #15 ბრძანება - "აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში ცენტრალური აპარატის 2008 წლის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ საქმის განხილვის მიმდინარეობისას, საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე მ. მ-მ სამსახურიდან გათავისუფლდა შტატების შემცირების გამო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97.1. მუხლის საფუძველზე, ანუ ფაქტობრივად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი კვალიფიკაცია მოხდა მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96.2. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97.1. მუხლის თანახმად კი მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაცია მხოლოდ მაშინ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, როცა მას შედეგად მოჰყვება შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე დაწესებულებაში რეორგანიზაციას არ მოჰყოლია შტატების შემცირება და ეს ფაქტი სადავო არ გამხდარა მხარეებისათვის. ასეთ შემთხვევაში სადავო აქტის სასამართლოში მისადაგებული სამართლებრივი კვალიფიკაცია კრიტიკას ვერ უძლებს, შესაბამისად, არ არსებობს არანაირი წინაპირობა მისი გაზიარებისთვის.

საკასაციო სასამართლოს მიმართა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადავო ბრძანების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა რეალურად მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი და კონკრეტულად, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის რომელი ნორმის საფუძველზე გათავისუფლდა მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლოს მიმართა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს რა საფუძველს, რომელიც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობა გახდა, ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე დაასკვნა, თუ რა შეიძლებადა ყოფილიყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი და კონკრეტულად "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის რომელი ნორმის მიხედვით გათავისუფლდა მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქმის მასალების თანახმად, აჭარის ა/რ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის #12 დადგენილებით "აჭარის ა/რ საარქივო სამმართველოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საარქივო სამმართველოს დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, გაუქმდა სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის, მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილება და შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის საფუძველზე ცვლილებები შევიდა სამმართველოს ცენტრალური აპარატის სამტატო განრიგში, თუმცა რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყოლია, რამდენადაც განხორციელებულ ცვლილებამდე აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოში არსებობდა 60 სამტატო ერთეული, ამასთან, რეორგანიზაციის შემდეგაც სამტატო განრიგი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში კვლავ 60 შტატით განისაზღვრა.

საკასაციო სასამართლოს მიმართა, ის გარემოება, რომ სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი, გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც მოხდა ბრძანების გამოცემა, წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისი ძალაში შევლის მომენტიდან ბათილად ცნობის საფუძველია, კერძოდ, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს და გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ანუ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცედურული საფუძველი, აქტი არ არის მოხდენილი "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის საფუძველზე სამართლებრივი კვალიფიკაცია, დადგენილი ფაქტები, რის გამოც არსებითად არის დარღვეული ადმინისტრაციული აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი და სადავო აქტი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, მუშაკის უფლებათა დაცვის გარანტიაა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობისა და ა.შ. როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიმართა, რომ მ. მ-მე ექვემდებარება სამსახურში უპირობო აღდგენას. ამასთან, კონკრეტული თანამდებობის შერჩევა, რომელზეც ის უნდა აღდგეს, წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას ყოველი კონკრეტული გარემოების ერთობლიობაში გათვალისწინებით, რაზეც სასამართლო ვერ იმსჯელებს. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100.1. მუხლის საფუძველზე, უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკ-

ვლევის საფუძველზე მ. მ-ძის სამსახურში აღდგენის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127.5 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავისთავში გულისხმობს ზოგადად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლებულ იქნა, თუმცა საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, რომ ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (ასე მაგალითად, შტატი არ საჭიროებდა უმაღლეს განათლებას, მაშინ, როცა რეორგანიზაციის საფუძველზე ამგვარი შტატის დასაკავებლად უმაღლესი განათლება იყო საჭირო.), ხოლო ის გარემოება, რომ მ. მ-ძის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა ამგვარი სახელწოდებით აღარ არსებობს, არ წარმოადგენს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ფუნქციურად სხვა საშტატო ერთეული, რომელიც რეორგანიზაციის შემდგომ ჩამოყალიბდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურაში, იმავე სახის უფლება-მოვალეობებით არ არის აღჭურვილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ პირობებში, როცა მ. მ-ძის გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გადაწყვეტილების მიღება მ. მ-ძის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს უნდა დაევალოს აუნაზღაუროს მ. მ-ძეს იძულებითი განაცდური 2008 წლის 30 მაისიდან (სამთვიანი ხელშეკრულების მოშლიდან) ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მომენტამდე დროის პერიოდში სახელფასო განაკვეთისა და საკონტრაქტო ანაზღაურების განსხვავების მიცემით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4, 257-ე, 372-ე, 391-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნას ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს 2008 წლის 11 მარტის #55 ბრძანება ძალაში შესვლის მომენტიდან;
5. დაევალოს მოპასუხე აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებას საარქივო სამმართველოს გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. მ-ძის სამსახურში აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
6. მოპასუხეს აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს დაევალოს აუნაზღაუროს მ. მ-ძეს იძულებითი განაცდური 2008 წლის 30 მაისიდან (სამთვიანი ხელშეკრულების მოშლიდან) ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემის მომენტამდე დროის პერიოდში სახელფასო განაკვეთის და საკონტრაქტო ანაზღაურების განსხვავების მიცემით;

7. აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სა-
ხით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციის გამო

განჩინება

#ბს-1021-985(2კ-08)

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 სექტემბერს დ. გ-ძემ, ჟ. ც-ძემ, მ. ჯ-იამ, ნ. ლ-ძემ, დ. ჭ-ძემ, მ. ბ-ძემ, თ. ბ-იძმა, ი. ჩ-ძემ, ნ. ფ-ძემ, ე. ა-ძემ, რ. ს-ძემ, მ. ბ-ძემ და მ. ა-იამ სასარჩელო გან-
ცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების -ქ. ქუთაისის მერიისა და
სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელები წლების მანძილზე მუშაობდნენ
სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციაში სხვადასხვა თანამ-
დებობებზე და წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს. "ადგილობრივი თვითმმართველობის სა-
ხელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურის დამტკი-
ცების შესახებ" ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 გან-
კარგულებისა და "ადგილობრივი თვითმმართველობის ქუთაისის სახელმწიფო სანიტარული ზედამ-
ხედველობის ინსპექციის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო სანიტარული ზე-
დამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების
საფუძველზე, ამავე ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებით, სამსახურის
ოპტიმიზაციის შედეგად შტატების შემცირების მოტივით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართვე-
ლოს კანონის 97-ე, 108-ე და 109-ე მუხლების გამოყენებით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან დათ-
ხოვნილ იქნენ: დ. გ-ძე -ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ექიმი-ინსპექტორის თანამშრომლის, ჟ. ც-
ძე -კვების ჰიგიენის ექიმი-ინსპექტორის თანამშრომლის, მ. ჯ-ია -ინჟინერ-დოზიმეტრისტის, ნ. ლ-
ძე, დ. ჭ-ძე, მ. ბ-ძე, თ. ბ-იდი და ი. ჩ-ძე -კვების ჰიგიენის ლაბორანტის, ნ. ფ-ძე, ე. ა-
ძე, რ. ს-ძე და მ. ბ-ძე -კომუნალური ჰიგიენის ლაბორანტის, ხოლო მ. ა-ია -შრომის ჰიგიენის
ლაბორანტის თანამდებობებიდან. სადავო ბრძანებაში მიეთითა, რომ მოსარჩელებს უნდა გასწორე-
ბოდათ საბოლოო ანგარიში და მისცემოდათ ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაცია.

მოსარჩელებმა ზემოაღნიშნული ბრძანებები უკანონოდ მიიჩნიეს და განმარტეს, რომ საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამო-
ცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით
დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო
ნაწილს. კანონის აღნიშნული ნორმის მოთხოვნები დაირღვა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემ-
სრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებისა და სახელმწიფო სანიტარული ზედამ-
ხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების
გამოცემისას, რამდენადაც აღნიშნული ადმინისტრაციული აქტები არ შეიცავდა იმის დასაბუთებას,
თუ რამ განაპირობა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის
რეორგანიზაცია და ამავე ინსპექციის მუშაკთა შტატების შემცირება.

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო აქტების გამოცემით დაირღვა ასევე "საჯარო სამსახურის
შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ად-
გილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკ-
ვეთებს და თანამდებობათა დასახელებას ამტკიცებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეუ-
ლის საკრებულო. აღნიშნულ საკითხზე ქ. ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილება არ მიუღია,

რითაც ქ. ქუთაისის მერიამ ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის თანამდებობათა დასახელების დამტკიცებისას გადაამეტა თავის უფლებამოსილებას.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. იმავე პუნქტის თანახმად, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება, მოხელე შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ხსენებული კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლებოდა გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდებოდა იმავე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს, ხოლო თანამდებობის შემცირების შესახებ მოხელესთვის უნდა ეცნობებინათ ერთი თვით ადრე. მოცემულ შემთხვევაში კი მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მოსარჩელებს რაიმე შეტყობინება ადმინისტრაციისაგან არ მიუღიათ.

მოსარჩელეთა განმარტებით, მოსარჩელეთა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას ადასტურებდა ადმინისტრაციის მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. ხსენებული მუხლის თანახმად, შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლეოდა თანამდებობრივი სარგო, რაც არც ერთ მათგანს არ მიუღია. მათ ასევე არ მიუღიათ წლების მანძილზე დაგროვილი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რაც 96288 ლარს შეადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე სამუშაოდან დათხოვნის ნაწილში იმავე ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობებზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს, მოსარჩელე ნ. ფ-მის გარდა, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით აუნაზღაურდა სახელფასო დავალიანება.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა სარჩელი დააზუსტა და განმარტა, რომ მ. ჯ-ია და დ. ჭ-ძე მოითხოვდნენ მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, ი. ჩ-ძე - მხოლოდ სამსახურში აღდგენას, ხოლო დანარჩენი მოსარჩელები - სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციას დაევალა მოსარჩელე შ. ც-მის სასარგებლოდ 643 ლარის, მ. ჯ-იას სასარგებლოდ - 738 ლარის, ნ. ლ-მის სასარგებლოდ - 572,50 ლარის, დ. ჭ-მის სასარგებლოდ - 45 ლარის, მ. ბ-მის სასარგებლოდ - 701 ლარის, თ. ბ-იდის სასარგებლოდ - 377,50 ლარის, ე. ა-მის სასარგებლოდ - 269,50 ლარის, რ. ს-მის სასარგებლოდ - 87,10 ლარის, მ. ბ-მის სასარგებლოდ - 599 ლარის და მ. ა-იას სასარგებლოდ - 327,50 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. გ-ძემ, შ. ც-ძემ, ნ. ლ-ძემ, დ. ჭ-ძემ, მ. ბ-ძემ, ი. ჩ-ძემ, ნ. ფ-ძემ, ე. ა-ძემ, რ. ს-ძემ, მ. ბ-ძემ და მ. ა-იამ, რომლებმაც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირებად მადონა ხელაძე, თალიკო წ-ძე, ნ. უვა, ი. კ-ძე და ლ. ნ-ძე ჩაებნენ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, დ. გ-მის, შ. ც-მისა და სხვათა სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ე. ა-მის, მ. ბ-მის, დ. ჭ-მის, რ. ს-მის, ი. ჩ-მისა და ნ. ლ-მის მიმართ, შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23

იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჯ-ძის, რ. ს-ძის, ი. ჩ-ძისა და ნ. ლ-ძის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე; მოპასუხეს ასევე დაევალა აღნიშნული პირებისათვის 2006 წლის 1 სექტემბრიდან ახალი აქტის გამოცემამდე განვლილი დროის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ე. ა-ძემ, მ. ბ-ძემ, დ. ჯ-ძემ, რ. ს-ძემ, ი. ჩ-ძემ, ნ. ფ-ძემ, ნ. ლ-ძემ, დ. გ-ძემ, ჟ. ც-ძემ, მ. ბ-ძემ და მ. ა-იამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში საკასაციო წესით გასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა საკასაციო საჩივარზე დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის საკასაციო საჩივარიც განუხილველი დარჩა საკასაციო საჩივარზე დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებმა: ე. ა-ძემ, მ. ბ-ძემ, დ. ჯ-ძემ, რ. ს-ძემ, ნ. ლ-ძემ და ი. ჩ-ძემ საკასაციო საჩივარზე უარი განაცხადეს და შუამდგომლობით მიმართეს საკასაციო სასამართლოს საქმეზე წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჯ-ძის, რ. ს-ძის, ნ. ლ-ძის, ი. ჩ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მათ ნაწილში საკასაციო საჩივარზე წარმოება შეწყდა; ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჯ-ძის, რ. ს-ძის, ნ. ლ-ძის, ი. ჩ-ძის ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება; ნ. ფ-ძის, დ. გ-ძის, მ. ა-იას, ჟ. ც-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება აღნიშნული კასატორების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებით, შტატების შემცირების მოტივით. აღნიშნული ბრძანების საფუძველი იყო ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება, რაც ასევე წარმოადგენდა სარჩელის საგანს. ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურა 20 სამტატო ერთეულით, მათი დასახელებების განსაზღვრით. საკასაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ინსპექციის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია და შტატები შემცირდა 37 ერთეულით. იმავე განკარგულებით სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსს დაევალა სამტატო განრიგის დამტკიცება. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით დამტკიცდა ინსპექციის სამტატო განრიგი შტატების შემცირების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში მოქმედი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია წარმოადგენდა საკრებულოს ზოგად უფლებამოსილებას. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - საკრებულო. აქედან გამომდინარე, საქალაქო სამსახურის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და შემცირების შე-

დეგად დასატოვებელ სამტატო ერთეულების დასახელებათა განსაზღვრით წარმოადგენდა საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ საკითხს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო სრულყოფილად დასაბუთებული. მხოლოდ ქ. ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 15 თებერვლის #139 გადაწყვეტილება, რომლითაც ცვლილება შევიდა აღნიშნულ #128 გადაწყვეტილებაში და რომლებზეც მიუთითებდა სააპელაციო სასამართლო, არ წარმოადგენდა ქ. ქუთაისის მერისათვის აღნიშნული უფლებამოსილების ერთმნიშვნელოვნად დელეგირების დადასტურებას. მართალია, ქ. ქუთაისის საკრებულოს #128 და #139 გადაწყვეტილებები, რომლითაც გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობრივი სარგოები ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, გულისხმობდა ხელფასის გაზრდის უზრუნველყოფას შტატების შემცირების პირობებში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტი საკრებულომ დამტკიცა უკვე გაზრდილ სამტატო რიცხოვნობაზე, სააპელაციო სასამართლოს სარწმუნოდ უნდა გამოეკვლია, განხორციელდა თუ არა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სადავო განკარგულების გამოცემა ქ. ქუთაისის საკრებულოს მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე ან მოწონებულ იქნა თუ არა საკრებულოს მიერ მერის მოვალეობის შემსრულებლის აღნიშნული მოქმედება. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საყურადღებო იყო, თუ რა დოკუმენტით იყო დამტკიცებული სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის საქალაქო სამსახურის წინა სამტატო განრიგი, რომლის შეცვლა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით განხორციელდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სარჩელზე (ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 და 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება; ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 და 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებები დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სამუშაოდან გათავისუფლების ნაწილში; დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური 6 თვესა და 21 დღეზე გაანგარიშებით, მათი სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის დადგენილი სახელფასო განაკვეთის შესაბამისად; დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 29 ივლისის #27 და 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებების ბათილად ცნობისა და დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ქ. ქუთაისის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე და განმარტავს, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. ქ. ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები. ხსენებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს #726 ბრძანებულება. ქ. ქუთაისის

საკრებულოს 2006 წლის 14 დეკემბრის #8 დადგენილებით დამტკიცდა ქ. ქუთაისის მერიის დებულება და სტრუქტურა, შეიქმნა აღნიშნული სტრუქტურით გათვალისწინებული ერთეულები. ამ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახური. ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 15 თებერვლის #139 გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილებაში. ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 15 თებერვლის #139 გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განისაზღვრა, რომ თვითმმართველობის აპარატსა და საქალაქო სამსახურებში შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. კასატორის განმარტებით, ქ. ქუთაისის საკრებულოს სწორედ ხსენებული გადაწყვეტილება იყო ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების გამოცემის საფუძველი. ამდენად, ქ. ქუთაისის მერიას არ გადაუჭარბებია თავისი უფლებამოსილები-სათვის. ამასთან, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, მერს ევალებოდა საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამტატო განრიგი. აღნიშნული ბრძანება გამოცემული იყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტისა და შესაბამისი ინსპექციის დებულების მე-5 მუხლის "თ" პუნქტის შესაბამისად. ხსენებული ბრძანების გამოცემის საფუძველი იყო ასევე ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და სანიტარული კოდექსის 44¹-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, რამდენადაც ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება კანონიერი იყო, არ არსებობდა არც სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო აქტი გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და იგი არ ეწინააღმდეგებოდა მას.

კასატორი აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. კასატორი მიუთითებს, რომ, რამდენადაც შესაბამის სამსახურში შეიქნა ახალი სამტატო ერთეულები, შეუძლებელი იყო დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სამუშაოზე აღდგენა, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირის მხოლოდ იმავე თანამდებობაზე აღდგენა ხდებოდა. ამასთან, კასატორის განმარტებით, დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძისა და მ. ა-იას სამსახურიდან გათავისუფლებისას სრულად იქნა დაცული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დ. გ-ძემ, ჟ. ც-ძემ, ნ. ფ-ძემ და მ. ა-იამაც გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მათ მიმართ იძულებითი განაცდურის ასანაზღაურებელი სახელფასო თანხის განსაზღვრის ნაწილში. კასატორებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვეს 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 20 ივნისამდე.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრის ნაწილში უკანონო იყო. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, ხსენებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც ამ ნაწილში იგი უნდა გაუქმებულიყო.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც დ. გ-ძე, ჟ. ც-ძე, ნ. ფ-ძე და მ. ა-ია გათავისუფლდნენ სამსახურიდან, ხოლო მათი სასარჩელო მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა იმ მიზეზით, რომ რეორგანიზაციის საფუძველზე სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის საქალაქო სამსახურის სამტატო ერთეულები თავისი ძველი ფუნქციის შენარჩუნებით ახლად შექმნილ სამსახურს არ გადასცემია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნა, რომ აპელანტებისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდი უნდა განსაზღვრულიყო მათი სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან, 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 21 მარტამდე, ხსენებული სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ ქ. ქუთაისის საკრებულოს შესაბამისი

დადგენილების მიღებამდე, რაც კასატორებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ თვით-მმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 25 აპრილის #61 დადგენილებით და ამავე დადგენილებით დამტკიცებული "თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულებით" დასტურდებოდა, რომ სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, ისევე როგორც სხვა საქალაქო სამსახურები, რეორგანიზებულ იქნა ქ. ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურად და სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ფუნქციები თავისი სამტატო ერთეულებით გადაეცა მას, რომელიც ისევ ფუნქციონირებდა. მართალია, კონკრეტული თანამდებობების შესაბამისი სამტატო ერთეულები, რომლებიდანაც გათავისუფლდნენ კასატორები, აღარ არსებობდა ქ. ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურში და ამის გამო მათ სარჩელს სამუშაოზე აღდგენის ნაწილში კანონიერად ეთქვა უარი, თუმცა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდი უკანონოდ იქნა განსაზღვრული მათი სამუშაოდან გათავისუფლებიდან სამსახურის რეორგანიზაციამდე დროის მონაკვეთით.

კასატორთა მითითებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. იმავე კოდექსის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების, ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობდა აღდგენაზე.

კასატორთა განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ ხელფასის მიუღებლობა მოპასუხის უკანონო აქტის გამოცემით იყო განპირობებული, შესაბამისად, მათ იძულებითი განაცდური ეკუთვნოდათ უკანონოდ დათხოვნიდან ამ ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუმცა ქ. ქუთაისის მერიის პოზიციის გათვალისწინებით, რომელმაც აღიარა და ვალდებულება იკისრა, იმავე პირობებში მყოფ სხვა მოსარჩელეთა მიმართ იძულებითი განაცდურის თანხა აენაზღაურებინა 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 20 ივნისამდე პერიოდის მდგომარეობით, კასატორთა განმარტებით, მათი მოთხოვნაც ანალოგიურად უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. ქუთაისის მერიისა და დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, ნ. ფ-ძის, მ. ა-იას საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, განჩინებების ჩაბარებიდან შესაბამის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 27 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 5 თებერვალს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეები სამუშაოდან გათავისუფლდნენ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებით, შტატების შემცირების მოტივით. აღნიშნული ბრძანების საფუძველია ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება, რომლებიც სარჩელით ასევე წარმოადგენს დავის საგანს.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურა 20 სამტატო ერთეულით, მათი დასახელებების განსაზღვრით. დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ინსპექციის შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და შტატების შემცირდა 37 ერთეულით. ამავე განკარგულებით სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსს დაევალა სამტატო განრიგის დამტკიცება.

სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით დამტკიცდა ინსპექციის სამტატო განრიგი შტატების შემცირების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის ძირითადი მოტივი აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უკანონობასთან დაკავშირებით არის ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი არ იყო უფლებამოსილი განესაზღვრა საქალაქო სამსახურის სამტატო რიცხოვნობა, სადავო განკარგულებით შეემცირებინა საქალაქო სამსახურის შტატები და მოეხდინა საქალაქო სამსახურის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია.

მოსარჩელეთა მოსაზრებით აღნიშნული საკითხი შედიოდა არა ქალაქის მერის, არამედ საკრებულოს კომპეტენციაში, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში მოქმედი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია წარმოადგენს საკრებულოს ზოგად უფლებამოსილებას. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის "ვ" პუნქტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო –საკრებულო. აქედან გამომდინარე საქალაქო სამსახურის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და შემცირების შედეგად დასატოვებელი სამტატო ერთეულების დასახელებათა განსაზღვრით წარმოადგენდა საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ საკითხს. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციაა ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია. მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების შექმნა, მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი ადგილობრივი სამსახური არის ამ კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ შექმნილი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხორციელებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით კი უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგერთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადებულიყო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოში აპელანტების მიერ დამატებით წარმოდგენილი ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის წერილით ირკვეოდა, რომ ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სადავო განკარგულების გამოცემაზე საკრებულოს თანხმობის დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი ქ. ქუთაისის საკრებულოში დაცული არ იყო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის საკრებულოს არ მოუხდენია ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელზე მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის დელეგირება და არც შემდგომში მოუწონებია ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული სადავო აქტი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და, შესაბამისად, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, როგორც კანონშეუსაბამო.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამშრომლების სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებას საფუძვლად დაედო ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული უკანონო (უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემული) ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, აპელანტების მოთხოვნა აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ საფუძვლიანია, შესაბამისად სარჩელი მათი სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მოსარჩელეთა მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. ქუთაისის საკრებულოს 2003 წლის 18 დეკემბრის #148 დადგენილებით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ქუთაისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექცია.

ქ. ქუთაისის მერის 2004 წლის 5 იანვრის #1 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის დებულება.

ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 14 დეკემბრის #8 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის სტრუქტურა, რომელშიც საქალაქო სამსახურის სტატუსი აქვს სანიტარული ზედამხედველობის სამსახურს.

ქ. ქუთაისის 2007 წლის 21 მარტის #44 დადგენილებით მერიის ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სამოქალაქო თავდაცვის, ადმინისტრაციული ზედამხედველობის, საბინაო ფონდის მართვისა და რეგულირების, სანიტარული ზედამხედველობის, ადგილობრივი ქონების განკარგვისა და მიწის მართვის საქალაქო სამსახურები რეორგანიზდა ქ. ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურად. მითითებული სამსახურის დებულება დამტკიცდა საკრებულოს 2007 წლის 25 აპრილის #61 დადგენილებით.

რეორგანიზაციის საფუძველზე სანიტარული ინსპექციის საქალაქო სამსახურის სამტატო ერთეულები თავისი ძველი ფუნქციის შენარჩუნებით ახლადშექმნილ სამსახურს არ გადასცემია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს საფუძველი მოსარჩელების სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ქუთაისის მერიისა და დ. გ-მის, ჟ. ც-მის, ნ. ფ-მის, მ. ა-იას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-166-160(კ-09)

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დასაქმების შესახებ ბრძანების გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 მაისს ს. შ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და დასაქმების შესახებ ბრძანების გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2005 წლის 25 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად, მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებით ჩაირიცხა საჯარო მოხელეთა რეზერვში და 2006 წლის 1 აგვისტოდან დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილების საფუძველზე მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის ბრძანებით დამტკიცდა 27 საშტატო ერთეული და სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გაუქმდა რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფი, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო წარმოება-მომსახურების დეპარტამენტი, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე სამინისტროში ნაცვლად გაუქმებული ქვედანაყოფისა, შეიქმნა ორი ახალი ადმინისტრაციული და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეფორმების დეპარტამენტი, ხოლო სულ დამტკიცდა ოთხი დეპარტამენტი. სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად მინისტრის მიერ გამოიცა პერსონალურად თითოეული მოხელის მიმართ ბრძანება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მათ შორის, 2007 წლის 10 აპრილის ბრძანება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელის მითითებით, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს საშტატო ნუსხის მიხედვით, საჯარო მოხელეთა დანიშვნის დროს უხეშად დაირღვა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 29-ე, 30-ე, 77-ე, 113-ე და 118-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან მოსარჩელე, როგორც განყოფილების გამგის რანგში კონკურსგავლილი, ორი უმაღლესი განათლებით, სწავლული აგრონომისა და ეკონომისტის კვალიფიკაციის მქონე, სოფლის მეურნეობაში მუშაობის 28-წლიანი სტაჟით, სარგებლობდა შტატების შემცირების დროს სამუშაოზე უპირატესი დარჩენის უფლებით. აღნიშნულის მიუხედავად, თანამდებობაზე დაინიშნა გამოცდების ჩაუბარებლად სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირები.

მოსარჩელის მითითებით, შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანების თანახმად, დამტკიცებულ სამინისტროს, საშტატო ნუსხის თანახმად, დაემატა 2 მძღოლის საშტატო ერთეული და ნაცვლად 18 საჯარო მოხელისა, სამუშაოდან გათავისუფლდა 20 სპეციალისტი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანების ბათილად ცნობას, დ. ბ-შვილის, დ. ჯ-იასა და თ. შ-ულის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-01/76, #07-01/69 და #07-01/68 ბრძანებების ბათილად ცნობასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 მაისის განჩინებით ს. შ-მის სარჩელი აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-

01/76, #07-01/69 და #07-01/68 ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში - დაუშვებლად და ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. შ-მემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაუშვებლად ცნობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინებით ს. შ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 მაისის განჩინება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება.

საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დროს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და იმ მოტივით, რომ აღარ არსებობდა ის თანამდებობა, სადაც მოსარჩელე მუშაობდა, სამუშაოზე აღდგენის ნაცვლად მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება მისი დასაქმების თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. შ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. შ-მე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბრის #01-06/91 ბრძანებით ჩაირიცხა საჯარო მოხელეთა რეზერვში, ხოლო 2006 წლის 1 აგვისტოდან დაინშნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის ...-ედ. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილების საფუძველზე სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანებით დამტკიცდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტატო ნუსხა, რომლის თანახმადაც ნაცვლად 45 სამტატო ერთეულისა, დამტკიცდა 27 სამტატო ერთეული და სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გაუქმდა რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფი, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტი, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე ახალი სამტატო ნუსხისა და დებულების შესაბამისად, სამინისტროში რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა 4 ახალი - ადმინისტრაციული, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეფორმის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და იურიდიული დეპარტამენტი.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ რეორგანიზაციის შემდეგ გაუქმდა შტატით გათვალისწინებული ის თანამდებობა, რომელზედაც მუშაობდა მოსარჩელე, კერძოდ, გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეპარტამენტი და ამ დეპარტამენტში არსებული სამტატო ერთეულებიც, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ახალი დეპარტამენტები, რომლებმაც შეიძინეს, განსხვავებული და გაზრდილი ფუნქციები. ამდენად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რეორგანიზაციამდე არსებულ დეპარტამენტებს და მასში არსებულ შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებს არანაირი საერთო არ აქვს ახალი სამტატო ნუსხით დამტკიცებულ დეპარტამენტებთან და მასში არსებულ თანამდებობებთან. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96.2 მუხლის თანახმად, ახალი სამტატო განრიგით მანამდე არსებული ფუნქციების მქონე სხვა თანამდებობის გათვალისწინება ნიშნავს არა მანამდე არსებული თანამდებობის შენარჩუნებას, არამედ შესაბამისი ფუნქციების მქონე ახალი თანამდებობის შემოღებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობა ამგვარ შეღავათს არ ითვალისწინებს, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა უპირატესი უფლების გამოყენების თაობაზე უსაფუძვლოა.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა ახალი აქტის გამოცემის თაობაზე მოპასუხის დავალდებულების შესახებ. სასამართლოს მითითებით, მართალია, მოსარჩელემ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს 2007 წლის 13 აპრილს მისი სამინისტროში დასაქმების მიზნით, მაგრამ მინისტრის 2007 წლის 23 აპრილის წერილით მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულზე საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამუშაოზე მიიღება დანიშვნით ან არჩევით, ამავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად, თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხელის სამუშაოზე მიღება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. შ-მემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, არ იმსჯელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 72-ე-73-ე, 75-ე, 98-ე-99-ე მუხლებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 113-ე მუხლის "ბ" და "გ" პუნქტების მოთხოვნებზე. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ სამინისტროს დებულების შესაბამისად, რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა ახალი, განსხვავებული, გაზრდილი ფუნქციები და რეორგანიზაციამდე არსებულ დეპარტამენტებში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებს არანაირი საერთო არა აქვს ახალი სამშტატო ნუსხით დამტკიცებულ დეპარტამენტებთან და მასში არსებულ თანამდებობებთან. საქმეში წარმოდგენილი აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილების თანახმად, რომლითაც დამტკიცდა სამინისტროს დებულება და სამშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 27 სამშტატო ერთეულით, რაც დაკავშირებულია 45 სამშტატო ერთეულის 27 სამშტატო ერთეულით შემცირებასთან და საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. ამასთან, არ არის წარმოდგენილი სამინისტროს სამშტატო რიცხოვნობის შემცირებამდე არსებული სამინისტროს დებულება, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა სასამართლოს დადგენილად ეცნო ძველსა და ახალ დებულებას შორის რა განსხვავებული და გაზრდილი ფუნქციები იქნა შეძენილი.

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ არ იხელმძღვანელა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 113-ე მუხლის "ბ" და "გ" პუნქტებით.

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ წარმოიშვა ორი ვაკანსია, მაგრამ არ მოხდა მათზე რეზერვში რიცხული პირების დანიშვნა. ასევე, საქალაქო სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების დროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 72-ე-73-ე, 75-ე, 98-ე-99-ე მუხლების დარღვევაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, ს. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანების პირველი პუნქტი ს. შ-ძის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის ...-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო იძულებითი განაცდურისა და სამუშაოზე დანიშვნის მოთხოვნის ნაწილში აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალდებულების შესახებ ს. შ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ს. შ-ძემ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილებით ს. შ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

მეორე კასატორი -ს. შ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას სამუშაოზე მიღებასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ს. შ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ს. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანება ს. შ-ძის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ; აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან და მისი

მხარისათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში, გადაწყვეტილებაში მითითებული არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დავის საგნიდან გამომდინარე -ს. შ-ძის სამსახურიდან განთავისუფლების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის -ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტი ს. შ-ძე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2005 წლის 25 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბრის #01-06/91 ბრძანებით ჩაირიცხა საჯარო მოხელეთა რეზერვში და 2006 წლის 1 აგვისტოდან დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის . . . -ედ.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილების საფუძველზე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის ბრძანებით დამტკიცდა 27 საშტატო ერთეული და სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გაუქმდა რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფი, მათ შორის, სასაფლო-სამეურნეო წარმოება-მომსახურების დეპარტამენტი, რომელშიც მოსარჩელე . . . მუშაობდა. სამინისტროში ნაცვლად გაუქმებული ქვედანაყოფისა, შეიქმნა ორი ახალი - ადმინისტრაციული და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეფორმების დეპარტამენტი, ხოლო სულ დამტკიცდა ოთხი ახალი დეპარტამენტი, კერძოდ, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეფორმების დეპარტამენტი, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშებისა და იურიდიული დეპარტამენტი.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები დარჩა იგივე ანუ რეორგანიზაციამდე არსებული 8 სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციები გადანაწილდა ახლად შექმნილ დეპარტამენტებს შორის.

აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილებით დამტკიცდა სამინისტროს ახალი დებულება, საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 27 ერთეულით. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანებით დამტკიცდა აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშტატო ნუსხა. მინისტრის ამავე თარიღის #07-01/39 ბრძანების შესაბამისად "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე, 97-ე მუხლების, "აჭარის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ა/რ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, "აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილებისა და "აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანების თანახმად "2007 წლის 10 აპრილიდან განთავისუფლდა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის . . . ს. შ-ძე დაკავებული თანამდებობიდან". სამინისტროში ამ დროისათვის დაინიშნა 25 პირი და ვაკანტური დარჩა ადმინისტრაციულ დეპარტამენტში მინისტრის თანაშემწისა და მძღოლის თანამდებობა.

ს. შ-ძე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, ერთი თვით ადრე ეცნობა შტატების შემცირების გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოსალოდნელი შტატების შემცირებასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რაც გამოიხატა ამავე კანონის 108-ე მუხლის საფუძველზე საჯარო მომსახურებისათვის შტატების შემცირების გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ერთი თვით ადრე ცნობით. ამ ვადის ამოწურვისთანავე 2007 წლის 10 აპრილიდან სამინისტროს მოხელეები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. იმავე დღეს 2007 წლის 10 აპრილს ახლად დამტკიცებული საშტატო ნუსხიდან 25 თანამდებობაზე დაინიშნენ მოხელეები და ვაკანტური დარჩა ორი, მინისტრის თანაშემწისა და მძღოლის თანამდებობა. ს. შ-ძე თანამდებობაზე დანიშნულთა რიცხვში არ მოხვდა. მისთვის დარჩენილი ორი ვაკანტური თანამდებობიდან არცერთი არ შეუთავაზებიათ.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საყურადღებოა იმ გარემოებების გამოკვლევა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ს. შ-ძის გათავისუფლებისას და ცვლილებების შედეგად შექმნილ დეპარტამენტში მოსარჩელის დასაქმებაზე უარის თქმისას, მისცა თუ არა ობიექტური შეფასება მის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობის ხარისხს.

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მოსარჩელე ს. შ-ძის სამუშაოდან გათავისუფლებისა და შემდგომ სამსახურში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებულა, რითაც დაირღვა საქართველოს ზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვ-

ნები, რამეთუ ადმინისტრაციული წესით გამოკვლევა საშუალებას მისცემდა ადმინისტრაციულ ორგანოს გამოეკვლია და შეეფასებინა ის არსებითი გარემოებები, რომლებიც უშუალო კავშირშია მის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობასთან.

ასევე საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ახლად დამტკიცებული ნუსხის მიხედვით დასანიშნ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადებული არ იყო. ს. შ-მე 2005 წლის 27-28 აგვისტოსა და 3-4 სექტემბერს სამინისტროში ჩატარებულ კონკურსში ჩაირიცხა საჯარო მოხელეთა რეზერვში "სოფლის მეურნეობის პროდუქტების მარკეტინგის განვითარების განყოფილებაში განყოფილების უფროსის თანამდებობაზე". ამის შემდეგ ს.შ-მე დაინიშნა . . . და განხორციელებული ცვლილებების შედეგად გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. მოხელეთა ახლად დანიშვნებში ს. შ-მე ვერ მოხვდა, სამინისტროში საკონკურსო საატესტაციო კომისია არ ჩამოყალიბდა და ს. შ-მის ძალისხმევა, ჩარიცხულიყო რეზერვში, არ განხორციელდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 113-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად "სამსახურიდან განთავისუფლებული პირებისათვის სამსახურის ახალი ადგილის გამოძებნა-არის მოხელეთა რეზერვის ერთერთი მიზანი", ამავე კანონის 115-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად რეზერვში ირიცხება მოხელე, რომელიც სამსახურიდან განთავისუფლეს დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუნარიანობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ს. შ-მის კონკურსში მონაწილეობა, რეზერვში ჩარიცხვა და თანამდებობაზე დანიშვნა, რასაც მოჰყვა მისი განთავისუფლება შტატების შემცირების გამო, შემდგომ თანამდებობაზე არ დანიშვნა და საკონკურსო საატესტაციო კომისიის არ არსებობის გამო რეზერვში ჩარიცხვის განცხადების განუხილველობა, გამოწვეულ იქნა იმ გარემოებებით, რომ არ მოხდა ს. შ-მის სამუშაოზე მოწყობის საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება.

2007 წლის 10 აპრილს სამინისტროს მოხელეთა გათავისუფლება და იმავე დღეს 27-დან 25 ვაკანტურ ადგილზე მოხელეთა დანიშვნამ, განხორციელდა ერთპიროვნულად, რამაც გამოიწვია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის "დ", "ე" ქვეპუნქტების, 29-ე, 30-ე, 31-ე, 113-118-ე მუხლების გაუთვალისწინებლობა, რამაც განაპირობა, საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, კონკურსში გავლილ პირთა თანამდებობაზე დანიშვნის გაუთვალისწინებლობა და რეზერვში ჩარიცხვის უფლების იგნორირება.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ დავა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, პირველი - განთავისუფლების ნაწილი და მეორე დანიშვნის ნაწილი. რაც შეეხება განთავისუფლების თაობაზე მინისტრის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, კასატორის განმარტებით, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის #28 დადგენილებით სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შემცირდა და ნაცვლად 45 განისაზღვრა 27 საშტატო ერთეული. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილებით დამტკიცდა სამინისტროს ახალი დებულება, საშტატო რიცხოვნობა დარჩა იგივე, ანუ 27 და გაუქმდა სამინისტროს რიგი სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის ის დეპარტამენტი (შესაბამისად, ის თანამდებობა), სადაც მოსარჩელე იყო დასაქმებული.

ვინაიდან რეორგანიზაციისას, რომელსაც თან მოჰყვა შტატების 40%-იანი შემცირება, გაუქმდა სამინისტროში არსებული თითქმის ყველა ქვედანაყოფი და თანამდებობა, შეიქმნა ახალი ფუნქციების მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფები, სრულიად ახალი თანამდებობებით.

შტატების შემცირებასთან დაკავშირებით (შტატები შემცირდა აჭარის არ მთავრობის სამართლებრივი აქტით -2007 წლის 6 მარტის #28 დადგენილებით) სამინისტროს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო თანამშრომლების დაკავებული ანუ უკვე გაუქმებული თანამდებობიდან თანამშრომელთა გათავისუფლების თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, "ადმინისტრაციული წარმოება -არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გა-

დაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით". შესაბამისად, სამინისტრომ განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო მოსალოდნელ განთავისუფლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ეცნობათ დაინტერესებულ პირებს –სამინისტროს საჯარო მოხელეებს მათი შესაძლო გათავისუფლების თაობაზე სამინისტროში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატა მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილებით. სამინისტროს მიზანი იყო ადმინისტრაციული წარმოება ჩაეტარებინა არა შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, რაზეც არასწორად მიუთითებს და არასწორად განმარტავს სააპელაციო სასამართლო, რომ სამინისტროში მოსალოდნელი შტატების შემცირებასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტრომ განახორციელა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მოხელის გაფრთხილებას არა მოსალოდნელი შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, არამედ –მოხელის გაფრთხილებას გათავისუფლების შესახებ შტატების შემცირებისა თუ სხვა საფუძველით. შტატების შემცირება განხორციელდა აჭარის ა/რ მთავრობის სამართლებრივი აქტით და შესაბამისად მთავრობის მიერ გამოსაცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სწორედ მთავრობა განახორციელებდა კანონით გათვალისწინებული წესით ადმინისტრაციულ წარმოებას. გამომდინარე აქედან, მთავრობის მიერ შტატების შემცირების შემდეგ, სამინისტრო ვერ განახორციელებდა შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას, მით უფრო, რომ ეს მის უფლებამოსილებას აღემატებოდა.

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაინტერესებულ მხარეს ეცნობოს იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს დაინტერესებული მხარის სამართლებრივი მდგომარეობა, რითაც მას მიეცემა საშუალება ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს თავისი მოსაზრებები და მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც, ასევე საქმის გარემოებების გამოკვლევისა და საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. ამდენად, სამინისტროს მიერ ჩატარდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მას მიეცა კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები სამინისტროში, რაც არ განხორციელებულა. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მოსარჩელეს არც სასამართლოში წარმოუდგენია რაიმე ახალი მტკიცებულება, რომელიც მის პირად საქმეში არ ინახებოდა, ანუ სამინისტროსათვის ცნობილი არ იყო და რომელიც გავლენას მოახდენდა მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. შესაბამისად, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გათვალისწინებით თანამდებობიდან გათავისუფლდა ყველა ის საჯარო მოსამსახურე, რომლის თანამდებობაც გაუქმდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო დაწესებულების ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მოხელეთა დანიშვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე პროცესია ამავე დაწესებულებაში ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცებამდე დასაქმებულ მოხელეთა გათავისუფლებასთან, რამდენადაც ახალ საშტატო ერთეულზე თანამშრომელი ისე ვერ დაინიშნება, თუკი არ გათავისუფლდა ძველ საშტატო ერთეულზე დასაქმებული თანამშრომელი. ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც დანიშნულიყო მოსარჩელე სამინისტროში ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, გაუქმებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე ბრძანების მიღება მინისტრის ვალდებულებას წარმოადგენდა, როგორც ეს განხორციელდა ყველა სხვა თანამშრომლის შემთხვევაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის სხვა მოთხოვნები", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანება მიღებულია კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნული აქტი აკმაყოფილებს კანონიერი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისათვის დადგენილ, როგორც ფორმალური, ისე –მატერიალური კანონიერების ელემენტებს. რაც გამოიხატება შემდეგში: ა) აქტის მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა ამ აქტის გამოცემის უფლებამოსილება; ბ) აქტის გამოცემისას დაცულია ადმინისტრაციული წარმოების სახე და წესები; გ) აქტი წერილობითი ფორმისაა და შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ რეკვიზიტებს; დ) აქტს გააჩნია დასაბუთება; ე) აქტი შეესაბამება მოქმედ კანონებსა და სამართლის პრინციპებს; ვ) აქტის გამოცემისას დაცულია თანაზომიერების პრინციპი.

კასატორის განმატებით, სზაკ 61¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე (კოლექტიურ სხდომაზე) ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება”.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება მიიღება მინისტრის მიერ ერთპიროვნულად, შესაბამისად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ დარღვეულა 32-ე და 34-ე მუხლები. ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ანუ ამ შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას დაცული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

ხოლო, რაც შეეხება სამსახურში დანიშვნის საკითხს, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამუშაოზე მიიღება დანიშვნით ან არჩევით, ამავე კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად კი თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს. ამდენად, მოხელის სამუშაოზე მიღება წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის დისკრეციულ უფლებამოსილებას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფაგლებში და ეს უნდა განხორციელდეს საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით. რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა კიდევ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე და ყველა თანამშრომელზე სამინისტროში არსებული პირადი საქმეების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებებიდან შერჩეულ იქნა ყველაზე მისაღები გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტროში არსებულ თანამდებობებზე დანიშვნა განხორციელდა სამინისტროს ყოფილი საჯარო მოსამსახურეებისაგან, ანუ არც ერთი ახალი თანამშრომელი არ დანიშნულა არსებულ სამტატო ერთეულებზე, რაც მოწმობს ხელმძღვანელის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებას.

ამასთან, კასატორის განმარტებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, სამინისტროს მიერ მისი აღსრულება იქნება შეუძლებელი. ვინაიდან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის ფაქტი, რომ სამინისტროში რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მანამდე არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის, ის დეპარტამენტიც, რომელშიც მოსარჩელე იყო დასაქმებული და შეიქმნა ორი ახალი დეპარტამენტი და რომ რეორგანიზაციამდე არსებული რვა ქვედანაყოფის ფუნქციები გადანაწილდა ოთხ დეპარტამენტს შორის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2005 წლის 25 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში, გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ს. შ-მე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბრის #01-06/91 ბრძანებით ჩაირიცხა საჯარო მოხელეთა რეზერვში და 2006 წლის 1 აგვისტოდან დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად.

“აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აჭარის ა/რ მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის #28 დად-

გენილებით სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შემცირდა და ნაცვლად 45 საშტატო ერთეულისა განისაზღვრა 27 საშტატო ერთეულით.

"აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს ახალი დებულებით, საშტატო რიცხოვნობა დარჩა კვლავ 27 ერთეული და გაუქმდა სამინისტროს რიგი სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის ის დეპარტამენტი რომელშიც ს. შ-მე მუშაობდა.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2007 წლის 10 აპრილის #07-01/39 ბრძანებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე და 97-ე მუხლების, "აჭარის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ა/რ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, "აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #32 დადგენილებისა და "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის #01-06/20 ბრძანების შესაბამისად, ს. შ-მე გათავისუფლდა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის ... თანამდებობიდან.

საქმეზე ასევე დადგენილადაა ცნობილი, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეებს ეცნობათ შტატების შემცირების გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში საქართველოს ზაკ-ის მე-60¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია წინააღმდეგობრივია და ეფუძნება ნორმის არასწორ განმარტებას.

საქართველოს ზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. წინამდებარე შემთხვევაში ს. შ-მის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ ერთპიროვნულად, შესაბამისად გასაჩივრებული აქტის მიღებისას ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე-34-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ამდენად, წინამდებარე შემთხვევაში სადავო აქტი გამოცემული უნდა ყოფილიყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ფაქტს ადასტურებს სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

რაც შეეხება თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორადაა გაგებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო კვლავაც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რაიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განხორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული დისკრეცია არ გამოირცხავს სასამართლოს კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე -და ეს კონტროლი დაყვანილი არ უნდა იყოს ფორმალურ ნიშნამდე.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებას მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და ა.შ. ადეკვატური, ობიექტური შეფასება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს ობიექტურობის კრიტერიუმის გამორიცხვას და ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობას.

საკასაციო სასამართლო დისკრეციის ფარგლების დარღვევად და საქმის გარემოებების არასრულყოფილ გამოკვლევად ვერ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მხოლოდ იმ გარემოება-

ზე, რომ მუშაობის უფრო ნაკლები სტაჟის მქონე პირს ს. შ-მესთან მიმართებით მიენიჭა სამსახურში დანიშვნის უპირატესი უფლება.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტროში არსებულ თანამდებობებზე დანიშნენ სამინისტროში მომუშავე საჯარო მოსამსახურეები. ს. შ-მის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ არის არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამინისტროში გარეშე მე-3 პირების მიღების ფაქტს. შესაბამისად ამ პირობებში უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება სამინისტროში კონკურსგაუვლელი პირების მიღების თაობაზე. რაც შეეხება დარჩენილ ვაკანსიას მინისტრის თანაშემწის თანამდებობას - მითითებულ თანამდებობაზე (რაზეც ს. შ-მე აპელირებდა) ასევე დაინიშნა სამინისტროს თანამშრომელი ანუ ფაქტობრივად მოხდა სამსახურებრივი გადაადგილება და არა სხვა პირის სამსახურში თანამდებობაზე მიღება. ხოლო რაც შეეხება მუშაობის სტაჟს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მარტოდენ აღნიშნული ვერ იქცევა პირის კვალიფიკაციის განმსაზღვრელ კრიტერიუმად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა სამინისტროში დასაქმებული რომელიმე თანამშრომლის კვალიფიკაციას თუ მისთვის უკანონო უპირატესობის მინიჭებაში ეჭვის შეტანის საფუძველს. ხოლო, რაც შეეხება ს. შ-მეს, მის მიერ წარმოდგენილი არ არის არცერთი დოკუმენტი, რომელიც გააქარწყლებდა კასატორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

რაც შეეხება გასაჩივრებული აქტის ბათილობას მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ ასევე არ არსებობს ამ მოტივით აქტის გაუქმების საფუძველი.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

საქმეზე უდავოდაა დადგენილი, რომ რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროში 45 სამშტატო ერთეულიდან დატოვებულ იქნა 27 სამშტატო ერთეული. ამდენად, სამინისტროში მოხდა რეორგანიზაციას შტატების შემცირებით, რაც ზემოაღნიშნული მუხლისა და ამავე კანონის 96-ე მუხლში 2006 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის 60¹ მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი, ამასთან საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არამართებული გამოყენებისა და განმარტების შედეგად მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ს. შ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლება
რეორგანიზაციის გამო**

განჩინება

#ბს-340-327(2კ-09)

23 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ჯადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. კ-მემ 09.02.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე -აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის 31 იანვრიდან მსახურობდა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურში რეკლამების კოორდინატორის თანამდებობაზე. მოპასუხის მიერ 04.12.06წ. გამოცემული ბრძანებით ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის თანამშრომლებს ეცნობათ, რეორგანიზაციისა და შტატების ან მოსამსახურეთა რიცხოვნობის შემცირების გამო, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. აჭარის ა/რ მთავრობის 26.12.06წ. #100 დადგენილებით ცვლილება შევიდა ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის დებულებაში და მის სტრუქტურულ ქვეგანყოფილებაში აღარ იქნა გათვალისწინებული საფინანსო-საბუღალტრო სამსახური, მაგრამ ახალი სტრუქტურის მიხედვით დეპარტამენტს დაემატა ბუღალტერია და მარკეტინგის სამსახური. მარკეტინგის სამსახურის ფუნქციას რეკლამების განთავსება წარმოადგენდა, რასაც დ. კ-მე ახორციელებდა საფინანსო-საბუღალტრო სამსახურში. დ. კ-მე დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელემ მიუთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 97-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს, თუ მას არ ახლდა შტატების შემცირება. მოსარჩელის შტატი არ შემცირებულა, იმავე ფუნქციის განსახორციელებლად შეიქმნა მარკეტინგის სამსახური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. #34 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.03.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. #34 ბრძანება და მოპასუხე მხარეს -დ. კ-მის მარკეტინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის იძულებითი განაცდურის -აღდგენილ სამუშაოზე გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -ტელევიზიისა და რედიომაუწყებლობის დეპარტამენტმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.11.07წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.03.07წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. კ-მის მოთხოვნა მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო იძულებითი განაცდურის შესახებ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ერთი თვის ხელფასის -550 ლარის ანაზღაურება დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.08.08წ. განჩინებით ვ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა სააპელაციო პალატის 26.11.07წ. გადაწყვეტილება და საქმეზე განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საკასაციო სასამართლომ არ გაზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დ. კ-მე არ იყო საჯარო მოხელე, ხოლო დეპარტამენტი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საკასაციო პალატამ მიიჩნია,

რომ მოპასუხე ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დეწესებულებაა და მასში საქმიანობა საჯარო სამსახურად ითვლება, არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დ. კ-მის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანებაზე "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი ვერ გავრცელდება. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავა არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.08წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.03.07წ. გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. ბრძანება და მოპასუხეს დაევალა ერთი თვის ვადაში, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დ. კ-მის დასაქმებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დეპარტამენტში რეალურად არ განხორციელებულა შტატების შემცირება, რადგან რეორგანიზაციის შემდეგ დარჩა იგივე რაოდენობის სამშაბო ერთეული, რა ოდენობითაც იყო რეორგანიზაციამდე. უწყების რეორგანიზაცია გულისხმობდა გარკვეული თანამდებობების გაუქმებას, ახალი შტატების დაშვებას და უწყების სხვა სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც არ ნიშნავდა დაწესებულების ლიკვიდაციას. რეორგანიზაცია არ წარმოდგენდა მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველს, თუ მას არ მოჰყვა შტატების შემცირება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე არასწორად იქნა აღდგენილი მარკეტინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, ვინაიდან ის გათავისუფლდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის რეკლამების კოორდინატორის თანამდებობიდან.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორი აღნიშნავს, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი სამშაბო ერთეულების რაოდენობრივი ჯამის უცვლელობა, არ ნიშნავს რომ რეალურად არ განხორციელებულა შტატების შემცირება, შტატების ნაწილი გაუქმდა და ახალ სამშაბო განრიგში შეიქმნა ცალკეული თანამდებობები, რაც გაუქმებული შტატების შემცირებას ნიშნავს. დ. კ-მემ წარმოადგინა შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხისთვის სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან მის სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდში ყოველთვიურად 700 ლარის დაკისრება მოითხოვა. შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში არის დაუსაბუთებელი და არ პასუხობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, სასამართლოს უნდა ემსჯელა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 112-ე მუხლის გამოყენებაზე და მის საფუძველზე დაეკმაყოფილებია მოთხოვნა იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 31.01.06წ. #05 ბრძანებით დ. კ-მე დაინიშნა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურში რეკლამების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 04.12.06წ. #68 ბრძანებით - აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - დეპარტამენტის მოსამსახურეებს ეცნობათ მოსალოდნელი რეორგანიზაციის, ასევე სტრუქტურული ცვლილებების გამო თანამდებობათა და/ან მოსამსახურეთა რიცხოვნობის შემცირებასთან დაკავშირებით სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. #34 ბრძანებით დ. კ-მე გათავისუფლდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საფინანსო-საბუ-

დალტრო სამსახურის რეკლამების კოორდინატორის თანამდებობიდან, გათავისუფლების საფუძველად ბრძანებაში მიეთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 97-ე მუხლის პირველი პუნქტი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.03.07წ. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. #34 ბრძანება დ. კ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა -შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დ. კ-ძის დასაქმების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად გამოცხადების შემთხვევაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ახალი აქტის გამოცემის დავალება ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოხელეს აუნაზღაურდება გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 06.12.05წ. გადაწყვეტილება, საქმე #ბს-1230-805(კ-05)). მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისად აღარ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა თავისთავად გულისხმობს ახალი აქტის გამოცემამდე, მიუხედავად იმისა, თუ რა აქტი იქნება გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, შესაბამისად, სასკ-ის 32,4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა წარმოაგენდა არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ აქტის გამოცემის, არამედ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე დავალებული აქტის გამოცემამდე იძულებით განაცდურის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საემარისად დასაბუთებული, რაც სასკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაბუთებას და ემყარება იმ მოსაზრებას, რომ რეორგანიზაცია, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, არ წარმოადგენს მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველს, თუ ასეთ რეორგანიზაციას არ მოჰყოლია შტატების შემცირება, ხოლო დაწესებულების რეორგანიზაციისას შტატები არ შემცირებულა. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე არასწორად იქნა აღდგენილი მარკეტინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, ვინაიდან სადავო ბრძანებით იგი გათავისუფლდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტ-

ტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის რეკლამების კოორდინატორის თანამდებობიდან. სააპელაციო პალატამ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.01.07წ. #34 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის გამოსაკვლევ გარემოებათა მითითების გარეშე, დაავალა ახალი აქტის გამოცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლის გარკვევის დავალება არ წარმოადგენს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ მთავრობის 26.12.06წ. #100 დადგენილებით ცვლილებები იქნა შეტანილი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის დებულებაში და სტრუქტურულ ქვედანაყოფში აღარ არის გათვალისწინებული საფინანსო-საბუღალტრო სამსახური, მაგრამ ახალი სტრუქტურის მიხედვით დეპარტამენტს დამატა ბუღალტერია და მარკეტინგის სამსახური. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. კანონის 97-ე მუხლის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, საშტატო განრიგი განისაზღვრა კვლავ 45 ერთეულით, მაგრამ, გაიყო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები სტატუსის შეიცვალა (ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამოყალიბებით). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. ძველი და ახალი საშტატო განრიგებით შტატების რაოდენობა ჯამში განსაზღვრული იყო 45 ერთეულით, ამასთან, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შტატები არ შემცირებულა. ვინაიდან სასამართლოს არ უმსჯელია დ. კ-ძის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის -საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის რეკლამების კოორდინატორის თანამდებობის სანაცვლო საშტატო ერთეულის შემოღებაზე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უსაფუძვლოა მარკეტინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნა, ვინაიდან სადავო ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლებულია არა სამსახურის უფროსის, არამედ -დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის რეკლამების კოორდინატორის თანამდებობიდან. ამდენად, სააპელაციო პალატა ფაქტობრივად დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 76-ე, 77-ე მუხლების დარღვევით დაავალა მოპასუხეს დ. კ-ძის დაწინაურება, რეკლამების კოორდინატორის თანამდებობას შეეცვალა სტატუსი, რასაც მოჰყვა ფუნქციონალურ-კომპეტენციური მოთხოვნების გაზრდა, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დეპარტამენტის დებულებაში აჭარის ა/რ მთავრობის 13.06.07წ. #64 დადგენილებით შეტანილი ცვლილებისა და განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად რეკლამების კოორდინატორის ფუნქციას ამჟამად მარკეტინგის და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი ასრულებს, რომელიც დეპარტამენტის თავმჯდომარის 19.06.07წ. #39 ბრძანებით დამტკიცებული სამსახურის დებულების შესაბამისად, სარეკლამო საქმიანობის გარდა სხვა ფუნქციებსაც ასრულებს (მარკეტინგული კვლევა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ლიცენზირებული ტელეპროდუქციის მოძიება, შესყიდვა, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინირება, სატელიტური სიგნალისა და პირდაპირი ჩართვების, ტრენინგების ორგანიზება და სხვ.). სააპელაციო პალატას არ დაუდგენია რიგითი საშტატო ერთეულის სხვა რომელი თანამდებობის უფლებამოსილებაში შედის რეკლამების კოორდინაციის ფუნქცია, ამასთან, საშტატო რიცხოვნობის ჯამში იმავე რაოდენობით განსაზღვრა, რაც ძველი საშტატო განრიგით იყო დადგენილი, ცალსახად არ ადასტურებს დ. კ-ძის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობის არსებობას. საქმეზე უნდა დადგინდეს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული რეკლამის კოორდინატორის თანამდებობის ფუნქციონალური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეულის არსებობა, მისი სტატუსი, უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა ადგილი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმართ ფუნქციონალურ-კომპეტენციური მოთხოვნების გაზრდას და სტატუსშეცვლილ თანამდებობაზე დ. კ-ძის აღდგენის შესაძლებლობა. სააპელაციო პალატის მიერ არ არის აგრეთვე დასაბუთებული ის, თუ რატომ სცილდება აღნიშნულ

საკითხზე მსჯელობა სასამართლო კომპეტენციას და სასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად, რატომ განეკუთვნება იგი მხოლოდ ადმინისტრაციის უფლებამოსილებათა რიგს.

გაურკვეველია სააპელაციო პალატის 05.12.08წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწიში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვა რაიმე ნაწილი არ გააჩნია, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 09.02.07წ. გადაწყვეტილებით დ. კ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა სრულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ პასუხობს სსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნებს, არის წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც საკასაციო საჩივარი და შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ზემოაღნიშნული მითითებებით ხელახალი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი და დ. კ-ძის შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.08წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

განჩინება

#ბს-605-574(კ-09) 23 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 სექტემბერს მ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანებით "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" და "ნ" ქვეპუნქტების, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) რეორგანიზაციის თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის #539 ბრძანების მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის #170 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტების თანახმად იგი გათავისუფლე-

ბულ იქნა თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის 2008 წლის 31 ივლისის #16-17-07/3927 წარდგინება.

მოსარჩელის მოსაზრებით, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს; "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, ასევე დაუსაბუთებელია, რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირდა თუ არა და თუ ასეთი მოხდა, ვის მიენიჭა სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება, რით იხელმძღვანელა ადმინისტრაციამ და იმსჯელა თუ არა მისი პიროვნების შესახებ.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში განმარტავდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის შესაბამისად, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო ამავე კოდექსის 60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მ. კ-მე სარჩელში მიუთითებდა, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის მოთხოვნები: დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, სადაო აქტი არ არის დასაბუთებული და მისი გამოცემისას არ არის გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ, არ არის დასაბუთებული სამსახურიდან მისი გათავისუფლების მიზეზები, დაუსაბუთებელია, რომ შემცირდა მისი შტატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას, განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანება და დაევალა მოპასუხე მხარეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შევლიდან ერთი თვის ვადაში.

პირველი ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე მუშაობდა რა თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოქმედება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მოხელეს უფლება აქვს, სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

სასამართლო განმარტავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მიიღოს მოხელე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის #170 ბრძანებით, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდა "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულება", რომლის მე-5 მუხლის თანახმად, სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს, რომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების კომპეტენცია არ გააჩნია საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების საფუძველზე; ასევე კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

პირველი ინსტანციის სასამართლო განმარტავდა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების წინაპირობაა, პირველ რიგში, ამ აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანო იყოს უფლებამოსილი, კონკრეტული ინდივიდუალურ სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმებია: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ფორმალური კანონიერება და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოსცეს უფლებამოსილმა ორგანომ, მისი გამოცემისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის და აღსრულებისკენ. ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულია ან ადმინისტრაციული წარმოების სახეები და ამკვიდრებს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მართივით ადმინისტრაციული წარმოების წესით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერების საფუძვლებია: ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლების დაცვა, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა, დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აცილების უფლება, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას -ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს მის დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდგვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სადავოდაა ქვეყნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანება. მოპასუხე მხარის მიერ მიღებული აქტი განეკუთვნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთა კატეგორიას. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მისი გამოცემისას უნდა და-

ეცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, ანუ აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მიიღოს მოხელე. სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით – ბრძანებით. ამდენად, ბრძანება არის ინდივიდუალური სამართლებრივი ხასიათის და იგი კონკრეტულად მ. კ-მესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას ეხება.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ სადავო ბრძანება ზოგადია და არ არის გამოკვლეული და კონკრეტულად მითითებული, მოსარჩელემ დაარღვია თუ არა კანონი განსახილველ შემთხვევაში და უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის თუ არა გამოკვლეული, რა საფუძველი არსებობდა მოსარჩელის შვებულებიდან გამომდინარე.

სასამართლო განმარტავდა, ვინაიდან ბრძანების სამართლებრივი შედეგია საჯარო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მღებული გადაწყვეტილება, დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით არმრული სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მიაღწიოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას და, შესაბამისად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის ან პირების მიერ, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეულ იქნა ამ აქტით.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელის კომპეტენციაშია, თავად შეარჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც მას ესაჭიროება მიზნის განსახორციელებლად, ასევე, უნდა განსაზღვროს დავის საგანი, სარჩელის შინაარსი და მოცულობა, სასამართლო შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

სასამართლო მიუთითებდა, რომ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის განსაზღვრავს, რომ მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გათავისუფლებლად. ასევე დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები, ასევე, დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს.

საქალაქო სასამართლო აღნიშნავდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება. ამავე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, სასამართლოს მოსთხოვოს ბრძანების, განკარგულების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გა-

ცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 96.2 მუხლების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავდა, რომ სადავო ბრძანება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდება სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანება და დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. კ-მესთან მიმართებაში. ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ უნდა გაირკვეს, რა საშუალო ერთეულებია გათვალისწინებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) და ხომ არ არის მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ახალი განრიგით, ან ხომ არ არის სხვა შესატყვისი სამსახური, რაზეც თანახმა იქნება მოსარჩელე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ნაწილში, სასამართლო მიუთითებდა, რომ მოსარჩელე მ. კ-მეს უნდა აუნაზღაურდეს დათხოვნიდან, ანუ 2008 წლის 1 აგვისტოდან ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური -ხელფასი, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო სადაო ბრძანება დათხოვნის ნაწილში ბათილია და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო.

საქალაქო სასამართლო განმარტავდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, სასამართლოს მოსაზრებით, უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო, ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი და დადასტურებული მტკიცებულება სახელფასო დავალიანებისა და მისი ოდენობის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ მიუთითა, სადავო ბრძანების გამოცემისას კონკრეტულად რომელი პრინციპი იქნა დარღვეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა დაინტერესებული პირის განცხადება, კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე მ. კ-მეს ასეთი განცხადებით ადმინისტრაციისათვის არ მიმართავს და არც სასარჩელო განცხადებაშია ამის შესახებ მითითებული. აპელანტის მოსაზრებით, სადაო ბრძანებაში კონკრეტულად არის მითითებული მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძველები.

აპელანტი ასევე არ ეთანხმებოდა სასამართლოს მსჯელობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეუსწავლელობის ნაწილში, ვინაიდან მისი მითითებით, აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა მთელი რიგი მტკიცებულებებისა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლო ვერ

ასაბუთებს, თუ რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე უნდა იქნეს განსაზღვრული პირის სამსახურში დარჩევის უპირატესი უფლება.

აპელანტი არ ეთანხმებოდა სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი პროცედურული საკითხების უფლებელოდ, ვინაიდან შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებზე ვრცელდება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურში მოხელეთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესსა და პირობებს და მათზე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელება არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნული კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებათა მოქმედების სფეროს.

აპელანტი დამატებით აღნიშნავდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ახალი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის წესები. სასამართლო გადაწყვეტილებაში კი მითითებული არ არის, თუ რაში გამოიხატა სადავო ბრძანების გამოცემისა და მომზადების წესების დარღვევა.

სააპელაციო პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა აღნიშნავდა, რომ მ. კ-მე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს და აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება და მოქმედება და ასევე მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების და გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

სააპელაციო პალატა მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის წლის 1 აგვისტოს ბრძანება განეკუთვნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტით გააზრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთა კატეგორიას. ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს მისი გამოცემისას უნდა დაეცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, ანუ აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ უნდა შემოწმებულიყო სადავო აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, ამდენად, ბრძანება არის ინდივიდუალური სამართლებრივი ხასიათის და იგი კონკრეტულად მ. კ-მესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საჯარო ურთიერთობის შეწყვეტას ეხება. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ სადავო ბრძანება ზოგადია და არ არის გამოკვლეული და კონკრეტულად მითითებული კ-მემ დაარღვია თუ არა კანონი განსახილველ შემთხვევაში და უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლო სწორად აღნიშნავდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს შესწავლილი უნდა იყოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სააპელაციო პალატის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის განსაზღვრავს, რომ მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ასევე დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები, ასევე დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს.

სააპელაციო პალატა ასევე მიუთითდა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, კერძოდ, დადგინდა, რომ 2008 წლის 1 აგვისტოს დამტკიცებული თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საშტატო ნუსხის თანახმად, გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობა დარჩა 27 ერთეული, ნაცვლად რეორგანიზაციამდე არსებული 56 ერთეულისა. საქმეში წარმოდგენილი თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის თანახმად ირკვევა, რომ რეორგანიზაციის შემდგომ სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილებაში შემცირების შემდეგ დანიშნულია ის პირები (ახალი თანამშრომლები), რომლებიც მანამდე აღნიშნულ განყოფილებაში არ მუშაობდნენ. შესაბამისად, ესაა შემთხვევა, როცა რეორგანიზაციის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლებული პირის ნაცვლად აყვანილი იქნა ახალი თანამშრომელი, რაც სააპელაციო პალატის აზრით, უკანონოა და კანონსაწინააღმდეგო.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონისა და "შრომის კანონთა კოდექსით" მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი პროცედურული საკითხების უზუსტობის გამო, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდება სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებას განეკუთვნება, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და სადავო საკითხის -მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტილად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5457-3 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. კ-ქესთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და უცვლელად დატოვა.

მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის #533 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რეორგანიზაცია და შეიქმნა გორის საგადასახადო ინსპექცია და თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) გორის რეგიონალური ცენტრის საბაჟო გამშვები პუნქტის "ყაზბეგის" შეერთებით. აღნიშნული ბრძანებითვე გათვალისწინებულ იქნა იმ თანამშრომელთა საკითხიც, რომლებიც ვერ დაინიშნებოდნენ რეორგანიზებულ ცენტრებში.

კასატორის მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ 2008 წლის 1 აგვისტოს #1826 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საშტატო განრიგი 561 საშტატო ერთეულით. იმის გავითვალისწინებთ, რომ რეორგანიზაციამდე თბილისის საგადასახადო ინსპექციაში მუშაობდა შტატით გათვალისწინებული 637 თანამშრომელი, ამასთან, რეორგანიზაციის შედეგად შეუერთდნენ

საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგის" თანამშრომლები, ესაარეორგანიზაცია შტატების შემცირებით, რასაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაც ითვალისწინებდა.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბრძანება უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელე იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ რეორგანიზაცია განხორციელდა შტატების შემცირებით, კერძოდ გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის ინსპექტორის თანამდებობა რეორგანიზაციამდე იყო 37 ერთეული, რეორგანიზაციის შემდეგ კი დარჩა ინსპექტორის 27 საშტატო ერთეული. ამასთან, არც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და არც შრომის კანონთა კოდექსი არ ითვალისწინებს უპირატესი უფლების მინიჭებას შტატების შემცირების დროს რომელიმე მოხელის მიმართ. სამუშაოზე დანიშვნის უფლება ხელმძღვანელის დისკრეციული უფლებამოსილებათა და მისი ბრძანებით ინიშნება მოხელე ამა თუ იმ თანამდებობაზე.

კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადაო ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მტკიცებულებების არსებითი გამოკვლევის გარეშე, ამავე დროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებზე ვრცელდება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურში მოხელეთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესსა და პირობებს და მათზე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელება არ შეესაბამება ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებათა მოქმედების სფეროს.

კასატორი მიუთითებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. კასატორი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის, თუ რაში გამოიხატა სადავო ბრძანების მომზადებისა და გამოცემის წესის დარღვევა. შესაბამისად სადავო ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა კანონმდებლობით დადგენილი წესები.

კასატორი ასევე სადავოდ ხდიდა სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღების ფაქტს და თვლიდა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხართა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: პროცესუალური მოწინააღმდეგე მ. კ.-მე მუშაობდა თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის ინსპექტორის თანამდებობაზე.

"საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის #539 ბრძანებით აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რეორგანიზაცია. კერძოდ, მითითებული ბრძანებით დადგინდა შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) რეორგანიზაცია (შტატების შემცირებით) შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციად; შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო გამშვები პუნქტის "ყაზბეგის" შეერთებით.

იმავე ბრძანების მე-4 პუნქტით განისაზღვრა იმ თანამშრომელთა საკითხი, რომლებიც ვერ დაინიშნებოდნენ რეორგანიზებულ ცენტრში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 1 აგვისტოს #1826 ბრძანებით დამტკიცდა თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საშტატო განრიგი 561 საშტატო ერთეულით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს #5357-პ ბრძანებით, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) გადასახადების

ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილების ინსპექტორი - მ. კ-მე -გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 1 აგვისტოდან.

მ. კ-მის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის ზემოაღნიშნული #529 ბრძანება. "საქართველოს ფინანსთა მინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) რეორგანიზაციის თაობაზე".

დადგენილია, რომ გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს სამართალდარღვევათა გამოვლენის განყოფილებაში, სადაც მ. კ-მე მუშაობდა, რეორგანიზაციამდე იყო ინსპექტორის 37 სამტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ განისაზღვრა 27 სამტატო ერთეულით.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, სამსახურის რეორგანიზაციისა და სამტატო ერთეულების შემცირების თაობაზე, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, გაიზიაროს კასატორის მოტივაცია გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის თაობაზე და თვლის, რომ განჩინებაში წარმოდგენილი მოტივაცია არ იძლევა განჩინების კანონიერების შემოწმების საკმარის საფუძველს.

"საქართველოს ფინანსთა მინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.

იმავე შინაარსის დებულებას შეიცავს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის 97-ე მუხლის 1 ნაწილი მიუთითებს, დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების შემთხვევაში, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო გამოიყენებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მხოლოდ იმ გარემოებაზე მოტივირების შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა საკუთარი დისკრეციის ფარგლებში. საკასაციო სასამართლო ცალსახად განსაზღვრავს, რომ დისკრეციის უფლების გამოყენება უნდა მოხდეს კანონიერების ფარგლებში. კანონიერების დადგენის მიზნით კი საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან განისაზღვროს, არსებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის თუ არა პირის გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს და სამსახურიდან გათავისუფლება არსებულ ვითარებაში იყო თუ არა მისაღები, აუცილებელი და პროპორციული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ ვითარებაში, თუ სამართალდარღვევათა განყოფილებაში სადაც მ. კ-მე მუშაობდა, შტატების შემცირების მიუხედავად, მიიყვანეს მე-3 პირები, ესაა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის ფუძემდებლური პრინციპის დარღვევა, რაც სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ხდის კანონშესაბამისად, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგენს დასაშვებ საკასაციო პრეტენზიას, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 497-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოკლებულია პროცესუალურ უფლებამოსილებას, უდავოდ მიიჩნიოს ფაქტი იმის თაობაზე, რომ განყოფილებაში მოხდა გარეშე პირთა მიყვანა-სა და თანამდებობაზე დანიშვნა.

კასატორი სადავოდ ხდის რა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარდგენილ იმ სამტატო ნუსხის ამონაკრებს, რომელიც მოსარჩელის მიერ იქნა წარდგენილი და არ გამოიკვლია მთლიანი სახელობითი სამტატო ნუსხა, რითაც ნათელი გახდებოდა, რომ არც ერთი ახალი თანამშრომელი სამსახურში არ დანიშნულა.

იმის გათვალისწინებით, რომ რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაასაბუთოს, კონკრეტულად რა გარემოებები გამოიყენა წინამდებარე საქმესთან მიმართებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლისა და "საქართველოს ფინანსთა მინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სსსკ-ის 105-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია არასულყოფილად, რაც იძლევა გასაჩივრებული განჩინების, როგორც მითითებული ნორმის დარღვევით მიღებული განჩინების, გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება

**გრძელვადიანი მივლინებისას,
სწავლის ხარჯების ანაზღაურება**

განჩინება

#ბს-1092-1054(კ-08) 18 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. მ-შვილმა 03.05.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ დავალიანების _3631,35 აშშ დოლარი 6391,8 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. #23 ბრძანების საფუძველზე, 2000 წლის 16 იანვრიდან 2001 წლის 2 აგვისტომდე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შვეულმფრენის მფრინავის კურსებზე, რასთან დაკავშირებითაც უნდა მომხდარიყო სამივლინებო და სხვა სახის ხარჯების ანაზღაურება. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის 29.09.06 წლის #1641 წერილით სამივლინებო პერიოდი იყო 563 დღე. ხარჯებმა შეადგინა 3631.35 აშშ დოლარი. დ. მ-შვილის არაერთ მოთხოვნას, დავალიანების დაფარვის შესახებ, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე დ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 3631.35 აშშ დოლარის ეკვივალენტი -6391.8 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.08წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს. სასამართლომ საქმის მასალებიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. #23 ბრძანების საფუძველზე დ. მ-შვილი წარგზავნილ იქნა აშშ-ში პროფესიული გადამზადების კურსებზე და სწავლის პერიოდში -2000 წლის 16 იანვრიდან გადაყვანილი იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში ფულადი სარგოს შენარჩუნებით.

სასამართლომ მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მივლინების პერიოდში დ. მ-შვილი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და მასზე უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამსახურეს აქვს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოხელეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი გასამრჯელო (ხელფასი). იმავე კანონის 39-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით. ამავე კანონის 39¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს სამოქალაქო საპრცესო კოდექსის 131-ე მუხლის დეფინიციის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რაზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს ან შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად მიიჩნიოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. ასეთ მტკიცებულებად სასამართლომ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 02.03.07წ. #9/602 წერილი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის 29.09.06წ. #1641 წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ აშშ-ში დ. მ-შვილის სასწავლო მივლინებამ 2000 წლის 16 იანვრიდან 2001 წლის 2 აგვისტომდე შეადგინა 563 დღე და დ. მ-შვილს საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულების მე-2 დანართის საფუძველზე მისაღები აქვს სამივლინებო თანხა 3631,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი -6391,8 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დ. მ-შვილის მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

სააპელაციო პალატამ დამატებით ასევე მიუთითა, რომ შრომითი უფლების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ მოხდა საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა და მიუთითა შემდეგზე:

მოსარჩელის სასწავლებლად წარგზავნა არ უნდა ჩაითვალოს მივლინებად, რადგან ის მიზნები, რომლითაც მოსარჩელე იმყოფებოდა აშშ-ში, არ აკმაყოფილებს სამსახურებრივი მივლინებისათვის კანონით დადგენილ წინაპირობებს, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულების თანახმად, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება მოსამსახურის გამგზავრება დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის თანახმად: "სახელმწიფო მოსამსახურეს 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ეძლევა სასწავლო შევსება 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით."

აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ვერ ჩაითვლება სამსახურებრივ მივლინებაში მყოფად. მიუხედავად ამისა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. #23 ბრძანებით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამგზავრებულ სამხედრო მოსამსახურეებს გამოეყოთ კანონმდებლობით დადგენილზე მეტი დრო და ფინანსურადაც უფრო უზრუნველყოფილნი იქნენ (მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება, ჩვეულებრივ მოსამსახურესთან შედარებით გაზრდილი ფულადი სარგოები). აღნიშნული ბრძანება შეეხება სამხედრო მოსამსახურეთა სასწავლებლად წარგზავნას და არა სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მივლინებას.

სასამართლოს მიერ ასევე არ გამორკვეულა მოსარჩელე იყო თუ არა უზრუნველყოფილი რაიმე ხარჯით მიმღები მხარის მიერ, ასეთი პრაქტიკა 2000-2001 წლებში საბიუჯეტო კრიზისიდან გამომდინარე ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. დ. მ-შვილის მიერ მოთხოვნილი თანხა სამინისტ-

ტროს მიერ არ არის დაკრედიტებული, რადგან იგი ფაქტობრივად მიმღები მხარის მიერ იქნა ანაზღაურებული.

საჰაერო ძალების სარდლის მ/შემსრულებლის 09.09.06წ. #1641 და ფინანსების მართვის დე-პარტამენტის 02.03.07წ. #9/602 წერილები არ შეიძლება ჩაითვალოს ვალის აღიარებად, რადგან მათზე ხელმოწერი პირები არ არიან თავდაცვის მინისტრის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი, წერილები და არ შეიცავენ უპირობო დაპირებას თანხის გაცემაზე.

მოსარჩელის პრეტენზიების მართებულად ჩათვლის შემთხვევაშიც, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლის ან სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე არის ხანდაზმული.

საპედაგოგო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 134¹ მუხლის დისპოზიცია, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ დათხოვნილ პირებზე გასაცემი თანხები სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული დავალიანებად და არც მათი გაცემის წესია განსაზღვრული. მოსარჩელე კი სამსახურიდან დათხოვილია 2006 წელს, ხოლო სასამართლომ 2007 წელს მიმართა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.11.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე 28.11.08წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით წარმოადგინა მოსაზრება. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა. დ. მ-შვილმა საკასაციო პასუხში, სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა. საკასაციო პალატის 31.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ დ. მ-შვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. #23 ბრძანების საფუძველზე, 2000 წლის 16 იანვრიდან 2001 წლის 2 აგვისტომდე, სასწავლებლად იქნა წარგზავნილი აშშ-ში.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 12.2 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს "...სამხედრო სწავლებაში მონაწილეობისას სამივლინებო ხარჯების გარდა მიეცემა ყოველდღიური ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 39-ე, 39¹ მუხლების მიხედვით, უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით, უცხო სახელმწიფოში გრძელვადიან მივლინებაში მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

დ. მ-შვილის მივლინებაში ყოფნის პერიოდში (16.01.2000წ. -02.08.01წ.) სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულება, რომლის #2 დანართის ("ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი") მე-3 პუნქტის თანახმად, მუშაკებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინებისას დღიური ხარჯები უნაზღაურდებოდათ ამავე ბრძანებულების #3 დანართის მიხედვით საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს. დანართის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად კი, თუ მუშაკების მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯით, მაშინ მათ უნაზღაურდებათ მხოლოდ დღიური ნორმის 30% და ამ განკარგულების #4 დანართით გათვალისწინებული დანამატი. უცხოეთში მოსწავლეთა (სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, სხვა სასწავლებლის) დელეგაციების გაგზავნისას, თუ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვებით, მაშინ მათ უნაზღაურდებათ დღიური ნორმის 15%. ამავე

დანართის მე-7 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარდგენის შემდეგ.

"საზღვარგარეთ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სასწავლებლად წარგზავნილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი და სანივთე კმაყოფით, მატერიალური დახმარების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 30.10.98წ. #302 ბრძანებით სამხედრო მოსამსახურის სწავლის პერიოდში ფულადი კმაყოფა გაიცემა ბინის დაქირავების შემთხვევაში (23.), მგზავრობის ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები ქვეყანა თავისთავზე არ იღებს მგზავრობის ხარჯებს (53).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის 29.09.06წ. #1641 წერილის თანახმად, სამივლინებო თანხა, საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულების მე-2 დანართის საფუძველზე, შეადგენს 3631,35 აშშ დოლარს, კურსით 6391,8 ლარი. საქმის მასალებით არ ირკვევა, კონკრეტულად რა სახის ხარჯებმა შეადგინა აღნიშნული თანხა. სამივლინებო თანხა მოიცავს მგზავრობის, განთავსების, სადღეღამისო (მათ შორის კვების) ხარჯებს, მოცემულ შემთხვევაში არ არის დადგენილი თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებული თანხა, რომელ კომპონენტს განეკუთვნება. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ დ. მ-შვილის შემთხვევაში ხარჯები გაიღო მიმღებმა სახელმწიფომ. საქმეში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის 30.10.08წ. #12/1556 წერილის მიხედვით, დ. მ-შვილი აშშ-ის მხრიდან დაფინანსდა მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებით. საქმეში არ მოიპოვება პირადად დ. მ-შვილის მიერ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 02.03.07წ. #9/602 წერილში მითითება, იმის შესახებ, რომ დაფინანსების წყაროს არსებობის შემთხვევაში, მოხდება მივლინების ანაზღაურების საკითხის განხილვა, წარმოადგენს აღიარებას. სასკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ცნოს სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ ცნობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნის ცნობა არ გამორიცხავს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის თავდაცვის სამინისტროსათვის გადახდის უპირობო დაკისრებას, სამივლინებო თანხის ანაზღაურებისას საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულებით დადგენილი წესის დაცვის შემოწმებას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტი), რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ ის, თუ ვის მიერ იქნა გაწეული სამივლინებო ხარჯები (მგზავრობის, განთავსების, კვების, დღიური ხარჯები), ამასთან, უნდა გაირკვეს, რა სახის ხარჯებმა შეადგინა მოსარჩელის მოთხოვნილი თანხა. სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების სამართლებრივი ასპექტები უნდა გადაწყდეს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ზემოაღნიშნული მითითებებით არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საქმის მითითებულ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება მხარეთა უფლება-მოვალეობების ზუსტი განსაზღვრა, საქმეზე კანონშესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.08წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების წესი

განჩინება

#ბს-1388-1346(კ-08)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ჭადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამივლინებო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. კ-ძემ 04.07.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხის 18.06.07წ. #8/1309 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მის სასარგებლოდ 2463,90 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის სასწავლო სფეროს ინგლისური ენის კაბინეტის უფროსად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 10.08.06წ. #584 ბრძანების საფუძველზე 2006 წლის 16 აგვისტოდან 2007 წლის 23 თებერვლამდე სასწავლო მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ "ინგლისური ენის ინსტრუქტორის საწყის კურსებზე". აღნიშნული ბრძანებით გადაწყდა ასევე მისი მგზავრობის, კვებისა და განთავსების ხარჯების მიმწვევი მხარის მიერ დაფარვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 22.02.07წ. #247 ბრძანების საფუძველზე ნ. კ-ძე მიჩნეულ იქნა მივლინებიდან დაბრუნებულად. მოსარჩელის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების (სადღეღამისო ნორმის 30%) მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის უფროსისა და საფინანსო განყოფილების უფროსის მიერ გაკეთდა მოთხოვნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განათლების დეპარტამენტის უფროსის სახელზე, რათა ნ. კ-ძეზე გამოეყოთ თანხა -2463.90 აშშ დოლარი, რაზეც თავდაცვის სამინისტრომ 18.06.07წ #8/1309 წერილით უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული. მოსარჩელის მოსაზრებით, უკანონოა თავდაცვის სამინისტროს მითითება იმის თაობაზე, რომ მივლინების შესახებ ბრძანებაში მითითებული არაა სადღეღამისო ნორმის 30%-ის ანაზღაურების შესახებ, რაც სამართლებრივი კუთხით აღნიშნულ ურთიერთობას ვერ ცვლის და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებისაგან მოპასუხის გათავისუფლებას არ იწვევს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.07წ. გადაწყვეტილებით თ. კ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, 18.06.07წ. #8/1309 ბრძანების ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.08წ. გადაწყვეტილებით თ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2463,90 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფს მოსამსახურის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მოსამსახურეზე არ გაიცემა დანამატი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულებით დამტკიცებული "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის" მე-11 პუნქტის თანახმად, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მოსამსახურეს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%. აღნიშნული თანხა, სამხედრო

აკადემიის საფინანსო სამსახურის დაანგარიშებით, 2463.90 აშშ დოლარს შეადგენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. კ-ძის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2463.90 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულებით დამტკიცებული "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის" მე-7 პუნქტის თანახმად, სამივლინებო ხარჯები შედგება სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯებისაგან. აღნიშნული ბრძანებულების მე-16 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფს მოსამსახურის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მოსამსახურეს მიეცემა მხოლოდ ამ ბრძანებულების #3 დანართით განსაზღვრული დანამატები, თუ მივლინებული მაღალი რანგის თანამდებობის პირია. კასატორმა განმარტა, რომ მოსარჩელის თანამდებობა არ შედის მაღალი რანგის თანამდებობის პირთა წრეში, ვინაიდან პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულების მესამე დანართში ამომწურავად არის ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, რომლებიც მაღალი რანგის თანამდებობის პირებს განეკუთვნებიან. მოსარჩელე თ. კ-ძეს ეკავა ეროვნული აკადემიის სასწავლო სფეროს ინგლისური ენის ... უფროსის თანამდებობა, რომელიც არ განეკუთვნებოდა საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულების #3 დანართში დასახელებულ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და გარემოებები, ვინაიდან აშშ-ს საქართველოში არსებული საელჩოდან 13.04.07წ. გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მიმღებმა (აშშ-მ) მხარემ მოსარჩელე უზრუნველყო კვების, მგზავრობისა და განთავსების ხარჯებით. მითითებული დასტურდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის სასწავლო მივლინების შესახებ 10.08.06წ. #584 ბრძანებითაც. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულებით გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯები, რომლებიც მოსარჩელის კატეგორიის მოხელეთათვისაა განსაზღვრული, მიმღები მხარის მიერ თ. კ-ძის მიმართ უკვე ანაზღაურებულია, ხოლო ზემოაღნიშნული ბრძანებულების #3 დანართით დადგენილი 30%-იანი დანამატი, რაც განკუთვნილია მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის, მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდება.

საკასაციო პალატის სხდომაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და ითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და ითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრის ფარგლებში საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ თ. კ-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 10.08.06წ. #584 ბრძანების საფუძველზე 2006 წლის 16 აგვისტოდან 2007 წლის 23 თებერვლამდე სასწავლო მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ "ინგლისური ენის ინსტრუქტორის საწყის კურსებზე". აღნიშნულ ბრძანებაში აგრეთვე მითითა, რომ კვების, განთავსებისა და მგზავრობის ხარჯებს დაფარავდა მიმღები მხარე -აშშ.

თ. კ-ძეს ეკავა თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის სასწავლო სფეროს ინგლისური ენის კაბინეტის უფროსის თანამდებობა და იგი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ითვლებოდა საჯარო მოსამსახურედ. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. ამავე კანონის 39-ე მუხლის მიხედვით უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით, უცხო სახელმწიფოში გრძელვადიან მივლინებაში მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე, ამასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარან-

ტიები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. 39¹ მუხლის შესაბამისად მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

თ. კ-ძის მივლინებაში ყოფნის პერიოდში (16.08.06წ. -23.02.07წ.) სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულება, რომლის #1 დანართის ("მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი") მე-6 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეს, რომელსაც გზავნიან სამსახურებრივ მივლინებაში, სრულად უნდა აუნაზღაურდეს სამივლინებო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

"მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულების #1 დანართის მე-16 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფს მოსამსახურის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მოსამსახურეს მიეცემა მხოლოდ ამ ბრძანებულების #3 დანართით განსაზღვრული დანამატი. #3 დანართი ეხება მაღალი რანგის თანამდებობის პირებისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატის ანაზღაურების წესს. ამდენად, მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, რომელთა ჩამონათვალი დანართში ამომწურავადაა მოცემული, მიმღები მხარისაგან სამივლინებო ხარჯების სრულად ანაზღაურების შემთხვევაშიც ეძლევათ დანამატი, რომლის პროცენტული განაკვეთი თითოეული თანამდებობისათვის ასევე ბრძანებულებით განისაზღვრება, ყველა დანარჩენ მოსამსახურეზე აღნიშნული დანამატის მიღების უფლება არ ვრცელდება, მათ მხოლოდ სამივლინებო ხარჯები აუნაზღაურდებათ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს სრულად იხდის მიმღები მხარე, მოსამსახურეს საქართველოს მხრიდან ანაზღაურება აღარ მიეცემა, ხოლო ხარჯების ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, წარმგზავნი სახელმწიფო ანაზღაურებს დანაკლისს. საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებსაც არ გაუხდიათ სადავოდ, რომ თ. კ-ძეს მიმღები მხარის მიერ აუნაზღაურდა კვების, განთავსებისა და მგზავრობის ხარჯები. აღნიშნული დასტურდება აშშ-ის სარდლობის 13.04.07წ. ცნობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 10.08.06წ. #584 სასწავლო მივლინების შესახებ ბრძანებით. საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულების #1 დანართის მე-7 პუნქტის თანახმად, სამივლინებო ხარჯები შედგება სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯებისაგან. მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები თ. კ-ძეს სრულად აუნაზღაურდა. რაც შეეხება სადღეღამისო ხარჯებს, იგი უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ კვებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადღეღამისო ხარჯები არ შემოიფარგლება მხოლოდ კვების ხარჯით. საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული ბრძანებულების #1 დანართის ("მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი") მე-11 პუნქტის თანახმად, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მოსამსახურეს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%. ანალოგიურ დანაწესს შეიცავს "დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 05.04.05წ. #220 ბრძანების მე-4 პუნქტი.

"მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. #231 ბრძანებულების #1 დანართის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად. თ. კ-ძე აშშ-ში წარგზავნილი იყო სასწავლებლად ინგლისური ენის ინსტრუქტორის საწყის კურსებზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. #560 ბრძანების 33-ე პუნქტის თანახმად, სასწავლებლად წარგზავნილ სამოქალაქო პირებს სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდებათ თანამდებობრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი, ამასთანავე, ეძლევათ სამივლინებო თანხები დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. კ-ძეს უფლება აქვს, წარმგზავნი სახელმწიფოსგან მოითხოვოს სადღეღამისო ნორმის 30%-ის ანაზღაურება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის მასალების მიხედვით მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირს სამინისტროს მხრიდან აუნაზღაურდა მოთხოვნილი თანხა. ის ფაქტი, რომ ქართული მხარის ეს ვალდებულება არ იყო მითითებული თ. კ-ძის სასწავლო მივლინებაში წარგზავნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის #584 ბრძანებაში, არ წარმოადგენს პრეზიდენტის ნორმატიული აქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად,

თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირების მიმართ არ მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება ან არ მიმართოს რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომის გამოყენებას. მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ იდენტური გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 248-ე, 381-ე, 384-ე, მუხლების დარღვევით არის გამოტანილი. თ. კ-მე სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა მოპასუხისათვის მივლინების თანხის ანაზღაურებას, რაც დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ. მოთხოვნის დაკმაყოფილება არ უკავშირდება თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 18.06.07წ. #8/1309 წერილის ბათილად ცნობას. ამდენად, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და შეცვალა მოთხოვნა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

ასკ-ის 9.1 მუხლის, სსკ-ის 55.3 მუხლის, "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის "ა" და "უ" ქვეპუნქტების შესაბამისად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.08წ. გადაწყვეტილება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელფასო დავალიანებისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ხანდაზმულობა

განჩინება

#ბს-309-299 (23-09) 9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანებისა და სამივლინებო თანხების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-ავამ 2008 წლის თებერვალში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანების და სამივლინებო თანხების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ავას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელის მიუღებელი სახელფასო დავალიანების და სამივლინებო თანხების გადაანგარიშება და ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი, ასევე, 37-ე მუხლის პირველი ნაწილი და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა, მოსარჩელე ნ. ჯ-ავას მიუღებელი სამივლინებო თანხების გადაანგარიშება და ანაზღაურება; სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ჯ-ავას სარჩელი სამივლინებო თანხების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა, მოსარჩელე ნ. ჯ-ავას მიუღებელი სახელფასო თანხების გადაანგარიშება და ანაზღაურება დატოვებული იქნა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 5 ოქტომბრის #2780 ბრძანებით სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის . . . , სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი ნ. ი. ჯ-ავა, 2001 წლის 3 ოქტომბრიდან 2003 წლის 31 მარტამდე წარგზავნილი იქნა სასწავლებლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 17 მარტის #753 ბრძანების ამონაწერის თანახმად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე წარგზავნილ ს/ს ლეიტენანტ ნ. ჯ-ავას, რომელსაც სასწავლო მივლინების ვადა უმთავრდება 2003 წლის 31 მარტს, მივლინების ვადა გაუგრძელდა 2003 წლის 30 ივნისამდე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსის 2003 წლის 25 აგვისტოს #3651 ბრძანების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ს/ს ლეიტენანტი ნ. ჯ-ავამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაამთავრა კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსები, იგი ჩაითვალა სასწავლო მივლინებიდან დაბრუნებულად და მიეცა კუთვნილი შვებულება 2003 წლის 3 აგვისტოდან ოცდაათი კალენდარული დღით.

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოიყენა ნ. ჯ-ავას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასწავლებლად წარგზავნის დროისათვის მოქმედი, "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის #220 ბრძანებულების #2 დანართი (ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი); აღნიშნულის თანხმად, თუ მუშაკის მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მაშინ მათ უნაზღაურდებათ დღიური ნორმის 30% და ამ ბრძანებულების #4 დანართით გათვალისწინებული დანამატები; უცხოეთში მოსწავლეთა (სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, სხვა სასწავლებლის) დელეგაციების გაგზავნისას, თუ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვებით, მაშინ მათ უნაზღაურდებათ დღიური ნორმის 15%; საზღვარგარეთ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით საშუალო თანრიგის სასტუმროში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის -ნ. ბ-ძის 2008 წლის 17 ნოემბრის #1211747 წერილზე ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსისადმი, რომლითაც ადრესატს მათი 2008 წლის 27 ოქტომბრის #8/5432 წერილის პასუხად გაეგზავნა ნ. ჯ-ავას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ტომოგრაფიის კურსებზე (03.10.01-30.06.03) სწავლის პროგრამის ასლი გერმანულ ენაზე. მოცემული წერილით ირკვევა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ხარჯების, ფულადი (დღიური) თანხის, საცხოვრებლის კეთილმოწყობის, მომსახურების ჩამონათვალის, განთავსების (კვება, მგზავრობის ხარჯები), ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების ხარჯები ანაზღაურა გერმანულმა მხარემ. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასწავლებლად წარდგენილი ნ. ჯ-ავას მიერ გაწეული ყველა ხარჯი ანაზღაურა მიმღებმა მხარემ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს ნ. მ-ურის 2008 წლის 29 იანვრის #3-121/683 წერილი, რომლის თანხმადაც, 2001 წლისათვის გერმანიაში სასწავლო მივლინებისათვის გათვალისწინებული იყო დღიური ხარჯის 15% 11.7 გერმანული მარკის ოდენობით; ასევე საქართველოს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2005 წლის 14 მარტის #9/574 წერილი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სახის დავალიანებების დაფარვა შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფის ხარჯზე და შესაბა-

მისი წყაროს არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება დავალიანებების საკითხის განხილვას, ვინაიდან სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნული წერილების გაცემის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანად ჩათვალა, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 5 ოქტომბრის #2780 ბრძანების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურეების, მათ შორის, ნ. ჯ-ავას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე), წარგზავნა მოხდა თანამდებობის და ფულადი სარგოს შენარჩუნებით; სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტი; იმის გამო, რომ მოსარჩელის განმარტებით, მას ანაზღაურებული აქვს ოთხი თვის ფულადი სარგო, რაც დედამისმა მინდობილობის საფუძველზე მიიღო, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ სარჩელი ამ ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ნ. ჯ-ავამ.

კასატორმა-საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა -ნ. ჯ-ავამ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ნ. ჯ-ავასთვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

კასატორი -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თვლის, რომ მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ურთიერთობას; კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გამოვებული ჰქონდა როგორც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის საწლიანი, ისე -"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

კასატორის ნ. ჯ-ავას მოსაზრებით, "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის #220 ბრძანებულება განსაზღვრავდა ამ მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს. სახელმწიფომ არაერთხელ აღიარა განთავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებული საბიუჯეტო დავალიანებები, რომელთა გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ნ. ჯ-ავას საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 5 ოქტომბრის #2780 ბრძანებით სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის . . . , სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი ნ. ი. ასული ჯ-ავა, 2001 წლის 03 ოქტომბრიდან 2003 წლის 31 მარტამდე წარგზავნილ იქნა სასწავლებლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 17 მარტის #753 ბრძანების ამონაწერის თანახმად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე წარდგენილ ს/ს ლეიტენანტი ნ. ჯ-ავას, რომელსაც სასწავლო მივლინების ვადამთავრებოდა 2003 წლის 31 მარტს, მივლინების ვადა გაუგრძელდა 2003 წლის 30 ივნისამდე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსის 2003 წლის 25 აგვისტოს #3651 ბრძანებით ს/ს ლეიტენანტი ნ. ჯ-ავა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაამთავრა კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსები, ჩაითვალა სასწავლო მივლინებიდან დაბრუნებულად და მიეცა კუთვნილი შვებულება 2003 წლის 3 აგვისტოდან ოცდაათი კალენდარული დღით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოსამსახურეს აქვს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით; ასევე იმავე კანონის 39-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, უცხო-

ეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით.

ნ. ჯ-ავას მივლინებაში ყოფნის პერიოდში -2001 წლის 3 ოქტომბრიდან სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის #220 ბრძანებულება, რომლის #2 დანართის ("ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი") მე-3 პუნქტის თანახმად, მუშაკებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინებისას დღიური ხარჯები უნაზღაურდებოდათ ამავე ბრძანებულების #3 დანართის მიხედვით საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს. დანართი #2-ის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად კი, თუ მუშაკების მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვების ხარჯით, მაშინ მათ უნაზღაურდებოდათ დღიური ნორმის 30% და ამ ბრძანებულების #4 დანართით გათვალისწინებული დანამატი. უცხოეთში მოსწავლეთა (სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, სხვა სასწავლებლის) დელეგაციების გაგზავნისას, თუ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვებით, მაშინ მათ უნაზღაურდებოდათ დღიური ნორმის 15%. ამავე დანართის მე-7 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, საშუალო თანრიგის სასტუმროში, გარდა სამთავრობო დელეგაციებისა. როცა მიმღები მხარე ჯავშნის სასტუმროს ნომერს, ამ შემთხვევაში დასაშვებია დაქირავებულ ნომრის ღირებულების გადახდა მიუხედავად მისი საფასურისა.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 17 ნოემბრის #12/1747 წერილი, ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსისადმი, რომლითაც ადრესატს 2008 წლის 27 ოქტომბრის #8/5432 წერილის პასუხად გაეგზავნა; ამ წერილს თან ახლავს დანართის სახით ნ. ჯ-ავას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე (03.10.01-30.06.03) სწავლის პროგრამის ასლი გერმანულ ენაზე; ამ პროგრამაში მითითებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური ვალდებულობა კურსანტის მიმართ, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სასწავლო ღონისძიება ხორციელდება 09.06.98 სამხედრო კურსანტის დირექტივების დანართი I საფუძველზე; აღნიშნული პროგრამის შინაარსით ირკვევა, რომ გერმანიის სახელმწიფომ ნ. ჯ-ავას მიმართ იკისრა მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება; ფულადი (დღიური) თანხის ანაზღაურება; საცხოვრებლის კეთილმოწყობა; განთავსება (კვება, მგზავრობის ხარჯები); ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების და მომსახურების ხარჯები. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასწავლებლად წარდგენილ ნ. ჯ-ავასთან მიმართებით მიმღები მხარის მიერ გაწეულ იქნა ყველა ხარჯი. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში არ მოიპოვება პირადად ნ. ჯ-ავას მიერ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამივლინებო თანხა მოიცავს მგზავრობის, განთავსების, სადღეღამისო (მათ შორის -კვების) ხარჯებს; მოცემულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე ნ. ჯ-ავასთან მიმართებაში ყველა აღნიშნული ხარჯი გაღებულია მიმღები სახელმწიფოს მიერ; აღნიშნული დადასტურებულ იქნა თავად მოსარჩელის მიერ სააპელაციო პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე; საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 5 ოქტომბრის #2780 ბრძანებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ნ. ჯ-ავა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (კომპიუტერული ტომოგრაფიის კურსებზე), წარგზავნილ იქნა თანამდებობის და ფულადი სარგოს შენარჩუნებით; "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი); "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მივლინებაში ყოფნის მთელ პერიოდში არსებული სახელფასო დავალიანება. ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოტივს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც ნ. ჯ-ავას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს ნ. ჯ-ავას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადახდილი სამივლინებო თანხის უკან დაბრუნების დაუშვებლობა

განჩინება

#ბს-629-597(კ-09) 10 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სამივლინებო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ივლისს ნ. ს-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1998-2007 წლებში მუშაობდა სსიპ -საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტისა და სერტიფიკაციის სააგენტო "საქსტანდარტში" სხვადასხვა თანამდებობებზე. მოსარჩელის განმარტებით, სააგენტოს მის მიმართ დაუგროვდა სახელფასო და სამივლინებო დავალიანება. 2008 წლის მაისსა და ივნისში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა "საქსტანდარტს" და დავალიანების ანაზღაურება მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ "საქსტანდარტის" ლიკვიდაციის შემდეგ აღნიშნული თანხების გაცემის უფლებამოსილება ეკისრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და აღნიშნული დავალიანების ანაზღაურება მოითხოვა, რაზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილით განემარტა, რომ დავალიანების გასტუმრება განხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც ჯერ არ იყო მიღებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -370,29 ლარისა და სამივლინებო ხარჯის -578 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ნ. ს-ძის სასარგებლოდ, დაეკისრა სახელფასო დავალიანების -370,29 ლარისა და სამივლინებო ხარჯის -578 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმით არ რეგულირდებოდა სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოხელეებზე სახელფასო დავალიანების გაცემის წესი და სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა "საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს #123 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი -საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (საქსტანდარტი) ლიკვიდირებულ იქნა და ამ დადგენილების უზრუნველყოფა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებათა განხორციელების შესახებ დაევალა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" დებულება ძალაში შევიდა 2005 წლის 20 ოქტომბრიდან. საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო შეიქმნა "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე და საქმიანობას ახორციელებდა ამ კანონის, დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. რაიმე ნორმატიული აქტით არ იყო განსაზღვრული, რომ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოადგენდა ლიკვიდირებული "საქსტანდარტის" უფლებამონაცვლეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურებისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. ამავე კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეს ჰქონდა მისთვის სამსახურეობრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სტანდარტიზაციის მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენდა საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომლის შენახვა ფინანსდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. სახელფასო დავალიანების წარმოშობის საფუძველი იყო ის, რომ 1998-2000 წლებში ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ დაფინანსდა "საქსტანდარტი" შესაბამისი წლების ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ოდენობით. "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელი იყო, გამოყენებულიყო 2007 წელს სახელმწიფო ბიუ-

ჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნათა აღსრულება წარმოებდა ფინანსთა სამინისტროს მიერ სააღსრულებო ფონდის სახსრებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციაში, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში "საქსტანდარტის" წინა წლების წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისათვის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნულ სააგენტოში, რომლის ლიკვიდაციაც განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს #123 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა "საქსტანდარტის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება, ხოლო ამავე დადგენილების მე-4 პუნქტის მიხედვით, მთავრობის აღნიშნული დადგენილების პირველი და მე-3 პუნქტების ამოქმედება უნდა მომხდარიყო სსიპ "სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" დებულების ამოქმედებისთანავე. ამდენად, ამ ნორმატიული აქტის დებულებებიდან გამომდინარე, აშკარა იყო, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, რადგან ეს ნორმა არ არეგულირებს სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემის წესს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება სპეცილური ნორმით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლით, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციის გარდა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამჟამად, ხსენებული საკითხი რეგულირებულია "საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით, კერძოდ, ხსენებული კანონის მე-13 მუხლის 23 10 კოდის შესაბამისად, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად გათვალისწინებულია 190000 ლარი, რომლის შესაბამისად, წინა წლების დავალიანებების დაფარვისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან თანხების გამოყოფის მიზნით სამინისტროებსა და უწყებებს 2009 წლის 1 აპრილამდე უნდა უზრუნველყოთ მათ ბალანსზე რიცხული წინა წლების კრედიტორული დავალიანებების დაზუსტებული ინფორმაციის წარდგება დადგენილი ფორმის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. კასატორის განმარტებით, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ განხორციელდებოდა საბიუჯეტო დავალიანებათა დაფარვა. ამდენად, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლით, "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-8 მუხლებით (რაც ამჟამად დარეგულირებულია "საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 23 10 კოდის შესაბამისად) და არა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება კანონის დარღვევით არის გამოტანილი და არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო, განუხილველი დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

2009 წლის 10 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ მას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინების ასლი ჩაბარდა 2009 წლის 10 მარტს, საკასაციო საჩივარი კი ხსენებულ განჩინებაზე ფოსტას ჩააბარა 2009 წლის 10 აპრილს, რის დასტურადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა წერილობითი კორესპონდენციის შესახებ შპს "საქართველოს ფოსტის" #43 რეესტრის ამონაწერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდა წარმოება; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესაძლებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნ. ს-ძისათვის ხელფასის -370,29 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნ. ს-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -370,29 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამივლინებო ხარჯის -578 ლარის ნ. ს-ძისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნ. ს-ძისათვის ხელფასის -370,29 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნ. ს-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -370,29 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამივლინებო ხარჯის -578 ლარის ნ. ს-ძისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ნ. ს-ძისათვის მხოლოდ სამივლინებო თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ს-ძე მუშაობდა საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტში. სსიპ -საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 22 მაისს გაცემული #01/246 ცნობით ნ. ს-ძის 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება შეადგენს -370,29 ლარს, ხოლო სამივლინებო ხარჯის დავალიანება -578 ლარს. საქმეში წარმოდგენილია ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 15 ივლისის #04-02/6668 წერილი, რომლითაც ნ. ს-ძეს 2008 წლის 11 ივლისის განცხადებაზე განემარტა, რომ წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, თუმცა იმ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს #123 დადგენილებაზე, რომლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო "საქსტანდარტი" ლიკვიდირებულ იქნა და ამ დადგენილების უზრუნველყოფა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებათა განხორციელების შესახებ დაევალა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 7 ოქტომბრის #1-

1/1057 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" დებულება ძალაში შევიდა 2005 წლის 20 ოქტომბრიდან. საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო შეიქმნა "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე და საქმიანობას ახორციელებს ხსენებული კანონის, დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ამასთან, რაიმე ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული, რომ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ლიკვიდირებული "საქსტანდარტის" უფლებამონაცვლეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სტანდარტიზაციის მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომლის შენახვა ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. სახელფასო და შესაბამისად, სამივლინებო დავალიანების წარმოშობის საფუძველია ის, რომ 1998-2000 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ დაფინანსდა "საქსტანდარტი", შესაბამისი წლების ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ოდენობით. საბიუჯეტო ორგანიზაციაში წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. "საქსტანდარტი" მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეფარა 1998-2000 წლებში წარმოქმნილი დავალიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის -ნ. ს-ძის მიმართ სამივლინებო დავალიანება უნდა დაკისრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააკელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მოცემულ შემთხვევაში "საქსტანდარტის" წინა წლების წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისათვის შესრულებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოყენებული უნდა იქნეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) მიხედვით, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან სამი წელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. მართალია, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი), მაგრამ სამივლინებო თანხა, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, ამავდროულად, სამივლინებო თანხა, ხელფასის თანხისა და დანამატისაგან განსხვავებით, არ არის მოქცეული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივლინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას. ამასთან, საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ სა-

ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 15 ივლისის #04-02/6668 წერილით, ნ. ს-ძეს განემარტა, რომ მისი დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ს-ძის მიმართ სამივლინებო ხარჯის დავალიანების აღიარება მოხდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 15 ივლისის #04-02/6668 წერილით, ანუ ამ შემთხვევაში, მართალია, გასული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ნ. ს-ძის მიმართ სამივლინებო ხარჯის დავალიანება იმავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ნ. ს-ძეს უნდა აუნაზღაუროს აღნიშნული დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა და ამ საქმეზე მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება ხსენებულ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნ. ს-ძის სასარგებლოდ სამივლინებო ხარჯის დავალიანების -578 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ერთჯერადი დახმარება; წელთა ნამსახურების დანამატი

წელთა ნამსახურების დანამატი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-459-438(კ-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება, მატერიალური დახმარების (მკურნალობის ხარჯების) ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 17 იანვარს ი. კ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1999 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე იგი მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვადასხვა თანამდებობაზე, კერძოდ, 1999-2002 წლებში - შიდა აუდიტორული სამსახურის . . . , ბოლო 4 წლის მანძილზე კი -საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ანუ ამოქმედდა საჯარო მოსამსახურეებისათვის წელთა ნამსახურობაზე დანამატების გაცემა. მოსარჩელე საჯარო სამსახურში იმყოფებოდა 1999 წლიდან, ანუ მისი შრომითი სტაჟი შეადგენდა 6 წელზე მეტს და, შესაბამისად, მას ერგებოდა სარგოზე დანამატი 20%-ის ოდენობით. მოსარჩელემ 2006 წლის მარტში და 2006 წლის 20 დეკემბერს განცხადებებით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა კუთვნილი დანამატის ოდენობის გაანგარიშება და მისი ანაზღაურება, ასევე, "საქართველოს ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების, კომპენსაციისა და დახმარების შესახებ" დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, დედის მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნულზე მან საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიიღო უარყოფითი, დაუსაბუთებელი და კანონშეუსაბამო პასუხი, რომლის თანახმად, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ერთიანი სახელმწიფო მიდგომის ჩამოყალიბება და ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ვერ დააკმაყოფილებდა მის თხოვნას, რაც არასწორი იყო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყო შესასრულებლად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა თანამდებობის პირისათვის და სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფოს პოზიცია ამავე საკითხის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წელს მისი ოჯახის წევრი -დედა ა. ზ-შვილი მძიმედ დაავადდა ინგლისის ტერიტორიაზე და მას მკურნალობა ჩაუტარდა ხსენებულ ქვეყანაში, რაზეც დიდი ხარჯი იქნა გაწეული. მოსარჩელეს ადგებოდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, ვინაიდან მას თანხები ნასესხები ჰქონდა სხვადასხვა პირისაგან, რაც უკან ჰქონდა დასაბრუნებელი და რასაც ვერ ახერხებდა უსახსრობის გამო. მოსარჩელისათვის დედის მკურნალობის გამო მატერიალური დახმარების გაწევაზე უარის მოტივაცია იყო ის, რომ წარმოდგენილი ანგარიშ-გაქტურით გათვალისწინებული თანხების ოდენობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ ანაზღაურებდა გაწეული მკურნალობის ღირებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა წელთა ნამსახურობის დანამატისა და მატერიალური დახმარების (მკურნალობის ხარჯების) მის სასარგებლოდ ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ივლისის სხდომაზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას მიღებული ჰქონდა 2005 წლის 29 მარტიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატი და საბოლოოდ მოითხოვა 2002 წლის 1

იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის, ასევე, -მკურნალობის ხარჯის -14006 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. კ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -საქართველოს ეროვნულ ბანკს ი. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება 6048 ლარის ოდენობით; მატერიალური დახმარების (მკურნალობის ხარჯების) ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგინდად მიიჩნია, რომ ი. კ-მე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს ეროვნულ ბანკთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას მასზე უნდა გავრცელებულიყო აღნიშნული კანონის მოთხოვნები. ი. კ-ძის დედას ნამდვილად უსაფუძვლეს ინგლისის ტერიტორიაზე, რა დროსაც მკურნალობისათვის გაღებულ იქნა გარკვეული თანხები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-7 მუხლზე, "ევროპის სოციალური ქარტიის" მე-4 მუხლზე, "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 23-ე მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე და მიიჩნია, რომ მუშაკის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის კანონით დადგენილი გასამრჯელოს მიღება დამსაქმებლის კანონის-მიერი ვალდებულება იყო. ამრიგად, როგორც საერთაშორისო აქტებით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული იყო მოსამსახურის უფლება, მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა მოსამსახურეებისათვის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურებას თანამდებობრივი სარგოს სხვადასხვა ოდენობით, ნამსახურევი წლების შესაბამისად. აღნიშნული პუნქტის ნორმის მოქმედება არაერთხელ იქნა შეჩერებული, ბოლოს კი ხსენებულ კანონში 2004 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მითითებული ნორმის მოქმედება შეჩერებულ იქნა 2006 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებით გაუქმდა წელთა ნამსახურობისათვის დანამატის გაცემის შეჩერება და ამოქმედდა ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა მოსამსახურეებისათვის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურებას თანამდებობრივი სარგოს სხვადასხვა ოდენობით, ნამსახურევი წლების შესაბამისად. 2005 წლის 23 დეკემბერს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ამავე კანონის 37-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებით ამოქმედდა წელთა ნამსახურობის დანამატის შესახებ არსებული ნორმა, ამიტომ საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების თაობაზე იყო საფუძვლიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, მხოლოდ შეჩერებული იყო და არა გაუქმებული წელთა ნამსახურობის დანამატის გაცემა. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავდა მის გაუქმებას, ნორმის გაუქმება გულისხმობდა მისი მოქმედების შეწყვეტას, ხოლო ნორმის მოქმედების შეჩერება -მისი მოქმედების გადავადებას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის ამოქმედების შემდეგ, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა კუთვნილი დანამატის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134-ე მუხლზე, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტზე, "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 2007 წლის 28 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონის მე-60 მუხლზე, სამსახურიდან ი. კ-ძის გათავისუფლების პერიოდისათვის უკვე მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 34-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, სამსახურიდან ი. კ-ძის გათავისუფლებისას მოეხდინა მასთან საბოლოო ანგარიშსწორება და მიეცა მისთვის მიუღებელი წელთა ნამსახურობის დანამატი, რაც მას არ გაუკეთებია. მოპასუხის მიერ აღნიშნული მოქმედების განუხორციელებლობა -წელთა ნამსახურობის დანამატის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო, ინდივიდუალურ

ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც მოცემულ საქმეზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი. მოსარჩელე ითხოვდა 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურებას. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ცნობის მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში ი. კ-მეზე გასაცემი დანამატის ოდენობა, საერთო ჯამში, შეადგენდა 6048 ლარს (2002 წელს -1452 ლარს, 2003 წელს -1968 ლარს, 2004 წელს -1968 ლარს, ხოლო 2005 წლის იანვარი-მარტის თვეების მიხედვით -660 ლარს). საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ აღნიშნული თანხის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაკისრებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს ი. კ-მის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მატერიალური დახმარების (მკურნალობის ხარჯების) ანაზღაურების ნაწილში, იყო უსაფუძვლო. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2001 წლის 26 იანვრის #5 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების, კომპენსაციისა და დახმარების შესახებ" დებულება იყო ნორმატიული ხასიათის დოკუმენტი და აქედან გამომდინარე, სავალდებულო იყო შესასრულებლად საქართველოს ეროვნული ბანკისათვის. კონკრეტულ შემთხვევაში, ი. კ-მეს არ ჰქონდა დედის მკურნალობის ხარჯების ამ დებულების საფუძველზე ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მისი დედის მკურნალობის თაობაზე, არ წარმოადგენდა სათანადო წესით გაცემულ ანგარიშ-ფაქტურებს და მითითებული ქვეპუნქტის ნორმა გულისხმობდა მატერიალური დახმარების გაცემას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და არა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებული მკურნალობისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ი. კ-მის სასარგებლოდ 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის 6048 ლარის ოდენობით დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა ი. კ-მემ (წარმომადგენელი -ნ. კ-ია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მატერიალური დახმარების -14006 ლარის ოდენობით ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მატერიალური დახმარების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით საქართველოს ეროვნული ბანკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ი. კ-მის სასარგებლოდ 6048 ლარის ოდენობით წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში; ი. კ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება ი. კ-მისათვის, მატერიალური დახმარების სახით, დედის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოტივაციას წელთა ნამსახურობის დანამატის მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო შესაბამისი აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები.

რაც შეეხებოდა მატერიალური დახმარების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი განხილვისას საქალაქო სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია და შეაფასა მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოს უნდა გაერკვია, წარმოადგენდა თუ არა ნორმატიულ აქტს სარჩელის საფუძვლად მითითებული საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, ასევე სასამართლოს შეფასება უნდა მიეცა საქმეში წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისათვის და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამოკ-

ვლევის შედეგად, სასამართლოს უნდა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება მატერიალური დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ი. კ.-ძის სასარგებლოდ 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის -6048 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით (ძველი რედაქცია) რეგლამენტირებული იყო, რომ შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა, მოსამსახურეს ეძლეოდა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს სხვადასხვა პროცენტული ოდენობით. შეიცვალა რა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის #861-რს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქცია, დადგინდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების შეჩერება 2006 წლის 1 იანვრამდე. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან.

კასატორის განმარტებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 32-ე მუხლთან მიმართებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან ამავე კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

ამდენად, კასატორის მტკიცებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი ოდენობის დანამატის გაცემის შეჩერება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად არის ცნობილი. კანონის მოქმედების შეჩერების იურიდიულად ძალადაკარგულად ცნობა ნიშნავს მის ამოქმედებას, ამ შემთხვევაში, მითითებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტით რეგლამენტირებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამდენად, შესაბამისმა საკანონმდებლო ნორმამ იურიდიული ძალა დაკარგა დასახელებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან -2005 წლის 28 მარტიდან.

კასატორის განმარტებით, საკანონმდებლო ნორმის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების პირობებში, კვლავ ამოქმედდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს წარმოემვა ვალდებულება, მოსარჩელისათვის ანაზღაურებინა 2005 წლის 29 მარტიდან 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ნამსახურევი წლების მიხედვით დანამატი (რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ იქნა). დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი გათავისუფლებულია საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობამდე იმ ვალდებულების შესრულებისაგან, რომელიც დადგენილი იყო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

კასატორის მტკიცებით, ნორმის მოქმედების შეჩერებაში იგულისხმებოდა ნორმის ამოქმედებამდე აღნიშნული ნორმის უმოქმედობა, ანუ ნორმის მოქმედების შეჩერების პერიოდში, ზემოხსენებულ ნორმას არ გააჩნდა იურიდიული ძალა და შესაბამისად, რაიმე ქმედების განხორციელების ვალდებულება არ შეიძლება გამომდინარეობდეს შეჩერებული ნორმის საფუძველზე. საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკანონმდებლო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უდევს სწორედ აღნიშნული გარემოება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ნორმის მოქმედების შეჩერება აზრს კარგავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 5 მაისს, 14.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ ნაწილში გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოადგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ი. კ-ძის სასარგებლოდ 6048 ლარის ოდენობით წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა ი. კ-ძისათვის, მატერიალური დახმარების სახით, დედის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება კი საკასაციო წესით გასაჩივრა მხოლოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ნაწილობრივ -საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ი. კ-ძის სასარგებლოდ 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის - 6048 ლარის დაკისრების ნაწილში, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ წელთა ნამსახურობის დანამატის -6048 ლარის ანაზღაურების თაობაზე ი. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნისა და განსახილველ ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს, განსახილველ ფარგლებში საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ი. კ-ძე 1999 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვადასხვა თანამდებობაზე. ი. კ-ძემ 2006 წლის 20 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა კუთვნილი დანამატის ოდენობის გაანგარიშება და მისი ანაზღაურება. საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი თანამშრომლის -ი. კ-ძის საჯარო სამსახურში ნამსახურევი წლებისათვის დანამატის ოდენობა 2002 წლიდან 2005 წლის მარტის ჩათვლით, საერთო ჯამში, შეადგენდა 6048 ლარს (2002 წელს -1452 ლარს, 2003 წელს -1968 ლარს, 2004 წელს -1968 ლარს, ხოლო 2005 წლის იანვარი-მარტის თვეების მიხედვით -660 ლარს).

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი. კ-ძე 1999 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს ეროვნულ ბანკთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 1997 წლის 31 ოქტომბერს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა, რომ შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა, მოსამსახურეს ეძლეოდა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის, თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით: ა) 5 წლამდე -10 პროცენტი; ბ) 5-დან 10 წლამდე -20 პროცენტი; გ) 10-დან 15 წლამდე -25 პროცენტი; დ) 15 წელი და მეტი -30 პროცენტი. ამ კანონის 137-ე მუხლის (იმავე რედაქცია -კანონის ამოქმედება) თანახმად, ეს კანონი ამოქმედდა 1997 წლის 1 დეკემბრიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონით ამ კანონის 137-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 1999 წლის 1 იანვრიდან. "საქართველოს ზოგიერთ

საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2-3 პუნქტები ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან". "საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტში რიცხვი -2000 -შიეცვალა რიცხვით -2001. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2002 წლის 15 თებერვლის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2003 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2003 წლის 29 იანვრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2004 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2003 წლის 31 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2005 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2006 წლის 1 იანვრამდე. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 37-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ, შეიცვალა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მანამდე არსებული რედაქცია - აღნიშნული პუნქტიდან საერთოდ იქნა ამოღებული ნამსახურევი წლებისათვის დანამატის განსაზღვრა თანამდებობრივი სარგოს კონკრეტული პროცენტული ოდენობების მიხედვით და ხსენებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს, მოხელეს, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედება არაერთხელ გადაიდო და შეჩერდა მისი მოქმედება, ხოლო 2005 წლის 23 დეკემბერს მოხდა მისი არსებითი რედაქციული ტრანსფორმირება და 2006 წლის 1 იანვრიდან იგი ჩამოყალიბდა სხვა რედაქციით, ანუ 2006 წლის 1 იანვრიდან ხსენებული პუნქტი შეიცავს სრულიად ახალ ნორმას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 32-ე მუხლთან მიმართებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან ამავე კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით); "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან ამავე კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით) იურიდიულად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან; ეს გადაწყვეტილება ძალაში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან; გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა; გადაწყვეტილება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" უნდა გამოქვეყნებულიყო 7 დღის ვადაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" (#9) გამოქვეყნდა 2005 წლის 28 მარტს. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებაშია მითითებული, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და მისი ამოქმედება გადაიდო 2006 წლის 1 იანვრამდე, მოსარჩელებმა შეცვალეს დავის საგანი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2003 წლის 31 დეკემბრის კანონის ნაცვლად, დაზუსტებული სახით, მოითხოვეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, მის ჩამონათვალში 47-ე მუხლისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით (2005 წლის 23 დეკემბრამდე არსებული და 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) დადგენილი, ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობის დანამატის გაცემის შეჩერება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობის დანამატის გაცემის შეჩერება და ამოქმედდა ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო მოსამსახურეებისათვის წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურებას ნამსახურევი წლებისათვის, ნამსახურევი წლების შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოს სხვადასხვა პროცენტული ოდენობით, მაგრამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით ნორმატიული საკანონმდებლო აქტის - "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნაწილმა იურიდიული ძალა დაკარგა საკონსტიტუციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან - 2005 წლის 28 მარტიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედების არაერთხელ გადავადება, მისი ამოქმედების ახალი თარიღების განსაზღვრით და ამავე პუნქტის მოქმედების არაერთხელ შეჩერება გამოწვეული იყო ობიექტური პირობებით, რამაც განაპირობა ზემოხსენებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ამასთან, აღნიშნული პუნქტის ნორმის ამოქმედების გადავადება და მისი მოქმედების შეჩერება არ ნიშნავს ამავე პუნქტის ნორმის ლეგალური შეჩერების პერიოდში წელთა ნამსახურობის დანამატის მიღებაზე პირის უფლების იურიდიულად არსებობას, ანუ იმავე პერიოდში ხსენებული უფლების რეალიზების გადადებას, შეჩერებას და შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის ფარგლებში ამ უფლების შემდგომში მატერიალურად განხორციელების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მართალია, დასახელებულ პერიოდში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ნორმა არ იყო საკანონმდებლო წესით გაუქმებული, მაგრამ ამ პუნქტის ნორმას, მისი ამოქმედების გადავადებისა და მოქმედების შეჩერების პერიოდში, არ გააჩნდა იურიდიული ძალა.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმის ძალადაკარგულად ცნობა ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას ძალადაკარგულად ცნობის მომენტიდან. წელთა ნამსახურობის დანამატის შესახებ ზემოხსენებული ნორმის მოქმედების შეჩერების პერიოდში აღნიშნული ნორმა ვერ იქნებოდა მოქმედი - მისი მოქმედების შეჩერების განმავლობაში ვერ იქნება მოაზრებული ამავე ნორმის მოქმედება. დასახელებული ნორმა იურიდიულად ამოქმედდა სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, წელთა ნამსახურობის დანამატის შესახებ მითითებული ნორმის მოქმედების შეჩერებისას, ანუ მისი უმოქმედობისას, ამავე ნორმის ამოქმედებამდე ვერ წარმოიშობოდა წელთა ნამსახურობის დანამატის გაცემის ვალდებულება და შესაბამისად -

წელთა ნამსახურობის დანამატის მიღების უფლებაც. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტს იურიდიული ძალა გააჩნდა მის ძალადაკარგულად ცნობის მომენტამდე. კანონის ნორმისათვის იურიდიული ძალის სრულად მისანიჭებლად არ არის საკმარისი კანონში ამ ნორმის მხოლოდ საკანონმდებლო წესით კონსტატაცია -კანონში მისი ფორმალური არსებობა, რადგან კანონის ნორმის იურიდიულ ძალას და მის პრაქტიკულ რეალიზებას სამართლებრივად განაპირობებს სწორედ მისი მოქმედება და არა ამ ნორმის მოქმედების შეჩერების გამო, ამავე ნორმის უმოქმედობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო ნორმის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების პირობებში, კვლავ ამოქმედდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს წარმოეშვა ვალდებულება, მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა 2005 წლის 29 მარტიდან 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ნამსახურევი წლების მიხედვით დანამატი (რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ იქნა), ხოლო დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი გათავისუფლებულია საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობამდე იმ ვალდებულების შესრულებისაგან, რომელიც დადგენილი იყო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ი. კ-მისათვის 2005 წლის 29 მარტიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ნამსახურევი წლების დანამატის ანაზღაურება დასტურდება მოცემული საქმის მასალებითაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (არასწორად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ მის გამოყენებას), კერძოდ -საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლი, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, განსახილველ ნაწილში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებული საკასაციო საჩივრის საფუძველი -კანონის, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად მოცემულ საქმეზე განსახილველ ნაწილში არასწორი განჩინება იქნა მიღებული, რაც გასაჩივრებული განჩინების განსახილველ ნაწილში გაუქმების საფუძველია. საკასაციო სასამართლო განსახილველ ნაწილში თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს განსახილველ ნაწილში საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების შესახებ ი. კ-მის სასარჩელო მოთხოვნა არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და განსახილველ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. კ-მის სარჩელი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის -6048 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და განსახილველ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. კ-ძის სარჩელი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის 2002 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 29 მარტამდე პერიოდის წელთა ნამსახურობის დანამატის -6048 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარება

განჩინება

#ბს-553-524(კ-09) 8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 7 აგვისტოს დ. ტ-ძემ, ვ. ხ-შვილმა, ი. მ-შვილმა, ნ. ა-ძემ და მ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ დ. ტ-ძე 1993 წლის 13 მაისიდან 1994 წლის 4 აპრილამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ზემსახურად, ხოლო 1994 წლის 4 აპრილიდან 2005 წლის 28 აპრილამდე -ოფიცრად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1272 ბრძანებით, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. მიუღებელი დარჩა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს რვაშაგი ოდენობით, ვინაიდან შეიარაღებულ ძალებში მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 12 წელს (თანამდებობრივი სარგო -120 ლარი, ხოლო წოდებრივი -40 ლარი), ხელფასი -388,12 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია -2016 ლარი.

ვ. ხ-შვილი 2003 წლის 29 მაისიდან 2005 წლის 28 აპრილამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1270 ბრძანებით დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. მიუღებელი დარჩა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს სამაგი ოდენობით, ვინაიდან შეიარაღებულ ძალებში მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 2 წელს (თანამდებობრივი სარგო -117 ლარი, ხოლო წოდებრივი -3 ლარი) და სანივთე ქონების კომპენსაცია -250 ლარი.

ი. მ-შვილი 1997 წლის 20 ივნისიდან 2005 წლის 28 აპრილამდე მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 მაისის #1270 ბრძანებით დათხოვნილ იქნა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით და მიუღებელი დარჩა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით, ვინაიდან შეიარაღებულ ძალებში მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 6 წელს (თანამდებობრივი სარგო -117 ლარი, ხოლო წოდებრივი -3 ლარი), ხელფასი -297,42 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია -1510 ლარი.

ნ. ა-მე 1999 წლის 16 ივნისიდან 2005 წლის 28 აპრილამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისს #1270 ბრძანებით დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. მიუღებელი დარჩა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით, ვინაიდან შეიარაღებულ ძალებში მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 6 წელს (თანამდებობრივი სარგო -119 ლარი, ხოლო წოდებრივი -4 ლარი), ხელფასი -153,24 ლარი და სანივთე ქონების კომენსაცია -1257 ლარი.

მ. კ-მე 1996 წლის 25 დეკემბრიდან 2001 წლის 1 მაისამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2003 წლის 27 მაისიდან მან განაგრძო სამსახური შეიარაღებულ ძალებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1270 ბრძანებით მ. კ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. მიუღებელი დარჩა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება, შეიარაღებულ ძალებში მისი წელთა ნამსახურობა შეადგენდა 7 წელს. ხელფასი -369,41 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია -1257 ლარი.

მოსარჩელების განმარტებით, მათ განცხადებით მიმართეს მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვეს სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება; მოპასუხემ -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარემ თავისი 2008 წლის 29 მაისის წერილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნები; მოსარჩელებმა აღნიშნული წერილების თაობაზე ზემდგომ თანამდებობის პირს -საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგინეს ადმინისტრაციული საჩივარი, რაც აგრეთვე არ დააკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 21 ივლისის #415 ბრძანებით.

მოსარჩელეთა მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის შესაბამისად, "სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით, ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით". მართალია, საქართველოს პრეზიდენტის 31.12.2004 წლის #640 ბრძანებულებით #493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ პუნქტი, რომლითაც 2006 წლის პირველ იანვრამდე შეჩერებულ იქნა 33¹ პუნქტის მოქმედება, მაგრამ მოსარჩელეთა განმარტებით, 61¹ პუნქტით მხოლოდ დროებით 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერდა 33¹ პუნქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია და არ გაუქმებულა, ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის მითითებული ბრძანებულების საფუძველზე ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარება უნდა მიეცეთ არა მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილ იქნენ 2006 წლის 1 იანვრის (კომპენსაციის თაობაზე შეჩერებული ნორმის ამოქმედების) შემდეგ, არამედ იმ სამხედრო მოსამსახურეებსაც, რომლებიც დათხოვნილ იქნენ 2006 წლის 1 იანვრამდეც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 21 ივლისის #415 ბრძანების ბათილად ცნობასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის შემდეგი სახის დავალიანების დაკისრებას: დ. ტ-მისათვის სახელფასო დავალიანების -388,12 ლარის, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -2000 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -2016 ლარის; ვ. ხ-შვილისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -360 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -250 ლარის; ი. მ-შვილისათვის სახელფასო დავალიანების -297,42 ლარის, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -600 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -1510 ლარის; ნ. ა-მისათვის სახელფასო დავალიანების -153,24 ლარის, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -615 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -1257 ლარის; მ. კ-მისათვის სახელფასო დავალიანების -369,41 ლარის, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -615 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -1257 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოპასუხეს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა დ. ტ-მისათვის: სახელფასო დავალიანების -388,12 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -2000 ლარის; ი. მ-შვილისათვის -297,42 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -600 ლარის; ნ. ა-მისათვის სახელფასო დავალიანების -153,24 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -615 ლარის; მ. კ-მისათვის სახელფასო დავალიანების -369,41 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -615 ლარის; ვ. ხ-შვილისათვის -ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -360 ლარის გადახდა; არ დაკმაყოფილდა მოსარჩელების მოთხოვნა დ. ტ-მისათვის სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -2016 ლარის, ი. მ-შვილისათვის სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -1510 ლარის; ნ. ა-

მის სასარგებლოდ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -1257 ლარის; მ. კ-მის სასარგებლოდ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -1257 ლარის; ვ. ხ-შვილის სასარგებლოდ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -250 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების თაობაზე; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 21 ივლისის #415 ბრძანება, სახელფასო დავალიანებებისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხების გაუცემლობის ნაწილში მოსარჩელეთა ადმინისტრაციული საჩივრების დაუკმაყოფილებლობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელები იმყოფებოდნენ რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, ისინი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდნენ მოხელეებს, ხოლო "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად -სამხედრო მოსამსახურეებს.

სადავო სახელფასო დავალიანებების წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი იყო, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურეს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს".

იგივე დებულებებს იმეორებს დღეს მოქმედი რედაქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი (მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, პრემია განხილულ უნდა იქნეს ხელფასის შემადგენელ ნაწილად, ხელფასის დანამატად, რადგან თავად კანონი ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) განსაზღვრავს პრემიის, როგორც კონკრეტული სახის სამართლებრივი კატეგორიის, სტატუსს; შესაბამისად, უკვე დარიცხული პრემიის ხელფასისგან დამოუკიდებლად განხილვაც კანონსაწინააღმდეგოა. პრემიის, როგორც განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიის, კერძოდ, ხელფასის შემადგენელი ნაწილის, ბუნებას ვერ შეცვლის (სხვა სახის სამართლებრივ კატეგორიად ვერ ჩამოაყალიბებს) ის გარემოება, რომ იგი (პრემია) გაიცემა პერიოდულად, თუნდაც წელიწადში ერთხელ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს უფლებები და გარანტიები მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები -ასეთი ხასიათის დამატებითი უფლებები და გარანტიები სამხედრო მოსამსახურეთათვის მოცემულია სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით. კერძოდ, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურის სხვა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

რაც შეეხება ხანდაზმულობის საშუალო ვადას, აგრეთვე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებას, სასამართლოს მითითებით, ეს სამართლებრივი ინსტიტუტები შემოდგებულია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით -საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 129) და მოქმედებს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც არ განეკუთვნება მოსარჩელებს: დ. ტ-მეს, ვ. ხ-შვილს, ი. მ-შვილს, ნ. ა-მეს, მ. კ-მეს და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, უდავოა, რომ მოსარჩელები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ როგორც სამხედრო მოსამსახურეები და ეს ურთიერთობები რეგულირდება საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით -"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით, აგრეთვე, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მომსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით და "სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" დებულებით, რო-

მელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები შეეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს; მოსარჩელებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების -ბრძანებების, მეშვეობით, ამიტომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს განმარტებით, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, საქმეში არ მოიპოვება კონკრეტული მტკიცებულებები (დოკუმენტები), რაც დაადასტურებს მოსარჩელების მიერ ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების შესაძენად გაწეულ შესაბამის ხარჯს (ხარჯებს). სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ვერ დაეყრდნობა სარჩელზე თანდართულ ცნობებს კომპენსაციის თანხის მთლიანი ოდენობის თაობაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს იმის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ მოსარჩელეთა მიერ ნამდვილად იქნა გაწეული შესაბამისი ხარჯები ფორმატანსაცმლის შესაძენად.

ხოლო ერთეჯერადი გასასვლელი დახმარების საკითხთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტით დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთეჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით".

"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #993 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის #640 ბრძანებულების "ბ" პუნქტით, 05.11.2004 წლის #493 ბრძანებულებას დაემატა 33¹ მუხლი, ხოლო 61¹ პუნქტით დადგინდა, რომ ამ ბრძანებულების 33¹ მუხლის მოქმედება შეჩერდებოდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტს 2006 წლის 1 იანვრიდან არ განუცდია რაიმე ცვლილება, სამართლებრივი ნორმის (ბრძანებულების 33¹ პუნქტის) მოქმედების შეზღუდვის (შეჩერების) ვადა ამოიწურა 2006 წლის 1 იანვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დღიდან დღემდე -დავის გადაწყვეტის მომენტისათვის ბრძანებულების 33¹ პუნქტი ძალაშია და მოქმედებს. უდავოა, რომ მოსარჩელების გათავისუფლების დღისთვის ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერებული იყო და კანონიერად არ იქნა მათზე გაცემული ერთეჯერადი გასასვლელი დახმარება გათავისუფლების დღისათვის, თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ გარემოებათა თანხვედრის გამო არ გათავისუფლებულა "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებისაგან. სამართლებრივი ნორმის მოქმედების შეჩერების პირობებში სახელმწიფომ ფაქტიურად გადაავადა სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა წინაშე ფულადი ვალდებულების შესრულების მომენტი, რაც, თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ შეჩერებული ნორმის ამოქმედების პირობებში მოპასუხემ სრულად უნდა შეასრულოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მანამდე ნაკისრი მოვალეობა, კერძოდ უნდა გასცეს ერთეჯერადი გასასვლელი დახმარება მოსარჩელების სასარგებლოდ. ამასთან, სადავო შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეების შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის დროს (პერიოდს) დავის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თუმცა მოსარჩელეთა დათხოვნის დროისათვის სამართლებრივი ნორმის (33¹ პუნქტის) მოქმედება შეჩერებული იყო, ეს უკანასკნელი არსებობდა, გაუქმებული არ ყოფილა.

"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004

წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე და 33¹ პუნქტების შესაბამისად, მოსარჩელეთა წელთა წამსახურობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მოსარჩელებზე უნდა გავრცელდეს იმავე ბრძანებულების 33-ე პუნქტი, რომლითაც დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, წამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში წამსახურები წლების) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-ისა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში წამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) –სამმაგი; 2-დან 10 წლამდე –ხუთმაგი; ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 –წლამდე ექვსმაგი; 10-დან 15 წლამდე –რვათმაგი; 15-დან 20 წლამდე –ათმაგი; იმავე ბრძანებულების მე-9 პუნქტით დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურის ფულადი სარგო მოიცავს თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოებს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებით შევიდა ცვლილება, რომლითაც, აღნიშნულ ბრძანებულებას დაემატა 33¹ მუხლი, რომლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით წამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში წამსახურები წლების) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებში წამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით; 33-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, წამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში წამსახურები წლების) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში წამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა)–სამმაგი; ბ) 2-დან 1- წლამდე –ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ვეტერანებს 10 წლამდე –ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე –რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე –ათმაგი; ე) 20 წელი და მეტი –თორმეტმაგი.

კონტრაქტის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას (გარდა ოფიცერთა შემადგენლობისა) ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება არ გაიცემა.

#493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ მუხლი, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა 33-ე მუხლის მოქმედება.

კასატორის განმარტებით, ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, განმარტებით ბარათში აისახება ნორმატიული აქტების მიღების მიზეზი და მისი ძირითადი მახასიათებლები.

საქართველოს პრეზიდენტის 31.12.2004 წლის #630 ბრძანებულების პროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, ბრძანებულების 33¹ მუხლის მოქმედების შეჩერებით კანონმდებელმა არა დროებით შეაჩერა, ან გადაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული ფულადი თანხების გაცემის

ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულების შესრულებისაგან.

კასატორის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით -საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, კანონიერია საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყურადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება -ნების გამოვლენა -თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი -ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობისა და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის -ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ასევე ფაქტობრივად აღიარებულია "სრომის კოდექსის" მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც -პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა, უფრო მეტიც, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ხელფასი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის მოსარჩელებისათვის ანაზღაურების ნაწილში,

ხოლო რაც შეეხება მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების გაცემის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იქნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-ს და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) –სამმაგი; 2-დან 1- წლამდე –ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ვეტერანებს 10 წლამდე –ექვსმაგი; 10-დან 15 წლამდე –რვათმაგი; 15-დან 20 წლამდე –ათმაგი და 20 წელი და მეტი –თორმეტმაგი.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევისას, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საგულისხმოა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით, ზემოაღნიშნული 33¹ პუნქტი ბრძანებულებიდან საერთოდ იქნა ამოღებული. ამდენად, პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტმა იმოქმედა 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტაციას ზემოაღნიშნული 33¹ მუხლის იმ პირებზე გავრცელების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც გათავისუფლდნენ 2005 წელს და იზიარებს სასამართლოთა მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე მოხდა 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლების რეალიზების გადავადება 2006 წლის 1 იანვრამდე, რაც არ ნიშნავს მითითებული პუნქტით განსაზღვრული და დადგენილი უფლების გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტი გაუქმდა 2007 წლის 21 სექტემბერს, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2008 წლის 7 აგვისტოს. ამდენად, სარჩელით მიმართვის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე და აღნიშნავს, მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ მუხლებზე დაყრდნობით საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, მოახდინეს თუ არა მოსარჩელეებმა: დ. ტ-ძემ, ვ. ხ-შვილმა, ი. მ-შვილმა, ნ. ა-ძემ და მ. კ-ძემ თავისი უფლებების დროულად რეალიზება. არსებობს თუ არა სარჩელით მიმართვის მომენტისათვის მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა თუ არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც საქმე, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში, ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინება ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარება

განჩინება

#ბს-1039-997(2კ-09) 19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო და სხვა სახის დავალიანების ანაზღაურება, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 ივნისს დ. ა-ძემ, რ. ვ-შვილმა, მ. უ-ვამ, შ. გ-ძემ, თ. კ-ანმა, ა. ა-ძემ, ე. ტ-კომ და სხვებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

2007 წლის 10 დეკემბერს კ. ი-ძემ, ნ. ფ-ვამ, მ. კ-შვილმა, ჯ. გ-ძემ, ვ. ი-ძემ, ი. ა-ანმა, ც. გ-ძემ, ა. ტ-კომ, ო. ჩ-შვილმა, ნ. ჯ-იამ, გ. ყ-შვილმა, ნ. დ-ძემ, ა. ხ-უამ, ნ. მ-ძემ, ე. ჯ-ძემ, ვ. წ-ძემ, ნ. კ-ძემ, ნ. წ-ძემ, ლ. ს-შვილმა, ლ. ე-ძემ, ა. ლ-ძემ, მ. გ-ძემ, ლ. ჩ-ძემ, ნ. უ-ვამ, ს. ჯ-ძემ, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა, ჯ. ჯ-ძემ, მ. გ-შემ, ო. ბ-ძემ, ზ. ქ-ძემ, მ. ნ-ძემ, შ. დ-ძემ, ლ. ხ-ძემ, ს. გ-ძემ, ჯ. კ-ვამ, ი. შ-ძემ, მ. გ-ძემ და დ. გ-ძემაც მიმართეს სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა დ. გ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე, შესაბამისად დ. გ-ძის სარჩელი განუხილველი დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 მაისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმე #3/2082 და #3/3459 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა #3/3459-07.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეთა წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-შვილის, ი. ა-ანის, ნ. მ-შვილის, ს. ჯ-ძის, ნ. უ-ვას, ლ. ჩ-ძის, ჯ. ჯ-ძის, ზ. ქ-ძის, მ. გ-შის, მ. გ-ძის, ა. ღ-ძის, ლ. ე-ძის, ლ. ს-შვილის, ნ. წ-ძის, ნ. კ-ძის, ვ. წ-ძის, ე. ჯ-ძის, ნ. მ-ძის, ა. ხ-უას, ნ. დ-ძის, გ. ყ-შვილის, ნ. ჯ-იას, ო. ჩ-შვილის, ა. ტ-კოს, ც. გ-ძის, ვ. ი-ძის, ჯ. გ-ძის, მ. კ-შვილის, ო. ბ-ძის, ნ. ფ-ვას, კ. ი-ძის, მ. ნ-ძის, შ. დ-ძის, ლ. ხ-ძის, ს. გ-ძის, ჯ. კ-ვას, ი. შ-ძის, მ. გ-ძის, ა. ა-ძის, მ. უ-ვას, თ. კ-ანის, შ. გ-ძის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ე. ტ-კოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამხედრო სანატორიუმ "წყალტუბოს" თანამშრომელთა მიმართ დაეკისრა სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება: ა. ა-ძის სასარგებლოდ 891,57 ლარის, მ. უ-ვას სასარგებლოდ 1385,25 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -615 ლარის, თ. კ-ანის სასარგებლოდ 206,94 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -604 ლარის, შ. გ-ძის სასარგებლოდ 423,03 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ -1364,44 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -610 ლარის, დ. ა-ძის სასარგებლოდ -1517,06 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -610 ლარის, ე. ტ-კოს სასარგებლოდ -580,42 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -776,89 ლარის, ი. ა-ანის სასარგებლოდ -1528,43 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -208 ლარის, ს. ჯ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -162,50 ლარის, ლ. ჩ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -195 ლარის, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -149,50 ლარის, ნ. ფ-ვას მიმართ -503,88 ლარის, მ. გ-ძის მიმართ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ჯ. ჯ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -1172,92 ლარის, ა. ღ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -195 ლარის, ლ. ე-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -162,50 ლარის, ნ. წ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -149,50 ლარის, ნ. კ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -150 ლარის, ვ. წ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -149,50 ლარის, ე. ჯ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ -768,30 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ა. ხ-უას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -195 ლარის, ნ. დ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -149,50 ლარის, ნ. ჯ-იას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156,25 ლარის, ც. გ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -156 ლარის, ვ. ი-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -234 ლარის, ჯ. გ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -169 ლარის, ო. ბ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -162,50 ლარის, კ. ი-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -991,31 ლარის, მ. ნ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -876,50 ლარის, შ. დ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -555,93 ლარის, ლ. ხ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -891,88 ლარის, ს. გ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების 818,48 ლარის, ჯ. კ-ვას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -904,44 ლარის, ი. შ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -629,52 ლარის, მ. გ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -115,49 ლარის, მ. გ-შის სასარგებლოდ -287,47 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა თ. კ-ანის, დ. ა-ძის, მ. უ-ვას, შ. გ-ძის, რ. ვ-შვილის, ჯ. ჯ-ძის, ი. ა-ანის და მ. გ-შის კუთვნილი, 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მათი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-ანმა, დ. ა-ძემ, მ. უ-ვამ, შ. გ-ძემ, რ. ვ-შვილმა, ჯ. ჯ-ძემ, მ. გ-შემ, ი. ა-ანმა და მ. გ-ძემ. აპელანტებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თითოეულის სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტების -შ. გ-მის, ჯ. ჯ-მის, მ. უ-ვას, ი. ა-ანის, დ. ა-მის, რ. ვ-შვილის და თ. კ-ანის სააპელაციო საჩივრები, რომლითაც ისინი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდნენ სანივთე ქონების კომპენსაციის სრულად ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სპეციალური სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მკაფიოდ განიმარტა, რომ სანივთე ქონების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელი იყო, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მან არ დააკმაყოფილა მ. გ-მის და მ. გ-შის სარჩელები ფულადი ჯილდოს ანაზღაურების შესახებ უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული დავალიანებები წარმოშობილი იყო 1998-1999 წლებში, საქალაქო სასამართლოს სარჩელი ამ ნაწილში ხანდაზმულად არ უნდა მიეჩნია, რადგან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლისა და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ფულადი ჯილდო წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენდა ხელფასის შინაარსს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნები სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული არ იყო, შესაბამისად მას არც ფულადი ჯილდოს შესახებ მოთხოვნები უნდა მიეჩნია ხანდაზმულად.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. გ-მის და მ. გ-შის სასარჩელო მოთხოვნები კვების ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ, რადგან იგი არ წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და ის ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელი იყო, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 25 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელანტების წარმომადგენელმა განაცხადა სასარჩელო მოთხოვნების შემცირების შესახებ, კერძოდ: მ. უ-ვასთან, ი. ა-ანთან და რ. ვ-შვილთან მიმართებაში სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით, რადგან ანალოგიური მოთხოვნებით მათ სარჩელი უკვე აღძრული ჰქონდათ და ამის შესახებ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უნდა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. უ-ვას სასარჩელო მოთხოვნა 1385,25 ლარის, ი. ა-ანის სასარჩელო მოთხოვნა 1528,43 ლარის და რ. ვ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 1364,44 ლარის სახელფასო დავალიანებების მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა მოთხოვნათა ნაწილობრივ დუბლირება, აპელანტების წარმომადგენელმა ნაწილობრივ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნები ზოგიერთი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა: ლ. ხ-მის სარჩელის სახელფასო დავალიანების -695,16 ლარის; ჯ. კ-ვას სარჩელის სახელფასო დავალიანების -592,60 ლარის; ი. შ-მის სარჩელის სახელფასო დავალიანების -461,34 ლარის; ს. გ-მის სარჩელის სახელფასო დავალიანების -540,27 ლარის; შ. დ-მის სარჩელის სახელფასო დავალიანების -442,88 ლარის ოდენობით მის სასარგებლოდ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი (შემცირებული) სასარჩელო მოთხოვნები სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანი იყო და შესაბამისად, ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამავე დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელეთა მოთხოვნა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თაობაზე. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლად აპელანტმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის

#493 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 12 დეკემბრის #640 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბრძანებულებას დაემატა 61¹ მუხლი, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა 33¹ მუხლის მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არასწორად განმარტა ხსენებული ბრძანებულება, რადგან ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნიდა. სამართლებრივი ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავდა ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა მოსარჩელეთა უფლება მიეღოთ ფულადი დახმარება და ამავე დროს – ნორმის შეჩერებით მხოლოდ დროებით გადავადდა აღიარებული უფლების რეალიზაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება მათი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. გ-შემ, მ. გ-ძემ, თ. კ-ანმა, რ. ვ-შვილმა, დ. ა-ძემ, ი. ა-ანმა, მ. უ-ვამ, ჯ. ჯ-ძემ და შ. გ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასაჩივრო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისისა და 7 აგვისტოს განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. გ-შის, მ. გ-ძის, თ. კ-ანის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ანის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძის, შ. გ-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შის, მ. გ-ძის, თ. კ-ანის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ანის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძის, შ. გ-ძის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება მოსარჩელებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩელებისათვის – მ. უ-ვას სასარგებლოდ 615 ლარის, თ. კ-ანის სასარგებლოდ 604 ლარის, შ. გ-ძის სასარგებლოდ 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ 610 ლარის, დ. ა-ძის სასარგებლოდ 610 ლარის, ი. ა-ანის სასარგებლოდ 615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ 208 ლარის, ს. ჯ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ 162,50 ლარის, ლ. ჩ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, მ. გ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ჯ. ჯ-ძის სასარგებლოდ 1172,92 ლარის, ა. ღ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, ლ. ე-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ 162,50 ლარის, ნ. წ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. კ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის, ვ. წ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ე. ჯ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ხ-უას სასარგებლოდ 195 ლარის, ნ. დ-ძის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. ჯ-იას სასარგებლოდ 156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156,25 ლარის, ც. გ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ვ. ი-ძის სასარგებლოდ 234 ლარის, ჯ. გ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ 169 ლარის, ო. ბ-ძის სასარგებლოდ 162,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შის, მ. გ-ძის, თ. კ-ანის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ანის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძის, შ. გ-ძის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება მოსარჩელებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩელებისათვის: მ. უ-ვას სასარგებლოდ 615 ლარის, თ. კ-ანის სასარგებლოდ 604 ლარის, შ. გ-ძის სასარგებლოდ 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ 610 ლარის, დ. ა-ძის სასარგებლოდ 610 ლარის, ი. ა-ანის სასარგებლოდ 615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ 208 ლარის, ს. ჯ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ 162,50 ლარის, ლ. ჩ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, მ. გ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ჯ. ჯ-ძის სასარგებლოდ 1172,92 ლარის, ა. ლ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, ლ. ე-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ 162,50 ლარის, ნ. წ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. კ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის, ვ. წ-ძის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ე. ჯ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ხ-უას სასარგებლოდ 195 ლარის, ნ. დ-ძის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. ჯ-იას სასარგებლოდ 156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156,25 ლარის, ც. გ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, ვ. ი-ძის სასარგებლოდ 234 ლარის, ჯ. გ-ძის სასარგებლოდ 195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ 169 ლარის, ო. ბ-ძის სასარგებლოდ 162,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, შესაბამისად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ მ. უ-ვასათვის, თ. კ-ანისათვის, შ. გ-ძისათვის, რ. ვ-შვილისათვის, დ. ა-ძისათვის, ი. ა-ანისათვის, ნ. მ-შვილისათვის, ს. ჯ-ძისათვის, ნ. უ-ვასათვის, ლ. ჩ-ძისათვის, ზ. ქ-ძისათვის, მ. გ-ძისათვის, ჯ. ჯ-ძისათვის, ა. ლ-ძისათვის, ლ. ე-ძისათვის, ლ. ს-შვილისათვის, ნ. წ-ძისათვის, ნ. კ-ძისათვის, ვ. წ-ძისათვის, ე. ჯ-ძისათვის, ნ. მ-ძისათვის, ა. ხ-უასათვის, ნ. დ-ძისათვის, გ. ყ-შვილისათვის, ნ. ჯ-იასათვის, ო. ჩ-შვილისათვის, ა. ტ-კოსათვის, ც. გ-ძისათვის, ვ. ი-ძისათვის, ჯ. გ-ძისათვის, მ. კ-შვილისათვის, ო. ბ-ძისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის -ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) -სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე -ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე -ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე -რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე -ათმაგი; ე) 20 წელის და მეტი -თორმეტმაგი.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი, ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე, მოახდინეს თუ არა მოსარჩელებმა უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგინა აღნიშნულ გარემოებებს, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან ის გარემოებები, თუ რამდენად წარმოადგენენ მოსარჩელები სამხედრო მოსამსახურეებს, რადგან "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე და 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე"¹ ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, დაადგინოს და შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წელთა ნამსახურების დანამატი

განჩინება

#ბს-797-761(კ-09)

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ძის, ზ. ნ-ძის, ა. გ-იას და სხვათა წარმომადგენელმა თ. კ-შვილმა 2008 წლის აგვისტოში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების -21 199,84 ლარის და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების დავალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა სახელოსნო დავალიანების ანაზღაურება, კერძოდ, გ. გ-ძის სასარგებლოდ -1161,06 ლარი; ზ. ნ-ძეს 1452 ლარი; ა. გ-იას -1454 ლარი; რ. ო-იას -1356 ლარი; პ. დ-ძეს -262 ლარი; ნ. ბ-ვას -333,96 ლარი; ვ. ფ-შვილის -1161,06; დ. ლ-ძეს -726 ლარი; თ. ტ-ძეს -348,48; ა. ო-შვილს -1132,04 ლარი; ნ. გ-შვილს -380,96; ზ. ჩ-ელს -333,96 ლარი; პ. ე-უას -1155 ლარი; ნ. მ-ძეს -1636 ლარი; მ. ხ-შვილს -306,08 ლარი; გ. მ-ძეს -540,52 ლარი; თ. მ-შვილს -348,48 ლარი; ნ. ნ-შვილს -327,36 ლარი; თ. ჩ-ძეს -726 ლარი; მ. დ-ძეს -464 ლარი; გ. გ-ძეს -407,52 ლარი; გ. გ-ძეს -2110 ლარი; მ. ჯ-ძეს -260 ლარი; მ. დ-შვილს -377,52 ლარი; გ. ა-შვილს -228, 80 ლარი; დ. ბ-ელს -228,80 ლარი; შ. მ-ურს -1016, 04 ლარი; თ. ს-ძეს -228,80 ლარი; მ. ნ-ძეს -333,96 ლარი; გ. ქ-ძეს -323,84 ლარი; ტ. ლ-შვილს -371,08 ლარი; ა. ბ-ძეს -1486 ლარი; ზ. კ-ძეს -333, 96 ლარი; ნ. წ-ელს -333,96 ლარი; ნ. გ-ძეს -336,08 ლარი; მ. ლ-ძეს -337,92 ლარი; მ. გ-ძეს -1161,06 ლარი; თ. ჩ-ძეს -398,52 ლარი; თ. ხ-ძეს -3194,04 ლარი; თ. გ-შვილის მემკვიდრე მ. კ-ძეს -348,48 ლარი; რაც შეეხება სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურებას 2000 ლარის ოდენობით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი მივლინების თანხების ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. გ-იას სარჩელი 24 ლარის, როლანდ ოდიშერიას სარჩელი 195 ლარის, პ. დ-ძის სარჩელი 262 ლარის, ა. ო-შვილის სარჩელი 116 ლარის, ნ. გ-შვილის სარჩელი 47 ლარის, ნ. მ-ძის სარჩელი 184 ლარის, მ. ხ-შვილის სარჩელი 78 ლარის, გ. მ-ძის სარჩელი 163 ლარის, მ. დ-ძის სარჩელი 204 ლარის, გ. გ-ძის სარჩელი 30 ლარის, გ. გ-ძის სარჩელი 955 ლარის, ა. ბ-ძის სარჩელი 34 ლარის, თ. ჩ-ძის სარჩელი 21 ლარის ოდენობის მივლინების თანხების ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დატოვებული იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სისტემაში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნენ 2005 წლის 3 მაისიდან დეპარტამენტის ლიკვიდაციის გამო; მ. ხ-შვილი, მ. დ-ძე, მ. ჯ-ძე, გ. ა-შვილი და თ. ს-ძე კი, უფრო ადრე - რეორგანიზაციის საფუძველზე; სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი გაანგარიშებების თანახმად დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა ნაწილს მისაღები ჰქონდა სამივლინებო თანხები, კერძოდ: ა. გ-იას -24 ლარი, რ. ო-იას - 195 ლარი, პ. დ-ძეს -262 ლარი, ა. ო-შვილს -116

ლარი, ნ. გ-შვილს -47 ლარი, ნ. მ-ძეს -184 ლარი, მ. ხ-შვილს -78 ლარი, გ. მ-ძეს -163 ლარი, მ. დ-ძეს -204 ლარი, გ. გ-ძეს -30 ლარი, გ. გ-ძეს -955 ლარი, ა. ბ-ძეს -34 ლარი, მ. გ-ძეს -21 ლარი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამივლინებო თანხების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მოსარჩელებს დაეწყოთ სხვადასხვა დროს, მაგრამ არა უგვიანეს 2005 წლის 3 მაისისა; მოსარჩელებმა კი თანხების ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2008 წლის 6 აგვისტოს, ხოლო მათმა წარმომადგენელმა აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე მოპასუხე ენერგეტიკის სამინისტროს განცხადება წარუდგინა მხოლოდ 2008 წლის 12 ივნისს; სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამივლინებო თანხა, ისევე, როგორც ხელფასის თანხა, წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამივლინებო თანხა ხელფასისაგან განსხვავებით, არ ექცევა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის მოქმედების ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილი; ამ ნორმის თანახმად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეთათვის სამივლინებო თანხების ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის დროიდან აღნიშნული თანხების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე, გასულია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის საფუძველზე კი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელები ითხოვენ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კომპენსაციას ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, 37-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ წელთა ნამსახურობის დანამატს, 108-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურის დაუცველობის გამო გათვალისწინებული ერთი თვის ხელფასს; სასამართლომ მიუთითა "ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს 2005 წლის 22 მარტის კანონზე, რომლითაც ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი. იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები: გ. გ-ძე, ზ. ნ-ძე, ა. გ-ია, რ. ო-ია, პ. დ-ძე, ნ. ბ-ვა, ვ. ფ-შვილი, დ. ლ-ძე, თ. ტ-ძე, ა. ო-შვილი, ნ. გ-შვილი, ზ. ჩ-ელი, პ. ე-უა, ნ. მ-ძე, გ. მ-ძე, თ. მ-შვილი, ნ. ნ-შვილი, თ. ჩ-ძე, გ. გ-ძე, გ. გ-ძე, მ. დ-შვილი, გ. ა-შვილი, დ. ბ-ელი, შ. მ-ური, მ. ნ-ძე, გ. ქ-ძე, ტ. ლ-შვილი, ა. ბ-ძე, ზ. კ-ძე, ნ. წ-ელი, ნ. გ-ძე, მ. ლ-ძე, მ. გ-ძე, თ. ჩ-ძე, თ. ხ-ძე, თ. გ-შვილი (რომლის უფლებამონაცვლესაც მ. კ-ძე წარმოადგენს), ლიკვიდაციის გამო 2005 წლის 3 მაისიდან, ხოლო დანარჩენი მოსარჩელები: მ. ხ-შვილი, მ. დ-ძე, მ. ჯ-ძე, გ. ა-შვილი, თ. ს-ძე, ლიკვიდაციამდე ადრე -11 აპრილიდან რეორგანიზაციის გამო განთავისუფლდნენ, მხარეები სადავოდ არ ხდიან.

სააპელაციო პალატამ მოპასუხისათვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის კომპენსაციის მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში სარჩელის საფუძველიანობასთან დაკავშირებით მიუთითა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის საფუძველზე აღნიშნული ნორმის მოქმედება შეჩერებულ იქნა 2006 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებით კი 2004 წლის 29 დეკემბრის მითითებული კანონი იმ ნაწილში, რომლითაც შეჩერებული იყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის, ასევე, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად. ამავე გადაწყვეტილებით აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების შეჩერების ნაწილში, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან, ანუ 2005 წლის 23 მარტიდან. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად კი საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა ამავე თარიღიდან (2005 წლის 23 მარტიდან). საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამავე გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტების აღსრულებისათვის განისაზღვრა ვადა -არა უგვიანეს 2006 წლის 1 იანვარი. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2005 წლის 23 დეკემბრის კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა ისეთივე რედაქციით, როგორც იგი მისი მოქმედების შეჩერების პერიოდში არსებობდა და ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხ-

ლის პირველი პუნქტის მოქმედების შეჩერება შეწყდა რა 2005 წლის 23 მარტიდან და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიღებული კანონით აღნიშნული ნორმა არ შეცვლილა და ანალოგიური რედაქციით განაგრძო არსებობა, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი მოცემულ შემთხვევაზე უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს. ამასთან, აღნიშნული ნორმა სასამართლომ მიიჩნია 2005 წლის 23 მარტიდან, ანუ მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლების დროისათვის მოქმედ ნორმად; სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაციას ითხოვს ყველა მოსარჩელე (პ. დ-ის გარდა) და იმის საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომ მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლება სწორედ 2005 წლის 23 მარტის შემდეგ მოხდა, აპელანტის მიერ წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ამ ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მოქმედებაც ასევე შეჩერებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონით, ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: მოსამსახურეს ეძლევა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით: ა) 5 წლამდე -10%; ბ) 5-დან 10 წლამდე -20%; გ) 10-დან 15 წლამდე -25%; დ) 15 წელი და მეტი -30%. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ნორმის მოქმედების შეჩერება გაუქმდა. ამასთან, წელთა ნამსახურეობის დანამატი მოთხოვნილია იმ მოსარჩელების მიერ, რომლებიც დაპარტამენტის ლიკვიდაციის გამო 2005 წლის 3 მაისიდან არიან დათხოვნილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ წელთა ნამსახურეობისათვის დანამატის დაკისრების ნაწილშიც სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108.1 მუხლის განმარტების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელები ოფიციალურად გაეფრთხილებინა ზეპირი ფორმით მაინც, დაწესებულების ლიკვიდაციის გამო განთავისუფლების თაობაზე, განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება შეიცვალოს "ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე" კანონის მე-2 პუნქტით, რომლითაც საქართველოს მთავრობას დევალა ამ კანონის ამოქმედებიდან ერთ თვეში ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ლიკვიდაცია და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 22 აპრილის #76 დადგენილების პირველი პუნქტი აღნიშნული დეპარტამენტის ლიკვიდაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ დაარღვია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108.1-ე მუხლის მოთხოვნა, რის გამოც, ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გარდა მოხელეს ეძლევა ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისათვის; სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელებს ეკუთვნით კომპენსაცია ერთი თვისათვის, ანუ თანხა ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე, 109-ე და 37.2-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაწყებული უნდა იქნას განთავისუფლების ბრძანების ჩაბარებიდან. ის გარემოება კი, რომ მოსარჩელებს განთავისუფლების შესახებ ბრძანებები 2005 წლის 12 ივნისამდე ჩაბარდათ, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტი და 109-ე მუხლის პირველი პუნქტი 2005 წლის პირველი იანვრიდან 2006 წლის პირველ იანვრამდე არ მოქმედებდა, იგი ძალაში შევიდა მხოლოდ 2006 წლის პირველი იანვრიდან, ამიტომ კასატორი თვლის, რომ ამ ნორმების მოქმედება არ უნდა გავრცელდეს 2005 წლის მასში ლიკვიდირებული დაწესებულებების მოხელეების მიმართ. კასატორი მიუთითებს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა მითითებული. კასატორი აღნიშნავს, რომ კანონი, რომლის აღნიშნული პუნქტი ძალაში შევიდა 2006 წლის პირველი იანვრიდან, არ ითვალისწინებს მისი მოქმედების გავრცელებას 2005 წლის პერიოდში გათავისუფლებული მოხელეების მიმართ.

კასატორი თვლის, სასამართლომ არასწორად განმარტა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლი, რადგან ეს ნორმა მუშაკის გაფრთხილების რაიმე განსაკუთრებულ წესს (წერილობით შეტყობინებას) არ ითვალისწინებს. მოხელეები დეპარტამენტის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 22 მარტს მიიღო კანონი #1123 "ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე", რომელშიც ცალსახად იქნა მითითებული დეპარტამენტის ლიკვიდაციის შესახებ.

კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელების მხრიდან დარღვეულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონზე, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის 31 ოქტომბერს; მოცემული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა მოსამსახურეს ეძლეოდა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის, თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით: ა) 5 წლამდე -10%; ბ) 5-დან 10 წლამდე -20%; გ) 10-დან 15 წლამდე -25%; დ) 15 წელი და მეტი -30%. ამ კანონის 137-ე მუხლის (იმავე რედაქცია -კანონის ამოქმედება) თანახმად, ეს კანონი ამოქმედდა 1997 წლის 1 დეკემბრიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონით ამ კანონის 137-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 1999 წლის 1 იანვრიდან. "საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2-3 პუნქტები ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან". "საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტში რიცხვი -2000 -შიიცვალა რიცხვით -2001. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2002 წლის 15 თებერვლის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2003 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2003 წლის 29 იანვრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2004 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2003 წლის 31 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2005 წლის 1 იანვრამდე". "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2006 წლის 1 იანვრამდე. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ამ კანონის 37-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ, შეიცვალა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მანამდე არსებული რედაქცია -აღნიშ-

ნული პუნქტიდან საერთოდ იქნა ამოღებული ნამსახურევი წლებისათვის დანამატის განსაზღვრა თანამდებობრივი სარგოს კონკრეტული პროცენტული ოდენობების მიხედვით და ხსენებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს, მოხელეს, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედება არაერთხელ გადაიდო და შეჩერდა მისი მოქმედება, ხოლო 2005 წლის 23 დეკემბერს მოხდა მისი არსებითი რედაქციული ტრანსფორმირება და 2006 წლის 1 იანვრიდან იგი ჩამოყალიბდა სხვა რედაქციით, ანუ 2006 წლის 1 იანვრიდან ხსენებული პუნქტი შეიცავს სრულიად ახალ ნორმას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებაზე, რომლის პირველი პუნქტითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 32-ე მუხლთან მიმართებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან ამავე კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით); იმავე გადაწყვეტილების მეორე პუნქტის თანახმად კი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან ამავე კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით) იურიდიულად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან; ეს გადაწყვეტილება ძალაში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან; გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა; გადაწყვეტილება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" უნდა გამოქვეყნებულიყო 7 დღის ვადაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მესამე პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულდეს არაუგვიანეს 2006 წლის 1 იანვრისა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელები საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტიდან განთავისუფლებული იქნენ 2005 წლის 3 მაისიდან დეპარტამენტის ლიკვიდაციის გამო, მ. ხ-შვილი, მ. დ-ძე, მ. ჯ-ძე, გ. ა-შვილი და თ. ს-ძე კი უფრო ადრე - რეორგანიზაციის საფუძველზე; მათ სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2008 წლის აგვისტოში და მოითხოვეს მოპასუხისათვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს და წელთა ნამსახურების დანამატის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ზემოხსენებული ნორმები სულ სხვა რედაქციითაა ჩამოყალიბებული. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, მოსარჩელებმა მოახდინეს თუ არა თავიანთი უფლების რეალიზაცია და მოითხოვეს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან წელთა ნამსახურების დანამატის და თანამდებობრივი სარგოს კომპენსაციის ანაზღაურება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის პერიოდში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წელთა ნამსახურების დანამატის და თანამდებობრივი სარგოს კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ გ. გ-ძის, ზ. ნ-ძის, ა. გ-იას, რ. ო-იას, ნ. ბ-ვას, ვ. ფ-შვილის, თ. ტ-ძის, ა. ო-შვილის, ნ. გ-შვილის, ზ. ჩ-ელის, მ. კ-ძის (თ. გ-შვილის უფლებამონაცვლე), პ. ე-უას, ნ. მ-ძის, გ. მ-ძის, თ. მ-შვილის, ნ. ნ-შვილის, თ. ჩ-ძის, გ. გ-ძის, გ. გ-ძის, მ. დ-შვილის, შ. მ-ურის, მ. ნ-ძის, გ. ქ-ძის, ტ. ლ-შვილის, ა. ბ-ძის, ზ. კ-ძის, ნ. წ-ელის, ნ. გ-ძის, მ. ლ-ძის, მ. გ-ძის, თ. ჩ-ძის, თ. ხ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს მათი მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე ჩათვალა, რომ მო-

სარჩელები, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, მოპასუხეს პერსონალურად არ გაუფრთხილებია დაწესებულების ლიკვიდაციის გამო მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, რის გამოც გამოიყენა ამავე მუხლის მეორე პუნქტი, რომ ამ კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გარდა მოხელეს ეძლევა ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისათვის; სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელებს ეკუთვნით ერთი თვის კომპენსაცია, ანუ, თანხა ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს 2005 წლის 22 მარტის #1123 კანონზე "ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე", რომლითაც ლიკვიდირებულად გამოცხადდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოეკონომიკური და სატბოების ხარისხის დეპარტამენტი, ამიტომ საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამართლის ნორმის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ უნდა შეისწავლოს და შეფასება მისცეს მოცემულ სადავო საკითხთან მიმართებაში საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარება

განჩინება

#ბს-749-714(კ-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანებისა და ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

13.05.08წ. ა. ჯ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ფულადი სარგოს თორმეტმაგი ოდენობით, 2004-2005 წლების საწინვითე ქონების საკომპენსაციო თანხის -862,20 ლარის და სახელფასო დავალიანების -3747,14 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა. მოგვიანებით მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დაა-

ზუსტა და მოითხოვა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -4200 ლარის, 2004-2005 წლებს სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -862,20 ლარის და 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების -3747,14 აშშ დოლარის ანაზღაურება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1984 წლიდან 2005 წლამდე მსახურობდა შეიარაღებული ძალების რიგებში, მისი ნამსახურობის წლების საერთო რაოდენობა 21 წელს შეადგენდა. 11.05.05წ. #1272 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით) საფუძველზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ უარი უთხრეს თანხის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს პრეზიდენტის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი მასზე ვერ გავრცელდებოდა, რადგან იგი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილი იყო 2005 წელს, აღნიშნული ნორმის მოქმედება კი მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნის დროისათვის შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე. მოსარჩელე აგრეთვე თვლის, რომ მას უსამართლოდ ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ა. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანება -1945,09 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ჯილდო -617,32 დოლარის ეკვივალენტი ლარი, ასევე, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება -3500 ლარის გადახდა; მოსარჩელე ა. ჯ-ძეს უარი ეთქვა კვებისა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის, ასევე, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით 514 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08 გადაწყვეტილება დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.09წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას სადავოდ ხდოდა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა და, ამდენად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი; საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება ყოფილიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ჯ-ძის მოთხოვნა 1998-1999-2000 წლების კუთვნილი სახელფასო დავალიანების -1945,09 დოლარის ეკვივალენტი ლარი, ჯილდო -617,32 დოლარის ეკვივალენტი ლარი, ასევე ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -3500 ლარის ანაზღაურებისა და თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების თაობაზე არ იყო ხანდაზმული. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, ხოლო 33-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით, 20 წელი და მეტი ნამსახურეობის წლებისათვის გაიცემა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება თორმეტმაგი თანამდებობრივი სარგო. 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით დამატებული 61¹ პუნქტის მიხედვით ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და აღნიშნა, რომ მითითებული ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებულ იქნა ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა ამ ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი სოციალური დაცვის და მატერიალური უზრუნველყოფის -ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და სააპელაციო პალატის 24.03.09წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებას დამატა 61¹ პუნქტი, რომლითაც ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული 33¹ პუნქტის შეჩერებით კანონმდებელმა დროებით კი არ შეაჩერა, ან გა-

დაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის გაცემის ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ვალდებულების შესრულებისგან.

საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-12 მუხლით ჯილდოს "დანამატის" სტატუსი არ აქვს მინიჭებული, შესაბამისად, ჯილდოს თანხა არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და ის ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს. ამდენად, კასატორი თვლის, რომ ჯილდოს ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნაზე სკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება. კასატორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ესაა სახელშეკრულებო ურთიერთობა და მასზე შრომითი კანონმდებლობა ვრცელდება, რის გამოც მასზე ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უნდა გავრცელდეს. იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურეობრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, მაშინ გავრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. კასატორმა აღნიშნა, რომ 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც ამავე კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდო ან მატერიალური დახმარება. ვინაიდან სარჩელი შეტანილია 2008 წლის სექტემბერში, კასატორი თვლის, რომ გაშვებულია ხანდაზმულობის ვადები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.06.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. ჯ-მე 11.05.05წ. #1272 ბრძანებით, 2005 წლის 28 აპრილიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით) საფუძველზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაცდენის შესახებ. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამავე კანონის 134¹ მუხლი ითვალისწინებს სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის გაცემას დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულ იქნა საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება. გარდა ამისა, წინა წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას აგრეთვე ითვალისწინებდა შესაბამისი წლების ბიუჯეტის შესახებ კანონები. საკასაციო პალატა დამატებით აგრეთვე აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსთა მართვის დეპარტამენტის 16.01.08წ. #9/128 წერილის თანახმად მოპასუხე ჰპირდებოდა მოსარჩელეს, რომ მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში. სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. შესაბამისად, თუ მოვალე წერილობით ჰპირდება კრედიტორს ვალდებულების შესრულებას, აღნიშნული წარმოადგენს დავალიანების აღიარებას, რაც წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა 1998-99-2000 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების და ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების შესახებ არ არის ხანდაზმული.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჯილდო და მატერიალური დახმარება არ არის მოცული ხელფასის ცნებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის დეფინიცია. ამ ნორმის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თა-

ნამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. აღიშნული ნორმის თანახმად, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. ამავე კანონის 74-ე მუხლით გათვალისწინებულია მოხელისათვის დანამატის გაცემის ისეთი ფორმა, როგორცაა ერთდროული ფულადი ჯილდო. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის. განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების ფორმა - ერთდროული ფულადი ჯილდო. ამდენად, ფულადი ჯილდო წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენს ხელფასის შინაარსს. მოხელის ხელფასის განმსაზღვრელ, კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანამატის შესახებ ასევე მითითებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება, ხოლო სამხედრო სწავლებებში მონაწილეობისას სამივლინებო ხარჯების გარდა მიეცემა ყოველდღიური ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.03.09წ. განჩინება სახელფასო დავალიანების და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში.

"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილება დამატებების თანახმად ბრძანებულებას დაემატა 33¹ და 61¹ პუნქტები. 33¹ პუნქტით დადგინდა, რომ სამხადრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტის მიხედვით 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. #531 ბრძანებულებით, 33¹ პუნქტის მოქმედება შეწყდა. საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 19.02.08წ. #8/811 წერილის თანახმად, მინისტრის 11.05.05წ. #1272 ბრძანებით, ა. ჯ-ძის სამსახურიდან დათხოვნის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ., #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედების შეჩერების გამო, ა. ჯ-ძეს უარი ეთქვა ერთჯერადი დახმარების გაცემაზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე არ არის დადგენილი მოსარჩელის მიერ 33¹ პუნქტით გათვალისწინებული უფლების - ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნის დასმის მომენტი, კერძოდ, სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 33¹ პუნქტის მოქმედების პერიოდში ადმინისტრაციის წინაშე დასმა წარმოადგენს გასასვლელი დახმარების მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -3500 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:
- ა) გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.03.09წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -3500 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
 - ბ) უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.03.09წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.08წ. გადაწყვეტილება ა. ჯ-მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების -1945.09, ჯილდოს სახით 617.32 დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

განჩინება

#ბს-1530-1487(კ-08წ) 17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

ა. ზ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

ა. ზ-შვილი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს სამმართველოში, საიდანაც გათავისუფლდა 2002 წელს. მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მასთან ანგარიშსწორება არ მომხდარა. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს 2008 წლის 29 აპრილის წერილის მიხედვით, მისი სახელფასო დავალიანება შეადგენდა 549,30 ლარს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების ანგარიშსწორება არ მომხდარა, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მის მიმართ გააჩნია დავალიანება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები მითითებული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -549,30 ლარის გადახდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მოცემული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). გარდა ამისა, მითითებული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლეოდა დათხოვნის დღეს.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელე ა. ზ-შვილის მოთხოვნა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის

მთავარი სამმართველოს მიმართ კანონიერი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. ამასთან, მოსარჩელე ითხოვდა თანხას, რომელიც წარმოადგენდა მის მიერ მოპასუხე ორგანიზაციაში შესრულებული სამსახურებრივი საქმიანობის ანაზღაურებას, რაზეც მოპასუხეს უარი არასოდეს განუცხადებია, ამავ დროს, ასანაზღაურებელ თანხას, როგორც დავალიანებას, აღიარებდა და აფიქსირებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრედიტორულ დავალიანებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ცნობით, რომელშიც არ იყო მოცემული დარიცხული თანხების კლასიფიკაცია მათი სახეებისა და პერიოდულობის მიხედვით, რის შედეგადაც მოხდა მოსარჩელისათვის არა მხოლოდ სახელფასო თანხის ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ კვების ულუფის ნაწილშიც, რაც არასწორი იყო. გარდა ამისა, პირველ ინსტანციაში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძველები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც, ამავდროულად, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხდებოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისაგან, წარმოადგენდა სამ წელს, შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავ კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. დავის საგნის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობოდა იმ მომენტიდან, როცა მას უნდა მიეღო ხელფასი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 4 ივნისის წერილის თანახმად, მის მიმართ დავალიანება წარმოადგენდა 549.30 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა "პოლიციის შესახებ" კანონის 31.3, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულება "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე და განმარტა, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით კანონის 31.3 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ხელფასში, გარდა ხელფასისა, დამატებით ასევე განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგო და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატი, თუმცა 2000 წლის 28 ივნისის ცვლილებებამდე, "პოლიციის შესახებ" კანონი სხვაგვარად აწესრიგებდა მითითებულ საკითხს, კერძოდ, 31.2 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. აღნიშნული დანაწესი ასევე იყო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულებაში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს კანონი ახალი რედაქციით, ვინაიდან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქცევითი ძალა, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ

აქტს უკუმაღლა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ არ ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოქმედება, რამდენადაც ა. ზ-შვილის მიმართ სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში წარმოიშვა, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სულად მიიჩნეოდა სახელფასო დავალიანებად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არასრულია, იგი გამოტანილია კანონის დარღვევით, საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი შეფასების გარეშე, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. პირველ ინსტანციაში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც, ამავდროულად, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში ისინი გაიცემოდა როგორც წესი - თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისაგან, წარმოადგენდა სამ წელს, შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. დავის საგნის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობოდა იმ მომენტიდან, როცა მას უნდა მიეღო, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მიუღია. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ა. ზ-შვილის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაიწყო 1998 წელს და 3 წლის გასვლის გამო, იგი ხანდაზმულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებულ 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "ბ" პუნქტის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 04.06.2008 წლის #27/7/3-2806 ცნობით დადგენილია, რომ ა. ზ-შვილის სახელფასო დავალიანება შეადგენს 549,30 ლარს. აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა 1998 წლის ოქტომბრიდან 2000 წლის ივნისის თვის ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა დამატებით კომპონენტს ხელფასზე, არამედ, ხელფასის შემადგენელ ნაწილს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით (2000 წლის 28 ივნისის #413-III კანონი), კანონის 31.3 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ხელფასში, გარდა ხელფასისა, დამატებით ასევე განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგო და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატი, თუმცა 2000 წლის 28 ივნისის ცვლილებებამდე, "პოლიციის შესახებ" კანონი სხვაგვარად აწესრიგებდა მითითებულ საკითხს, კერძოდ, 31.2 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

აღნიშნული დანაწესი იყო ასევე რეგლამენტირებული საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულებაში, რომლის 55-ე მუხლი (ძველი რედაქცია), პირდაპირ განსაზღვრავდა, რომ ხელფასი ასევე მოიცავდა სასურსათო ულუფასაც.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ძველ სამართალურ-თიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს კანონი ახალი რედაქციით, ვინაიდან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქცევითი ძალა, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე, "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულების არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურ-თიერთობის მიმართ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოქმედება შესაბამისად სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, რამდენადაც ა. ზ-შვილის მიმართ დავალიანება 549.30 ლარის ოდენობით 1998-2000 წლებში წარმოიშვა, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მთლიანად (წოდება, წელთა ნამსახურობა და კვების ულუფაც) მიიჩნეოდა სახელფასო დავალიანებად, ხელფასის შემადგენელ კომპონენტად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად" (2004 წლის 21 დეკემბრის #3211 კანონი). საქმის მასალებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით კი დგინდება, რომ ა. ზ-შვილი შს სამინისტროს რიგებიდან დათხოვნილია 2002 წელს. ამდენად, მის, როგორც საჯარო მოსამსახურის, მიმართ, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია 2005 წლის 1 იანვრამდე, სახელმწიფომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის საფუძველზე, აღიარა დავალიანებების არსებობა და ივალდებულა მათი გასტუმრება შესაბამისი უწყებების მეშვეობით.

ამასთან, "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ ასევე აღიარა წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებები და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანების დასაფარავად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამისობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება;
3. კასატორს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს სასამართლო ხარჯების სახით დაეკისროს 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

განჩინება

#ბს-507-478(კ-09) 12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მ. ვაჩაძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 მარტს ო. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხე თავდაცვის სამინისტროსათვის მისი კუთვნილი სახელფასო დავალიანების - 1670,71 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -2468,80 ლარისა და უნიფორმის სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1995 წლის 22 ივნისამდე ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგებში. 2005 წლის 22 ივნისის #2632 ბრძანებით "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციის და შტატების შემცირების) საფუძველზე დათხოვნილ იქნა თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან. მოპასუხეს ასანაზღაურებელი აქვს 1998-2000 წლების ხელფასი, რამაც შეადგინა 1670,71 ლარი, ასევე, შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო, განთავისუფლებისათვის ერთჯერადი დახმარების -2468,80 ლარი. აღნიშნულის გამო, მან არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რასაც არანაირი შედეგები მოჰყოლია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -1670,71 ლარის, გასასვლელი დახმარების -308 ლარის რვაშვილი ოდენობით და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -522 ლარის ოდენობით დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ო. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ო. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -903,71 ლარის, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების -2468,80 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ო. ყ-შვილი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 1993 წლიდან 2005 წლის 22 სექტემბრამდე. იგი იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - სამხედრო მოსამსახურეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ო. ყ-შვილი 1993 წლის 1 მარტს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სარდლის #51, §57 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ხოლო 2005 წლის 22 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის #2632 ბრძანებით "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #44761 სამხედრო ნაწილის 2006 წლის 7 მარტის ცნობით დადგენილია, რომ ო. ყ-შვილის მიუღებელი ხელფასი და კვების კომპენსაციის დავალიანება შეადგენს 1670,71 ლარს.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის 2008 წლის 17 იანვრის ცნობით დადგენილია, რომ ო. ყ-შვილის დარიცხული ხელფასი დათხოვნისას შეადგენდა 308 ლარსა და 60 თეთრს. ამასთან, ო. ყ-შვილს არ მიუღია ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარება, ვინაიდან იგი დაითხოვეს 2005 წელში და გამოსასვლელი დახმარების გაცემა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის #640 ბრძანებულების საფუძველზე შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ამავე კანონის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები, ხოლო ასეთი ხასიათის ერთ-ერთი დამატებითი უფლება და გარანტია სამხედრო მოსამსახურისათვის მოცემულია "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლში (2005 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით), რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. "სამხედრო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. შესაბამისად, მიუთითა, რომ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად იღებდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფის სახით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის თანახმად, დადგენილია და, შესაბამისად, აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებობს საბიუჯეტო დავალიანებები და კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის წესის შესაბამისად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას. 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ აღიარა წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივ დავალიანებები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" პუნქტების საფუძველზე. საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები.

აპელანტის მტკიცებით, არ არსებობს ერთჯერადი დახმარების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც #493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ მუხლი, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა 33¹ მუხლის მოქმედება. აპე-

ლანტის განმარტებით, ამ მუხლის მოქმედების შეჩერებით კანონმდებელმა დროებით კი არ შეაჩერა, ან გადაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული თანხების გაცემის ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ვალდებულების შესრულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ასევე სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ყ-შვილმა. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, რომლითაც ო. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხე თავდაცვის სამინისტროსაგან მოითხოვა გაუცემელი სახელფასო დავალიანების -1670,71 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ო. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რაც აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული.

პალატამ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება, რომ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდებოდა 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რადგან ო. ყ-შვილი განთავისუფლებულ იქნა 2005 წელს და აღნიშნული წესი მასზე არ გავრცელდებოდა.

პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტით გათვალისწინებული იყო ერთჯერადი დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ იგი არ იყო გაუქმებული ამ ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის -ერთჯერადი დახმარების გაცემის პირობა და წესი. შესაბამისად, ამოქმედების მომენტიდან მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს 2005 წლის განმავლობაში წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 და 38.1 მუხლები, რომელთა თანახმად, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომლის გასტუმრებაც პასუხისმგებელია ის დაწესებულება, სადაც იგი მუშაობდა, ამ შემთხვევაში -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები. სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები, არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მიღებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა და საქმის მასალების არასწორი შეფასებით. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

კასატორის მოსაზრებით ჯილდოსა და მატერიალური დახმარების თანხები არ არის "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებული ხელფასში შემავალი დანამატი და ის ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს, ვინაიდან მათ, "სამხედრო მოსამსახურის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, "დანამატის" სტატუსი არ აქვთ მინიჭებული. კასატორის მტკიცებით, სასარჩელო მოთხოვნა ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობასა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული

შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის #386 წერილში დაფიქსირებული ინფორმაცია არ არის ვალის აღიარება, რადგან მასში არ არის მითითებული მოპასუხის მხრიდან ხელფასის, მატერიალური დახმარების და ჯილდოს დავალიანებად აღიარება ან მათი გადახდის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, არამედ გააჩნია მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი. კასატორი თვლის, რომ აღნიშნულის უფლებამოსილება არ გააჩნდა წერილის გამცემს, ამასთან, წერილში მითითებული თანხა დაკრედიტებული არ იყო თავდაცვის სამინისტროს მიერ. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლიდან გამომდინარე, თვლის, რომ 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდში განთავისუფლებულ პირებზე გასაცემი ფულადი თანხები სახელმწიფოს მიერ აღიარებული არ არის. ამ მუხლში საუბარია მხოლოდ კუთვნილ თანხებზე, ანუ ის, რაც დაწესებულებამ აღრიცხა ბუღალტრულად. ამასთან, ამავე კანონში 2003 წლის 31 დეკემბერს შეტანილი ცვლილება ითვლება სახელმწიფოს მხრიდან აღიარებად, რის შემდეგაც ხანდაზმულობის ვადა ახლიდან აითვლება, ანუ მსგავსი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეწყდა 2006 წლის 31 დეკემბერს, უკიდურეს შემთხვევაში 2008 წლის 1 იანვარს. ამდენად, დაუკრედიტებელ თანხებზე აღიარების ან ადმინისტრაციული დაპირების შინაარსის შემცველი აქტის გაცემა კასატორს შეუძლებლად მიაჩნია.

რაც შეეხება ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების სამართლებრივ საფუძველს, კასატორი მითითებს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ მუხლზე, რომლის თანახმად, 33¹ მუხლი, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების გაცემის თაობაზე, შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე. კასატორი საქართველოს პრეზიდენტის 31.12.2004 წლის #640 ბრძანებულების პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ბრძანებულების პროექტის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ნორმის შეჩერების მიზეზს წარმოადგენდა კომპენსაციის გაცემის აუცილებლობის თავიდან აცილება და ამასთან, არ მიუთითებია იმის თაობაზე, რომ ეს ღონისძიება იყო დროებითი ან რაიმე თანხების მობილიზება მოხდებოდა შემდეგ წლებში 2005 წელს წარმოშობილი ვალდებულების (გასაცემი ერთჯერადი დახმარების) გასაცემად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენით გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ო. ყ-შვილი 1993 წლის 1 მარტს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სარდლის #51, §57 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ხოლო 2005 წლის 22 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის #2632 ბრძანებით "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, როორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #44761 სამხედრო ნაწილის 2006 წლის 7 მარტის ცნობით დადგენილია, რომ ო. ყ-შვილის მიუღებელი ხელფასი და კვების კომპენსაციის დავალიანება შეადგენდა 1670,71 ლარს, მათ შორის, კვების კომპენსაციის თანხა -767 ლარს. მოსარჩელეს მიუღებელი ჰქონდა ასევე 1999 წლის სანითვლე ქონების საკომპენსაციო თანხა -522,61 ლარი და ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება - 2468,80 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს რა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამოდ მიღების თაობაზე, საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, მიუთითებს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "ე" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების

ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -20 წელი და მეტი -თორმეტმაგი ოდენობით.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი, ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 24 იანვრის განცხადებით დგინდება, რომ ო. ყ-შვილმა მიმართა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მოითხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი დახმარებისა და სანივთე ქონების კომპენსაციისათვის გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2008 წლის 31 იანვრის #9/339 წერილის თანახმად, ო. ყ-შვილს პასუხი გაეცა მხოლოდ სახელფასო და საკომპენსაციო თანხების მოთხოვნაზე და უარი ეთქვა მათ ანაზღაურებაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 სექტემბრის #2632 ბრძანებით დგინდება, რომ ო. ყ-შვილი დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 1 ივნისიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის #1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2008 წლის 14 ნოემბრის წერილით დგინდება, რომ ო. ყ-შვილის შეიარაღებულ ძალებში ნამსახური შეადგენს 7 წელს, 11 თვესა და 6 დღეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგინა აღნიშნულ გარემოებას საქმეში არსებული წინააღმდეგობრივი ცნობების გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის დანარჩენ მოსაზრებებს გასაჩივრებული განჩინებასთან მიმართებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტზე, 37-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და 12-ე მუხლებზე დაყრდნობით მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებებს. საკასაციო საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა მათი გამაბათილებელი რაიმე დასაბუთებული საკასაციო მოსაზრება (პრეტენზია). საკასაციო პალატა თვლის, რომ ო. ყ-შვილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამსახურის გავლისას წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კანონმდებლობის საფუძველზე ეკისრებოდა შრომითი გასამრჯელოს გაცემის ვალდებულება, ხოლო მოსარჩელეს ენიჭებოდა შესაძლებლობა, მოეთხოვა მიუღებელი შრომითი გასამრჯელო. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის იმ დროს მოქმედი რედაქცია ხელფასი თავისთავში მოიცავდა როგორც თანამდებობრივ სარგოს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს, ამასთან ო. ყ-შვილს, როგორც სამხედრო მოსამსახურეს ეძლეოდა "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დანამატები, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით შეადგენდა ხელფასის შემადგენელ ნაწილს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლიზე მითითებით, სწორად მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნები (ხელფასი, კვარტალური ჯილდო, მატერიალური დახმარება) ხანდაზმული არ იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე-412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

განჩინება

#ბს-708-674(კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 10 ივნისს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების -საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული იქნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებად. ე. ყ-შვილი ასრულებდა უზენაესი საბჭოს სესიის სამდივნოს თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო გ. გ-ანი სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის მდივნის მოვალეობას. 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შედეგად უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ვადამდე უკანონოდ შეუწყდათ სადეპუტატო უფლებამოსილება და უკანონოდ იქნენ დათხოვნილი თანამდებობიდან. მათ არ მიუღიათ 4 წლის ხელფასი. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილისა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული გადატრიალება ცნობილ იქნა ანტიკონსტიტუციურად და კვლავც დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 19 ნოემბრის #311 დადგენილებით უზენაესი საბჭოს დეპუტატის ხელფასი განისაზღვრა 1400 მანეთით, მუდმივმოქმედი კომისიის მდივნის -1600 მანეთით, ხოლო სესიის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილის - 1700 მანეთით.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით დგინდება, რომ 1991 წლის 1600 მანეთი დღევანდელი კურსით შეადგენს 798 ლარს, ხოლო 1700 მანეთი -847 ლარს. აქედან გამომდინარე, ე. ყ-შვილს 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე მიუღებელი ხელფასის სახით ერგება 40656 ლარი, ხოლო გ. გ-ანს -38264 ლარი. ასევე ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%, რაც ე. ყ-შვილთან მიმართებით შეადგენს 70 487 ლარს, ხოლო გ. გ-ანთან მიმართებით -66408 ლარს. გარდა აღნიშნულისა, უზენაესი საბჭოს წევრი ყოველთვიურად იღებდა სადეპუტატო დანამატს 200 მანეთის ოდენობით, რაც დღევანდელ ვალუტაში შეადგენს 100 ლარს, 48 თვის განმავლობაში -8213 ლარს.

პარლამენტის წევრს საქართველოს პარლამენტის წევრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დანიშნული ჰქონდა თანამდებობრივი განაკვეთი და სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკისრებოდათ ე. ყ-შვილისათვის მიუღებელი ხელფასის -78700 ლარისა და გ. გ-ანისათვის -74621 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან და საქმეში ჩაება მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, იმავე სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ყ-შვილი აღიარებულია რეპრესირებულად და 1992 წლის იანვრიდან უკანონოდ შეუწყდა უფლებამოსილება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ანი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საქართველოს სამხედრო საბჭოს 1992 წლის 2 იანვრის დადგენილების საფუძველზე გ. გ-ანს შეუჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება, ხოლო მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის #85 დადგენილებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს დაევალა ყოველი უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების განხორციელება. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში. გ. გ-ანის უფლებამოსილების ვადამდე უკანონოდ შეწყვეტა შეფასდა როგორც თანამდებობიდან უკანონოდ დათხოვნა, ვინაიდან დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, თანამდებობიდან დათხოვნა, 1992 წლის 4 იანვარს მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო დეპუტატის უფლებამოსილების ვადის გასვლისა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებას, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს. კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს რეპრესირებულთა პოლიტიკურ, სამოქალაქო და ქონებრივი უფლებების აღდგენის მექანიზმს, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება, სამხედრო და სპეციალური წოდებები, უბრუნდება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად ჩამორთმეული სახელმწიფო ჯილდოები, მიენიჭება შეღავათები ამ კანონით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრა ცალკე კანონით, რომელიც სარჩელის განხილვის მომენტისათვის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილული არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეთა წარმომადგენლის განმარტება, რომ მათ უნდა აუნაზღაურდეთ 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე მიუღებელი ხელფასი, არაარგუმენტირებულია. 1991 წლის მდგომარეობით საქართველოში შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც საქართველოს 2006 წლის 25 მაისის #3132 კანონით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული. მოსარჩელეთა წარმომადგენლის მოთხოვნა, მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ეფუძნება მოსარჩელეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას, რომ მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო მათ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში.

სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ ქმნის საფუძველს მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ. 2006 წლის 25 მაისამდე მოქმედი შრომის კოდექსით, ხელფასის შენარჩუნების გარანტიაში მოიაზრებოდა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება იძულებითი გაცდენის მთელი პერიოდის განმავლობაში იმ მუშა-მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც სამსახურიდან უკანონოდ იქნენ დათხოვნილი და სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილნი იქნენ წინანდელ სამსახურში, ხელფასი მიეცემოდათ დათხოვნის დღიდან, მაგრამ არაუმეტეს სამი თვისა. ამდენად, იძულებითი ხელფასის ანაზღაურების საფუძველი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის სამსახურში აღდგენის შესახებ პირვანდელ თანამდებობაზე. ხელფასის შენარჩუნების გარანტია რაიმე ვადით არ იყო შეზღუდული, თუ იძულებითი გაცდენა გამოწვეული იყო ადმინისტრაციის მიერ შრომის წიგნაკის დაყოვნებით, ან თუ ადმინისტრაცია არ შეასრულებდა შრომის დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებას მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა დღეს მოქმედ საქართველოს კანონზე "საჯარო სამსახურის შესახებ", რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოსამსახურეს უფლება აქვს, მოითხოვოს სამსახურში აღდგენასთან ერთად იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება იძულებითი გაცდენის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამდენად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნა უკავშირდება უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის უფლებას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სამსახურში აღდგენას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან მოსარჩელებს ქონებრივი უფლებების აღდგენა და გარანტია მიანიჭა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამ მოსარჩელების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ. წინამდებარე გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოსარჩელებს აღნიშნული უფლება არ წარმოშობიათ, ვინაიდან მოსარჩელეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული არ ყოფილა, რომელიც უფლებას მიანიჭებდა, მოეთხოვათ იძულებითი განაცდური ხელფასი სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის გამო მთელი პერიოდის განმავლობაში. მოსარჩელებს მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებმა მიანიჭეს უფლება, მოითხოვონ, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულმა პირებმა ქონებრივი უფლებების აღდგენა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გამოიხატება აგრეთვე მიუღებელ ხელფასში.

მიუღებელი ხელფასის ცნებაში კი მოიაზრება ხელფასის მიღები პირის მატერიალური და ქონებრივი დაინტერესების პრინციპი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლმა განსაზღვრა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის ქონებრივი უფლებები, რომლის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით. ამგვარი კანონი დღეის მდგომარეობით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული არ ყოფილა, რომელიც სამართლებრივ საფუძველად დაედგინა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას სასარჩელო მოთხოვნაზე.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტები სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ მათ 1992-95 წლებში მიღებული ხელფასის მოთხოვნის უფლება მიანიჭა პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამ, რომლითაც ლეგიტიმურად იქნა ცნობილი უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება კონსტიტუციურ ანუ 5 წლიან ვადაში. პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე. ვინაიდან პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონში არაფერი წერია უკანონოდ გათავისუფლებული დეპუტატის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, გამოყენებული უნდა იქნეს კანონის ანალოგიის პრინციპი და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 112-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც მოპასუხეები ვალდებული არიან, აპელანტებს აუნაზღაურონ ხელფასი დეპუტატებად არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

აპელანტების აზრით, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება სამსახურში გ. გ-ანის და ე. ყ-შვილის აღდგენის შესახებ, ამიტომ მათ არ აქვთ უფლება, მოითხოვონ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, ვინაიდან 2005 წლამდე 1991-92 წლების გადატრიალება შეფასებული იყო როგორც დემოკრატიული რევოლუცია, უზენაესი საბჭოს საქმიანობის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა ფასდებოდა როგორც სამშობლოს დალახი. აპელანტების აზრით, ქონებრივი უფლებების დაცვას საერთო არ აქვს მათ მოთხოვნასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, ე. ყ-შვილისა და გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა უსაფუძველოდ.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: რეპრესირებულთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით. ამ დებულებაში იგულისხმება რეპრესირებული პირისათვის, უპირველეს ყოვლისა იმ ქონებრივი სიკეთის დაბრუნების წესის განსაზღვრა, რომელიც მას ჩამოერთვა რეპრესიის შედეგად. პირველ რიგში ეს არის უძრავი ქონება და შემდეგ სხვა მატერიალური სიკეთეები.

კასატორების აზრით, რეპრესირებულთა ქონებრივი უფლებების აღდგენის კანონი არასოდეს არ მიიღება, ვინაიდან რეპრესირებულთა კანონის მოქმედების სივრცეში, ანუ 1921 წლიდან დღემდე პოლიტიკური რეპრესიის შედეგად ბევრმა ადამიანმა დაკარგა უძრავი ქონება და სხვა მატერიალური სიკეთე, ამიტომ ამ კანონის მიღებას დიდი სოციალური აფეთქება მოჰყვება.

კასატორები მიუთითებდნენ "რეპრესირებულთა შესახებ" კანონის მე-2 მუხლზე, რომელიც პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევს იძულების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნას.

კასატორები აღნიშნავდნენ, რომ მათ სასამართლოს წარუდგინეს რეპრესირებულად ცნობის გადაწყვეტილება, რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი უკანონოდ არიან დათხოვნილი დეპუტატის თანამდებობიდან, ამიტომ გაუგებარია, რატომ მოიაზრებს როგორც პირველი, ასევე, მეორე ინსტანციის სასამართლო სახელფასო დავალიანების ცნებას რეპრესირებულთა კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ქონებრივი უფლებების აღდგენაში და არა ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის ცნებაში, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია იმ ქონებრივი უფლებების აღდგენა, რაშიც იგულისხმება უძრავი ქონებისა თუ სხვა მატერიალური სიკეთის დაბრუნება და არა სახელფასო საკითხების გადაჭრა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ ხელფასის მოთხოვნის უფლება მათ მინიჭათ პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამ, რომლითაც დაგმოვილ იქნა და სამხედრო გადატრიალებად შეფასდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და უზენაესი საბჭო ცნობილ იქნა ლეგიტიმურად კონსტიტუციით დადგენილ ვადაში, ანუ 1990 წლიდან 1995 წლამდე.

კასატორების მოსაზრებით, 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით მათ ავტომატურად მიეცათ უფლება, მოითხოვონ მიუღებელი ხელფასი 1992 წლიდან 1995 წლამდე, ვინაიდან არც პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონში და არც პარლამენტის რეგლამენტში არაფერი წერია უკანონოდ გათავისუფლებული დეპუტატის ხელფასის შესახებ.

კასატორები მიუთითებდნენ, რომ საფუძველს მოკლებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემდა მოსარჩლეებს, მოეთხოვათ განაცდური ხელფასის სრული ოდენობით ანაზღაურება. კასატორები აღნიშნავდნენ, რომ სამხედრო გადატრიალების პირობებში მათთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო სასამართლოსათვის მიმართვა უზენაესი საბჭოს საქმიანობის აღდგენისა და შესაბამისად, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფუნქციონირების აღდგენის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ყ-შვილმა და გ. გ-ანმა მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ანისა და ე. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 28.10.90 წელს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგად გ. გ-ანი აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, პოლიტიკური გაერთიანება "მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო სიით. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოხდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობის ვადამდე შეწყვეტა. გ. გ-ანს საქართველოს სამხედრო საბჭოს 02.01.92 წლის დადგენილების საფუძველზე შეუჩერდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება. დადგენილია, რომ გ. გ-ანის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ შეხედულებებთან, რომელიც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. გ-ანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეფასდა როგორც თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა და ის ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად.

მეორე კასატორ ე. ყ-შვილთან დაკავშირებით ასევე დადგინდა, რომ ე. ყ-შვილი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად, ხოლო 1992 წლის 2 იანვარს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუჩერდა დეპუტატის უფლებამოსილება. სასამართლო გადაწყვეტილებით ე. ყ-შვილი მიჩნეულია თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებულად და რეაბილიტირებულია.

საგულისხმოა, რომ კასატორები იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია მათი თა-

ნამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი, რაც მათ აძლევს უფლებას მოითხოვონ თავდაპირველ უფლებებში აღდგენა და იძულებითი განაცდურის მთელი პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მისი მხრიდან ეჭვქვეშ არ არის დაყენებული კასატორთა სამსახურებრივი უფლებამოსილების უკანონოდ შეწყვეტის ფაქტი, მოცემულ პირობებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ერთადერთი გარემოება, რამდენად მართებულად მოხდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესაბამისი ნორმების გამოყენება და მათი კონკრეტული ურთიერთობისადმი მისადაგება.

სამართლის თითოეული ნორმა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომლის მიხედვითაც ხდება მხოლოდ ამ ზოგადი წესის შესაბამისი კონკრეტული ურთიერთობის რეგულირება. სამართლის ნორმის სწორად შეფარდების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი იმ დროისათვის მოქმედი ნორმის გამოყენება, რა დროსაც წარმოიშვა ეს კონკრეტული ურთიერთობა. რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ნორმის დროში მოქმედების საკითხს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა მოტივაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებამდე კასატორთა მოთხოვნას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ იმავდროულად, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, მოთხოვნა განიხილოს და გადაწყვიტოს იმ საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, რომელიც მოქმედებდა ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის.

უდავოა, რომ კასატორებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდათ 1992 წლის 2 იანვარს. მითითებული ფაქტობრივი გარემოება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს იმ პერიოდისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92 წ. შეტანილი ცვლილებით 3 თვე გაიზარდა 1 წლამდე).

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი უდავოდ ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, კერძოდ, უნდა არსებულიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა, განსხვავებით ამჟამად მოქმედი ნორმებისაგან, რომელიც გათავისუფლების თაობაზე მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არაკანონიერებას უკავშირებს პირის უფლებას, მოითხოვოს უკანონო აქტით მიყენებული ზიანის იძულებითი განაცდურის სახით ანაზღაურება.

რაც შეეხება "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს, საკასაციო სასამართლო მითითებული კანონის გამოყენების ნაწილში სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მოტივაციას და იმის გათვალისწინებით, რომ კასატორთა მოთხოვნა ცალსახად არ ემყარება უშუალოდ ამ კანონის ნორმებს, საჭიროდ არ მიიჩნევს ზემოაღნიშნული კანონის ცალკეული ნორმების დამატებით ანალიზს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არ არის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ანისა და ე. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

განჩინება

#ბს-1354-1312(კ-08)

12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ., შ. და გ. წ-ანებმა 2008 წლის იანვარში სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების: ლ., შ., და გ. წ-ანების სასარჩელო განცხადება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა შ. წ-ანის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანებების -1921,47 ლარის, გ. წ-ანის სასარგებლოდ -638,26 ლარისა და ლ. წ-ანის სასარგებლოდ -1984,16 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: საქმეში წარმოდგენილი მასალებით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოსარჩელები ნამდვილად მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სასამართლომ ასევე უდავოდ დადგინა, რომ მათ მიმართ გაუცემელი სახელფასო დავალიანება შეადგენს: გ. წ-ანის მიმართ -638,36 ლარს, ლ. წ-ანის მიმართ -1984,16 ლარს და შ. წ-ანის მიმართ -1921,47 ლარს, რაც დასტურდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #297, #298 და #299 ცნობებით.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი; ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 11 დეკემბრის #1844, #1845 ცნობები, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 27 დეკემბრის #2068 ცნობა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #297, #298 და #299 ცნობები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის წერილებია.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ დავალიანება მოსარჩელების მიმართ არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისი წყაროების არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ხანდაზმულია.

2009 წლის 29 აპრილს საკასაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა მოსარჩელე ლ. წ-ანის გარდაცვალების მოწმობა, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით ლ. წ-ანის უფლებამონაცვლის დადგენამდე ლ. წ-ანის ნაწილში საქმის წარმოება შეჩერდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომელმაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება შ. წ-ანის სასარგებლოდ 1921,47 ლარის, გ. წ-ანის სასარგებლოდ 638,36 ლარის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 სექტემბერს განცხადებით მიმართა ლ. წ-ანის მეუღლემ მ. ა-ბამ, რომელმაც წარადგინა 2009 წლის 31 ივლისის სამკვიდრო მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და მოითხოვა ლ. წ-ანის უფლებამონაცვლედ ცნობა და ლ. წ-ანის ნაწილში საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბერის განჩინებით ლ. წ-ანის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მ. ა-ბა; ლ. წ-ანის ნაწილში სახელფასო დავალიანის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომელმაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება ლ. წ-ანის სასარგებლოდ 1984,16 ლარის გადახდის ანაზღაურების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა ლ. წ-ანი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მის მიმართ გაუცემელი სახელფასო დავალიანება შეადგენს 1984,16 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 11 დეკემბრის #1844 ცნობა; ასევე, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #298 წერილი, რომლითაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელის მიმართ საფინანსო სამსახურში არსებული გასაცემი დავალიანება შეადგენს 1984,16 ლარს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი წარმოადგენს აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ ლ., შ. და გ. წ-ანების მიმართ დავალიანებები არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისი წყაროების არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება მათ მიმართ დავალიანებების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ რომ საქმეში წარმოდგენილი ცნობები და წერილები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით აღიარა ლ. წ-ანის მიმართ არსებული დავალიანებების არსებობა, რის გამოც საკასაციო საჩივარი

ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომელმაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება ლ. წ-ანის სასარგებლოდ 1984,16 ლარის გადახდის ანაზღაურების ნაწილში;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.